Так и в нашем случае: анализ указанных лексем (смелый, храбрый и др.), в частности показал, что для развития противоположных значений недостаточно наличия только лишь эмоциональной оценки; необходимо, чтобы данные лексемы начали более активно употребляться именно в контексте с положительной, но также равноправно и с отрицательной коннотацией (оценочностью).

Приведём другой пример, но отличающийся от предыдущего тем, что лексическое значение слова «смелый» тесно переплетается с грамматически особенностями. Так, общеизвестно, что в современном русском языке малопродуктивен суффикс *-ак*, и смеем заметить: на это почти не обращалось внимания в связи с вычленением словообразовательных формантов, характеризующих волевые свойства человека. Обратимся за примером к существительному *смельчак*. Суффикс *-ак* явно ориентирует нас на положительную характеристику человека. Однако, как в первом случае, мы утверждаем, что это слово в специфическом, контекстном окружении может быть использовано также и в качестве отрицательной характеристики человека.

Значение структурно-сложного слова (или композита) может зависеть не только от суффикса, то есть меняться не только по форме, но и в зависимости от тех лексических оттенков, которые придаются говорящим. И специфично, что для лексемы, обозначающей характер человека, на первый план выступает именно эмоциональное, оценочное отношение.

От грамматической установки перейдём к текстам художественных произведений. Скажем, в романе М.С.Ордубады «Меч и перо» со слов правительницы (Мелеке) читаем: «Я даю тебе слово, близок день, когда он начнёт проигрывать в этой азартной игре. Он ведёт очень рискованную игру. В подобной игре проигрывали люди поумнее, чем он. Или Кызыл-Арслан более велик, чем халиф Мамун? Вы посмотрите, какой смельчак. Бросает в тюрьму кази, хатибов, духовенство, визирей! Отправляет в ссылку всех, кто ему неугоден! Ни во что

не ставит самого падишаха, утверждённого повелителем правоверных! Он ошибается, если думает, что всё это сойдёт ему с рук. Халиф не простит ему ничего!» .

Объяснимся, с какой целью использована лексема «смельчак». Зная содержание романа М.С.Ордубады «Меч и перо» и соответственно характер основных положительных и отрицательных персонажей, нетрудно видеть, что в устах Мелеке-ханум в отношении свершения волевых поступков звучит именно пренебрежительно-оскорбительная характеристика одного из правителей Азербайджана Кызыл-Арслана. Хотя, объективно говоря, этот литературный герой как раз и выступает смельчаком в подлинном смысле слова. Этот пример, на наш взгляд, доказывает ситуативно-художественное варьирование лексем, которая объективно положительно характеризует нравственно-волевое качество человека, однако, субъективно (в устах литературного персонажа, сознательно его очерняющего) – носит, бесспорно, отрицательный оттенок.

Напоминаем, что всё вышесказанное относилось к реализации нравственно-волевых качеств характера человека, рассматриваемых нами в аспекте центрального, то есть обязательного элемента, в свою очередь составляющего коннотативное содержание. Оно было наиболее ярко выражено такими компонентами, как оценочность и эмоциональность. В отношении факультативного компонента коннотативного содержания следует подчеркнуть явление интенсивности. Интенсивность актуализирует обобщённый признак высокой степени определённого свойства. В силу своей специфики нравственно-волевые качества характера человека в значительно большей степени отражают высокую степень положительной оценки говорящего по отношению к субъекту, совершившему тот или иной поступок. Однако наблюдаются также и случаи отрицательно оценки.

Современный лингвист Н.Лукьянова признак интенсивности выделяет как ведущий в составе лексико-семантической группы, характеризующей наиболее общие черты характера человека. Она относит их к классу так называемых «эмоционально-оценочных экспрессивов» и очень подробно описывает их функционирование в книге «Экспрессивность лексики и фразеологии».

От детального разбора основополагающих идей этого интересного труда, нас, правда, останавливают два момента. Первый – информация связана с говорами и диалектами, что явилось бы некоторым отступлением от избранной нами темы. Второй – анализ ведётся в рамках, главным образом, ограниченных общей характеристикой положительных и отрицательных качеств, то есть тем аспектом, которому была посвящена первая глава нашей диссертационной работы. Поэтому более подробные сведения из указанной монографии Н.А. Лукьяновой оставим в стороне, но сама идея выделения интенсивного признака в целях определения коннотативного содержания лексем, характеризующих нравственно-волевые качества, кажется нам полезной в нашем собственном анализе.

Таким образом, из всего выше отмеченного, можно прийти к выводу, что реализация денотативного и коннотативного содержания экспрессивов в русском и азербайджанском языках зависит не просто, и не только от буквального перевода отдельных лексем, но, главным образом, от контекста, конситуации. Она включает в себя прежде всего передаваемую информацию, эмоциональное состояние говорящего в момент речи, когда он оценивает степень проявления того или иного нравственно-волевого свойства личности. Причём, как было нами выяснено, для более полной реализации экспрессивного содержания, в частности эмоциональной оценки необходима была некая «поддержка» контекста. А именно: экспрессивный лексический фон или соответствующее окружение. К тому же, если учёные при анализе поднятого нами вопроса о соотношении нравственно-волевых качеств в разносистемных языках знает ещё и внеязыковую ситуацию, в первую очередь эмоциональное состояние говорящего, то это помогает попутно выявить также и семантику экспрессивного слова. Вероятно, при дальнейшем исследовании этого вопроса

целесообразно вводить подобную информацию не только в русский и азербайджанский литературный, но и в разговорный язык. Здесь, как можно было убедиться, есть общие моменты и расхождения.

В результате проделанной работы в аспекте выделения коннотативного и денотативного компонентов хотим подытожить следующее: мы не даём в настоящей главе готовых рецептов и, разумеется, далеки от того, чтобы претендовать на исчерпанность поднятого вопроса. Это всего лишь предложение одного из потенциальных вариантов лингвистического анализа нравственно-волевых качеств характера человека, выполненного нами в сравнительно-сопоставительном аспекте на примере двух языков. Вероятно, возможны и другие пути. Например, при анализе данной темы (с этими или другими, но схожими по содержанию лексемами) можно придерживаться и такой последовательности: сначала сравнительно-типологическому разбору подвергаются имена прилагательные и существительные с положительной, а затем с отрицательной оценкой.

Однако в том и другом случае словообразовательная общность отдельных лексем нужного нам семантического наполнения обуславливает целесообразность их совместного, но не обособленного рассмотрения. Возможно, описание фактического материала в виде отдельных очерков (см., к примеру, работы А.В. Межжериной «Прилагательные со значением моральной оценки лица [на древнерусском хронологическом срезе]», М.А. Ягубовой «Лексико-семантическое поле «оценка» в русской разговорной речи» и некоторые другие), в которых интересующие авторов лексемы морально-этической или волевой направленности оформлены именно в указанной форме.

Проведенный в нашей работе анализ выполнен в аспекте рассечения и одновременного с тем сочетания ядерных (центральных) и периферийных (второстепенных) сем в синонимической цепочке слов. Полагаем, что такое структурное распределение материала в противоположность отмеченному позволяет дать более целостное представление также и о семантической структуре каждой лексемы в русском и азербайджанском языках, то есть лексемы, вычлененной из общей синонимической цепочки слова и рассмотренной нами в изолированном виде. Вместе с тем слова анализируются как элементы лексико-семантических объединений разных уровней.

Сказанное подводит нас к выводу о том, что при обращении к названным словам порою встречаешься с явлением, которое в современной лингвистической литературе носит название семантического синкретизма. Развитие синкретической семантики иногда приводит к распаду или отрицанию прежнего значения (если, скажем, слова с моральной оценкой лица рассматривать в диахроническом срезе). Однако порою они могут привести и к образованию добавочных (второстепенных) значений. Разрушение синкретического значения, как правило, в таких случаях идёт путём акцентуации на обновлённых информационных центрах, когда образуются и обособляются новые (по сравнению с бывшими) значения. При этом возможна их конкретизация, точнее, развитие семантики от общего к частному.

Подведена граница под правилом, что соответствующие данному свойству лексемы в русском и азербайджанском языках могут выражать их, с одной стороны, изолированно, а с другой – одновременно. То есть в последнем случае воля выражается в нравственно-идейных внутренних убеждениях человека, выявляя при этом его самую суть. Анализ, проведённый под таким углом зрения, на наш взгляд, не нарушает логики повествования. Два важных качества характера оказываются неразрывно взаимосвязанными; нравственность возникнет из воли, а воля в свою очередь нацеливает на нравственность. При этом характерно, что в материалах заключительной главы, помимо указанное цепи перехода одного рода лексем в другой, был обозначен целый ряд нравственно-волевых качеств или свойств человека, которые традиционно считаются опорными понятиями не только в лингвистике, но в современной психологической науке. Спектр анализа тем самым был расширен.

Фактор сцепленности устойчивых выражений с разными лексико-грамматическими разрядами в русском и азербайджанском языках, который отчасти являлся объектом двух предыдущих глав, здесь также сохраняет свою силу. Но нравственно-волевые качества характера человека, как правило, не имеют такой чёткой противопоставленности, как в случае анализа соответствующих лексем, выражающих наиболее общие черты или отношение к самому себе, вещам, коллегам и т.д. По этой причине в заключительной главе, как и в других разделах, сопоставлялись в основном не отдельные лексем, а именно определённый ряд с выделением подгрупп (или подклассов).

Как было доказано ходом исследования, признак сцепленности устойчивых выражений с разными лексико-грамматическими разрядами позволил ярче и рельефнее представить один из возможных вариантов лингвистического анализа нравственно-волевых качеств характера человека, заявленного в сравнительно-сопоставительном аспекте на примере двух неродственных языков. Основываясь на методе разделения и одновременного сочетания ядерных (центральных) и периферийных (второстепенных) сем в синонимической цепочке слов, было дано целостное представление также и о семантической структуре при сравнении и сопоставлении буквально каждой лексем в русском и азербайджанском языках. Одновременно с тем отдельные слова рассматривались как элементы лексико-семантических объединений разных уровней. Кроме того, методом синхронного анализа были выявлены ЛСГ прилагательных с базовым значением отдельных лексем и соответственно ЛСГ с развитием дополнительных и сложных новых значений, естественно, в пределах нравственно-волевых качеств характера человека.

Литература:

1. Абдуллаев К.М. Сложное синтаксическое целое как объект научного исследования в современной лингвистической науке. Дис. ... д-ра филол. наук. Баку, 1991.
2. Абдуллаев К.М. Тайный «Деде Коркуд». Баку: Мутарджим, 2006.
3. Азербайджанские сказки. Баку: Гянджлик, 1987.
4. Акуленко В.В. Лексические интернационализмы и методы их изучения // Вопросы языкознания, 1976, №6.
5. Бабайцева В.В. Русская разговорная речь. М.: Наука, 1978.
6. Гусейнов Ф.Г. Лексическая и грамматическая синонимия в русском языке. Сборник научных трудов. Баку, 1987.
7. Гусейнов Ф.Г. Русская фразеология: (Основные тенденции развития в XIX веке): Учебное пособие. Баку: АГУ, 1977.
8. Ляпон М.В. Смысловая структура сложного предложения и текст. К типологии внутритекстовых отношений. М.: Наука, 1986.
9. Макарова Е.А. Прилагательные характеристики лица в функциональном аспекте. Автореф. канд. филол. наук. Ленинград, 1989.

ლალა ახმედოვა
ადამიანის ზნეობისა და ნებისყოფის აღმნიშვნელი ლექსიკა
რეზიუმე

შეთანხმების ნიშანი სხვადასხვა ლექსიკურ და გრამატიკულ კატეგორიას შორის იძლევა საშუალებას უფრო აშკარად და რელიეფურად წარმოვადგინოთ ადამიანის ზნეობისა და ნებისყოფის აღმნიშვნელი ლექსიკის ლინგვისტური ანალიზის შესაძლო ვარიანტები, რომლებიც მოცემულია შედარებით ასპექტში ორი სხვადასხვა ენის მაგალითზე.

Lala Akhmedova
Lexicology denoting moral and strong-willed qualities of human character
Summary

A sign of coherence between set expressions and different lexical and grammatical categories has allowed to present more brightly and vividly one of possible variants of the linguistic analysis of moral and strong-willed qualities of human character declared in rather-comparative aspect on an example of two unrelated languages.



ირინა ყრუაშვილი (საქართველო)

მაერთებელი ელემენტი ზედსართაულ კომპოზიტებში

გერმანულ სიტყვაწარმოებაში გვხვდება ფონემური ელემენტები, რომელთაც სემანტიკური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ისინი წარმოადგენენ ერთგვარ ფონეტიკურ „ჩამატებას“, კომპოზიტის უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტებს შორის (ე.წ. leeres Morph) და ერთმანეთთან კომბინირებული კონსტიტუენტების „მორფონოლოგიური მისადაგების“ მიზნით გამოიყენება (Fleischer/Barz 1995:32), მაგალითად, landesüblich, einkaufseilig. მათი საერთო ფუნქციიდან გამომდინარე და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი მნიშვნელობის არმქონე სეგმენტებს წარმოადგენენ, ამგვარი სიტყვაწარმოებითი ელემენტები ინტერფიქსის ცნებაში ერთიანდება. ინტერფიქსებად განიხილება ფონემები ან ფონემათა კომბინაციები, როგორებიცაა, მაგალითად, -s-, -(e)s, -(e)n, -o-, -i-, რომლებიც კომპოზიტებში კონსტიტუენტების გადაბმის ადგილას გვხვდება. ინტერფიქსის ნაცვლად დღეს უფრო ფართოდ გამოიყენება ტერმინი „მაერთებელი ელემენტი“ (Duden. Grammatik 2006:721; Fuhrhop 1996:525; Naumann 1986:24). ი. ერბენი კი იყენებს ტერმინს „მაერთებელი ნიშანი“ („Fugenzeichen“) (Erben, 2006: 30).

თანამედროვე გერმანულში კომპოზიტების ორ მესამედზე მეტი მაერთებელი ელემენტის გარეშეა წარმოდგენილი, დანარჩენი, დაახლოებით 30% კი მაერთებელ ელემენტს მოითხოვს. ყველაზე მეტად მაერთებელი ელემენტი სუბსტანტიურ და ადიექტიურ კომპოზიტებში გვხვდება: Hochzeitstorte, emotionsstark.

ისტორიულად მაერთებელი ელემენტები ფლექსიის დაბოლოებებიდან წარმოიშვნენ, კერძოდ კი, მათ წინ მდგომი გენიტივის ატრიბუტისაგან, რომელიც ენის ხანგრძლივი ისტორიული განვითარების მანძილზე მიმართებით სიტყვას შეერწყა. მაგალითად, des Krieges müde → kriegsmüde, des Tages Licht → Tageslicht. დღეს უკვე მაერთებელ ელემენტებს ფლექსიის ფუნქცია არ გააჩნიათ, რადგან დროთა განმავლობაში ფლექსიის სუფიქსებმა დამოუკიდებელი სახე მიიღეს და თავდაპირველი წმინდა გრამატიკული ფუნქცია დაიკარგა. ამის ნათელსაყოფად მოვიხმობთ მაერთებელ ელემენტს -s-, რომელიც სუბსტანტიური კონსტიტუენტის შემდეგ ცალსახად მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით გვხვდება, მაგალითად, Freundeskreis = Kreis von Freunden, Bischofskonferenz = Konferenz von Bischöfen. მაერთებელი ელემენტი -s- გამოიყენება მდებარეობითი სქესის არსებითი სახელების შემდეგაც, რომელთაც -s- ბრუნებისას, როგორც წესი, საერთოდ არა აქვთ: Liebespaar, Zeitungsartikel (Stepanova/Fleischer 1985: 113). -s- ფლექსიის ნიშანს არ წარმოადგენს არც ზედსართაულ კომპოზიტებში: geisteskrank, kriegsgefangen, blutsverwandt, vaterlandsliebend. პ. გალმანის მიხედვით, იგრძნობა ტენდენცია, რომ კომპოზიტების სტრუქტურა გამჭვირვალე გახადოთ, რისთვისაც კონსტიტუენტებს შორის საზღვრის მარკირება მაერთებელი ელემენტით ხორციელდება (Gallmann 1999:187). ასევე ევფონიური მოსაზრებებიც გარკვეულ როლს თამაშობენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ კომპოზიტში ბგერების ჩამატება ხდება წარმოთქმის გასაადვილებლად ან კეთილხმოვნების მისაღწევად: Geburtstag, Blutstropfen. თუმცა ამის საპირისპიროდ მეტყველებს წარმონაქმნები მაერთებელი ელემენტის გარეშე: Blutdruck, Nachttisch. ზოგჯერ ერთი და იგივე მეორე კონსტიტუენტის შემთხვევაში გვაქვს პარალელური წარმონაქმნები მაერთებელი ელემენტით და მის გარეშე: wortbrüchig – vertragsbrüchig, schreiblustig – badelustig, kaufflustig – angriffslustig, goldähnlich – menschenähnlich – todesähnlich. ფაკულტატიურ ვარიანტებს ავლენენ კონსტრუქციები kampflustig – kampfeslustig,

sieggewohnt – siegesgewohnt, anlehnungbedürftig – anlehnungsbedürftig, liebebedürftig – liebesbedürftig. ზოგჯერ არასტაბილურობა შეინიშნება ერთი და იგივე პირველ კონსტიტუენტთანაც, რასაც ახსნა ძნელად თუ მოეძებნება. ერთი მხრივ, გვაქვს Meeresspiegel და მეორე მხრივ, Meerenge, ერთი მხრივ, Feindesland და მეორე მხრივ, Feindbild.

მიუხედავად იმისა, რომ მაერთებელი ელემენტები მნიშვნელობებს არ ფლობენ, მათ სემანტიკური განსხვავებების წარმოჩენა ძალუძთ (დისტინქტიური ფუნქცია): Storchschnabel (სახაზავი ხელსაწყო) – Storchenschnabel (ყანჩის ნისკარტი). ასეთივეა: Geisterstunde – Geistesblitz, Geschichtsbuch – Geschichtenbuch (Kessel/Reimann 2005: 203). მაერთებელი ელემენტი შესაძლოა სტილისტიკურ დიფერენციაციასაც იწვევდეს. მაგალითად, Waldrand (ნეიტრალური, ნორმალური სტილი) – Waldesrand (ამაღლებული სტილი).

აღნიშნული თავისებურებები ცხადყოფენ, თუ რაოდენ რთულია მაერთებელი ელემენტების გამოყენებისათვის მკაცრად დადგენილი წესების შემუშავება. თუმცა მათი ხმარება თვითნებურად არ ხდება. უზუალო სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში მაერთებელ ელემენტებს ვერც გამოვტოვებთ და ვერც სპონტანურად ჩავამატებთ.

მიუხედავად იმისა, რომ მაერთებელი ელემენტი კომპოზიციის ბრუნებისას უცვლელი რჩება და არც რომელიმე განსაზღვრული ბრუნვის მარკირებას ახდენს, მაინც არსებობს გარკვეული მიმართებები კომპოზიციის პირველი უზუალო შემადგენელი კონსტიტუენტის ფლექსიურ კლასსა და მაერთებელი ელემენტის გამოყენებას შორის. ამ მიმართებების მიხედვით, სუბსტანტიურ პირველ კომპონენტთან განასხვავებენ პარადიგმატულ და არაპარადიგმატულ მაერთებელ ელემენტებს.

პარადიგმატულია ისეთი მაერთებელი ელემენტები, რომლებიც ფორმალურად კომპოზიციის პირველი კონსტიტუენტის ფლექსიურ დაბოლოებას ემთხვევა. მაგალითად, Die Bearbeitung des Antrags – Antrag-s-bearbeitung. არაპარადიგმატული მაერთებელი ელემენტები კი არ გვხვდება პირველი კონსტიტუენტის ფლექსიურ პარადიგმაში. მაგალითად, Schönheit-s-ideal.

როგორც აღვნიშნეთ, მაერთებელი ელემენტი და მისი ვარიაცია დამოკიდებულია კომპოზიციის პირველი უზუალო შემადგენელი კონსტიტუენტის ანუ მსაზღვრელი სიტყვის ხასიათზე. ამასთან, რელევანტურია პირველი კონსტიტუენტის შემდეგი მახასიათებლები:

1. მეტყველების ნაწილი. (მაერთებელი ელემენტი, გამონაკლისების გარდა, გვხვდება მხოლოდ სუბსტანტიური და ზმნური კონსტიტუენტის შემდეგ).
2. ფლექსიური კლასი (გენიტივისა და მრავლობითი რიცხვის მარკირება).
3. ბგერითი სტრუქტურა (მარცვლების რაოდენობა, ბოლოკიდური ბგერა, სუფიქსის ხასიათი).
4. სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა (სიმპლექსი, კომპოზიტი, დერივატი).
5. რეგიონალური თავისებურებები გერმანულენოვან სივრცეში (Lohde 2006: 23).

საინტერესო მოსაზრებები აქვს მაერთებელ ელემენტთან დაკავშირებით ე. დონალიუსს. იგი იმ ერთეულებს, რომლებიც კომპოზიციის პირველი კომპონენტის ფლექსიურ პარადიგმაში არიან წარმოდგენილი, მაერთებელ ელემენტებად არ მიიჩნევს. მისი აზრით, მაერთებელ ელემენტს არ წარმოადგენს -er- კომპოზიტებში kinderreich, Kindergarten, ან -e- კომპოზიტებში nächtelang, Ärztehaus, რადგან მათ ფლექსიურ პარადიგმაში მოიპოვება შესაბამისი ფორმები Kinder, Nächte და Ärzte (Donalies 2005: 46).

ე. დონალიუსი სამართლიანად შენიშნავს, რომ მაერთებელ ელემენტებთან მიმართებაში გვაქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია:

1. კომპოზიტებს ქმნიან მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის ფუძეები და არა ფლექსიური ფორმები. ყველაფერი, რაც პირველსა და მეორე ფუძეს შორის გვხვდება, არის მაერთებელი ელემენტი.

2. კომპლექსური სიტყვის პირველი ერთეული შეიძლება იყოს როგორც სიტყვის ფუძე, ასევე ფლექსიური ფორმა. პირველი ერთეული ყოველთვის ფლექსიური ფორმაა, თუკი პირველი ერთეულის ფლექსიური პარადიგმა აღნიშნულ ფორმას შეიცავს (Donalies 2005: 46).

ავტორი მეორე პოზიციას ემხრობა და ამას შემდეგნაირად ასაბუთებს: თუკი მაერთებელ ელემენტებად განვიხილავთ იმას, რაც სუბსტანტიური დეტერმინანსის მხოლოდითი რიცხვის Nominativ-is ფორმის ფარგლებს სცილდება, (შდრ. Eisenberg 1998: 227), მაშინ მაერთებელი ელემენტების რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება (Donalies 2005: 48). შესაბამისად, იგი მაერთებელ ელემენტებად მიიჩნევს მხოლოდ -o-, -i- და -s-s (როცა ეს უკანასკნელი ფლექსიის დაბოლოება არ არის). ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან მიგვაჩნია, რომ მაერთებელი ელემენტის ცნება უფრო ფართოა და იგი ვერ შემოიფარგლება რამდენიმე, ძირითადად უცხოური წარმოშობის ელემენტით (-o- ბერძნული, ხოლო -i- ლათინური წარმოშობის). მით უფრო, რომ მეცნიერთა უმრავლესობა კომპოზიტის კონსტიტუენტებს შორის არსებულ ფონემურ საზღვარს მაერთებელ ელემენტად მიიჩნევს.

გერმანულ ზედსართაულ კომპოზიტებში ყველაზე ხშირად გვხვდება მაერთებელი ელემენტი -s-. ის ძირითადად გამოიყენება სუბსტანტიური პირველი კონსტიტუენტის შემდეგ, რომელიც მთავრდება სუფიქსებზე -heit, -schaft, -ung, -tät, -tion. მაგალითად, mehrheitsfähig, gesundheitsförderlich, gemeinschaftsbezogen, geltungsbedürftig, realitätsfern, universitätseigen, traditionsbestimmt, traditionsbewusst. -s- გვხვდება გაარსებითებული ინფინიტივის შემდეგაც: erstrebenswert.

კონსტიტუენტები, რომელთაც სუბსტანტიურ კომპოზიტებში მაერთებელი ელემენტი -s- აქვთ, ზედსართაულ კომპოზიტებშიც იმავე მაერთებელ ელემენტს ინარჩუნებენ: arbeitsaufwendig, einkaufseilig, verbandseigen, geschlechtsspezifisch.

უფრო იშვიათია მაერთებელი ელემენტი -es-. მაგალითად, landesüblich, tagesaktuell.

თუკი ზედსართაული კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი -e-ზე დაბოლოებული მდებარეობითი სქესის არსებითი სახელია, მაშინ მაერთებელ ელემენტად უპირატესად გამოიყენება (-e)n: sonnenbeschienenes Fenster, brillenähnlich, maschinengenau, erbsengroß, hymnenartig, seitenrichtig, schokoladenüberzogen. თუ პირველი კონსტიტუენტი ზინგულარიანტაგუმიანია, მაშინ, როგორც წესი, არ გამოიყენება მაერთებელი ელემენტი -n-: rachedurstig, wärmespeichernd.

პარტიციპ I-იან კომპოზიტებში მაერთებელი ელემენტები ხშირად პირველი კონსტიტუენტის მრავლობით რიცხვს გამოხატავენ. მაგალითად, händereibend; die nestersuchenden Schwalben. მდებარეობითი სქესის ზოგიერთი არსებითი სახელის შემთხვევაში იკვეცება ბოლოკიდური -e: Friede → friedliebend, Strafe → strafmildernd, Sprache → sprachvergleichend. (მაგრამ გვაქვს hilferufend, gewerbetreibend). პარტიციპ II-იან კომპოზიტებში ძირითადად გამოიყენება მაერთებელი ელემენტი -s-: bezugsberechtigt, aufbruchsgestimmt, bewusstseinsgetrübt, zukunftsverpflichtet.

ზედსართაულ კომპოზიტებში მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ხშირად გვხვდება სიტყვაწარმოებითი ელემენტი -wert, მასთან კი ყოველთვის გამოიყენება მაერთებელი ელემენტი, ძირითადად -s-. პირველი კონსტიტუენტი უმეტესად არის გაარსებითებული ინფინიტივი: lebenswert, liebenswert, erstrebenswert, dankenswert,

wünschenswert, verdammenswert. ზოგჯერ მასთან კონკურირებს -ung-ზე დამთავრებული პირველი კონსტიტუენტი: erwägenswert – erwägungswert.

მაერთებელ ელემენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს -ი-ს. იგი არის ბერძნულიდან ნასესხები მაერთებელი ელემენტი და უპირატესად გამოიყენება უცხოური ზედსართაული ელემენტების შეერთებისას: audiovisuell, anglo-amerikanisch, morphosyntaktisch, germano-slawistisch, magneto-optische Speicher, agro-industrielle Komplexe. ხშირად კომპოზიტებში -ი-ს ჩართვა ევფონიური მოსაზრებებით არის განპირობებული, კერძოდ, მისი მეშვეობით შეიძლება თავიდან ავიცილოთ -isch სუფიქსიანი ორი ზედსართავის ზედიზედ ერთმანეთზე მიყოლებით გამოყენება. მაგალითად, germanisch-romanisch → germano-romanisch, mechanisch-chemisch → mechanochemisch, magnetisch-optisch → magneto-optisch, finnisch-ungarisch → finnoungarisch.

ზოგიერთ შემთხვევაში მაერთებელი ელემენტი -ი- ორ კონფიქსს აკავშირებს ერთმანეთთან (Elsen 2005:133): anglophil, slawophil, anglophob. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის ფუძე -ი-ზე ბოლოვდება. ამ შემთხვევაში -ი- მაერთებელ ელემენტს არ წარმოადგენს. მაგალითად, homophil, retrospektiv, egozentrisch, egoman.

როგორც ვხედავთ, გერმანულ კომპოზიტებში მაერთებელი ელემენტების განაწილება მეტად საინტერესოდ ხდება. საჭიროა გერმანული ენის სათანადო ფლობა, ასევე გერმანული ენის სიტყვაწარმოების საფუძვლების ცოდნა, რათა სწორად ვაწარმოოთ ესა თუ ის სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია.

ლიტერატურა:

1. Donalies, E. (2005): Die Wortbildung des Deutschen. Ein Überblick. Tübingen.
2. Duden in 12 Bänden. Die Grammatik (2006): Bd. 4., 7. völlig neu erarb. und erw. Aufl. Mannheim, Leipzig, Wien, Zürich.
3. Eisenberg, P. (1998): Grundriß der deutschen Grammatik. Bd. 1. Das Wort. Stuttgart, Weimar.
4. Elsen, H. (2005): Deutsche Konfixe. In: Deutsche Sprache 33. S. 133-140.
5. Erben, J. (2006): Einführung in die deutsche Wortbildungslehre. Berlin.
6. Fleischer, W./Barz, I. (1995): Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit von M. Schröder. Tübingen.
7. Fuhrhop, N. (1996): Fugenelemente. In: Lang, E./Zifonun, G. (Hg.): Deutschtypologisch. Berlin. S. 525-550.
8. Gallmann, P. (1999): Fugenmorpheme als Nicht-Kasus-Suffixe. In: Butt, M./Fuhrhop, N. (Hg.): Variation und Stabilität in der Wortstruktur. Untersuchungen zu Entwicklung, Erwerb und Varietäten des Deutschen und anderer Sprachen. Hildesheim, Zürich, New York. S. 177-190.
9. Kessel, K./Reimann, S. (2005): Basiswissen Deutsche Gegenwartssprache. Tübingen und Basel.
10. Lohde, M. (2006): Wortbildung des modernen Deutschen. Ein Lehr- und Übungsbuch. Tübingen.
11. Naumann, B. (1986): Einführung in die Wortbildungslehre des Deutschen. Tübingen.
12. Stepanova, M. D./Fleischer, W. (1985): Grundzüge der deutschen Wortbildung. Leipzig.

Irina Kruashvili
Conjunctive Element in German Composites
Summary

Amongst the German composites there can be found such phonemic elements that have no semantic meaning. They represent a kind of specific phonetic “insertion” into the consequence of the direct constituents of the composite. The conjunctive elements such as: -s-, -(e)s, (e)n, -o-, -i- are used most frequently amongst the German composites. The mentioned conjunctive elements occur only after the substantive and verbal radices, when they function in the form of the indirect constituent. After the adjectives and words of non-changeable form the conjunctive words are not used. This is connected with their historic development, as they have derived from the elements which once represented the ending of flexion. Today the conjunctive elements do not carry the function of flexion any more.

Majority of composites in the modern German language are presented without the conjunctive element. Most frequently the conjunctive element occurs in substantive and adjective composites.

Despite the fact that the conjunctive elements do not possess senses, they can still emphasize semantic and stylistic differences.

The article discusses separately each conjunctive element and there are given relevant examples.

Ирина Круашвили
Соединительный элемент в немецких композитах
Резюме

В немецких композитах встречаются фонемные элементы, которые не имеют семантическое значение. Они представляют собой так называемую фонетическую `фугу~, `шов~, по которому соединяются Непосредственно Составляющие (НС) сложного слова. В немецких композитах преобладают соединительные элементы: -s-, -(e)s, -(e)n, -o-, -i-. Эти соединительные элементы в целом встречаются только у субстантивных и глагольных основ, когда они функционируют в качестве первой Непосредственно Составляющей. У прилагательных и неизменяемых слов они отсутствуют. Это связано с их историческим развитием, поскольку они возникли из элементов, некогда бывших флексиями. Сегодня уже соединительный элемент не выполняет функции флексии.

В современном немецком языке большинство композитов представлено без соединительного элемента. Чаще всего соединительный элемент встречается в субстантивных и адъективных композитах.

Несмотря на то, что соединительные элементы не имеют семантическое значение, они могут указывать на семантические и стилистические различия.

В статье в отдельности рассмотрены немецкие и заимствованные соединительные элементы и приведены соответствующие примеры.



Алла Сайненко
(Молдова)

ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ТЕКСТ: ФОНЕТИЧЕСКАЯ СТРУКТУРА И СМЫСЛ

1. Тезис об арбитранности языкового знака, наряду с его линейной характеристикой, сформулированный Ф. де Соссюром «принимается в качестве очевидной истины, хотя и не эксплицитной, но на деле никем не оспариваемой» (E. Benveniste). В то же время, «конкретный языковой знак (знак в «дискурсе» или в «тексте») не представляет собой лишь «репрезентацию» (концептуальную значимость) и не функционирует только в отношении к говорящему («экспрессивность» или «выражение»), в отношении к слушающему («конативность») и внеязыковой действительностью («референтность», то есть обозначение посредством семнификата), но функционирует, одновременно, через комплексную цепь отношений, с которыми образует ансамбль сложных семантических функций» (Coşeriu, 162).

Исходя из данной тематики представляет интерес непосредственная (материальная) связь языкового знака с внеязыковой действительностью (функция репродукции и прямой репрезентации, то есть подражательная функция в самом широком значении этого понятия).

«Все звуки, утверждает Л.Л. Касаткин, противопоставлены друг другу по тону: есть звуки высокие и низкие. Низкие звуки образуются в большей по объёму и менее расчлененной ротовой полости, высокие – в меньшей по объёму и более расчлененной. Так, гласные [и], [э], образующиеся в передней части полости рта, высокие, а непередние гласные [а], [о], [у] – низкие; согласные периферийные по месту образования, т.е. передне- и среднеязычные, – высокие (исключение) – низкий [л]. С высокими звуками связаны представления о светлом, высоком, лёгком, тонком, гладком, горячем, с низкими звуками – о тёмном, глубоком, тяжёлом, толстом, шерховатом, холодном» (Касаткин, 21). В художественном тексте, на основе этого строится изобразительная звукопись, которая «включает в себя звукоподражательные слова, или оноματοпею, и разного рода звуковые повторы, среди которых наиболее заметными являются аллитерация и ассонанс, менее заметными – скопления звуков в разных местах текста» (Иванова-Лукьянова, 28).

2. Перевод художественного текста с одного языка на другой предполагает адекватность как плана содержания, так и плана выражения. «В этом отношении, утверждает Г. Иванова-Лукьянова, внимание к звуковому плану произведения так же необходимо, как и внимание к его образно-лексическому плану» (Иванова-Лукьянова, 41)

2.1. Румынский язык является по своей фонетической структуре языком вокалического типа, так как соотношение гласных и согласных больше, чем соотношение 1 к 3. 22 румынским согласным соответствуют 7 гласных, 23 дифтонга (9 восходящих и 14 нисходящих) и 9 трифтонгов. Таким образом, румынский язык превосходит по своему вокализму датский, который обычно приводится как яркий пример «предельно вокалического языка [...], в котором гласных (включая дифтонги) даже больше, чем согласных» (<http://lingold.ru/vokalicheskie-i-konsonantnyie-yazyki>). Для сравнения, в датском 20 согласным соответствуют 23 гласных, т. е. 53,5 % от общего количества фонем, в румынском же 22 согласным соответствуют 39 гласных (в подсчет берутся дифтонги и трифтонги), которые составляют 63,93% процента всех фонем.

Гласные румынского языка делятся на открытые, полуоткрытые и закрытые; переднего, среднего и заднего ряда; лабиализованные и нелабиализованные, а частота их употребления в словах довольно симметрична и в процентном соотношении представляется следующим образом (Caracostea):

	A – 31%	
E – 19%	Ă – 3%	O – 9%
I – 13%	Î – 3%	U – 22%

Указанные дифференциальные признаки, при особенном расположении в поэтическом тексте, позволяют выразить поэтическую идею. Так, текст румынского поэта Михая Еминеску «Доброй ночи!» (Somnoroase răşărele) можно рассматривать сквозь призму открытости/замкнутости пространства, которое передаётся и на фонетическом уровне.

С философской точки зрения, пространство является формой существования материи: «каждый уровень организации природы состоит из определенных объектов, которые обладают той или иной протяжённостью, совокупность которых называется *пространством*. В силу обладания «протяжённостью» (линейными, объёмными, двумерными характеристиками) объекты определённым образом располагаются относительно друг друга. [...] *Пространство есть выражение сосуществования материальных объектов*» (Канке, 241).

Создавая иной, художественный мир, писатель, отходя от картины земной действительности, создаёт иное, художественное пространство – «форма существования сюжета, пространственно-временной континуум изображаемых явлений, отличный от реального пространственно-временного континуума» (Тураева, 20). Пространство в художественном тексте представляет собой не только уровень организации художественного мира, а само по себе становится семнификацией. Именно с этой точки зрения – семнификации пространства – можно рассматривать текст М. Эминеску «Доброй ночи!»

Для более точной передачи идеи румынского текста, мы предлагаем, рядом с румынским текстом и русским переводом Й. Миримского, подстрочник, передающий более точно смысловую структуру:

Somnoroase răşărele	Сонные птички	Доброй ночи
Somnoroase pasarele Pe la cuiburi se aduna, Se ascund în ramurile - Noapte buna!	Сонные птички Собираются у гнезд, Прячутся в ветках - Доброй ночи!	Птицы смолкли, Тихо стало, Сон крылами веет в очи. Спят цветы, склонясь устало, Доброй ночи!
Doar izvoarele suspina, Pe când codrul negru tace; Dorm si florile-n gradina - Dormi în pace!	Только родники вздыхают, Тогда как черный лес молчит; И цветы спят в огороде- Спи в покое!	Лишь в траве ручья журчанье Словно сладостная дойна. Лес уснул. Вокруг молчанье, Спи спокойно!
Trece lebada pe ape Intre trestii să se culce - Fie-ti ingerii aproape, Somnul dulce!	Плывет лебедь по водам Чтобы между тростником лечь - Пусть с тобой будут ангелы рядом, Сладкого сна!	И, качаясь, лебедь дремлет На воде, в тени осоки... Тише! Пусть его объемлет Сон глубокий!
Peste-a noptii feerie Se ridica mindra luna, Totu-i vis si armonie - Noapte buna!	Над ночным волшебством Поднимается гордая (прекрасная) луна, Все окутано мечтой и гармонией- Доброй ночи!	И луна взошла, и тени Все чернее и короче. Всё – мечта, всё – сноведенье...: Доброй ночи!

Перспектива с которой открывается пространство текста является комбинированной: секторной в первых трёх строфах и круговой в последней части стихотворения. Таким образом, в первых трёх строфах, взгляд автора охватывает определенные фрагменты пространства – родники, кодры, воды –, а в последней строфе становится круговой, охватывая всё пространство.

Интересно отметить, что стихотворение создаёт как раз впечатление не сужающегося пространства – перспектива не сужается, а закрывается само пространство. Родники, кодры, воды являются элементами только кажущегося открытого пространства. В контексте стихотворения же, глаголы и, по сути, «непространственные» существительные передают идею закрывающегося пространства.

Так, в первой строфе, глаголы *сбираться* «сойтись, прийти, стечься в одно место» и *прятаться* «скрываться, находить себе укрытие где-либо» включают в себе сему закрытого пространства. Данная сема характеризует так же существительное *гнездо* «помещение, логово, приспособленное или построенное птицами, животными для кладки яиц»; уменьшительные существительные *птички, веточки*; прилагательное *сонные* «находящийся в состоянии неподвижности», «пассивный».

Во второй строфе, потенциальная сема открытости существительных *родники* и *кодры* анулирована сочетанием с глаголами *вздохать* и *молчать*. Идея закрывающегося пространства, поддерживается так же глаголом *спать* и существительным *огород* «огороженный участок земли для выращивания овощей и т.д.».

Так же и в третьей строфе, казалось бы выражающее идею открытого пространства *воды*, «нейтрализованы» обстоятельством места *между тростником* и наречием *близко*.

Идея закрывающегося пространства поддерживается и вокалической структурой стихотворения. Рассмотрим, для сравнения, частоту гласных в системе румынского языка (А) и в частоту гласных в пределах данного стихотворения (В):

А			В		
	А – 31%			А – 15,2%	
Е – 19%	Ă – 3%	О – 9%	Е – 32,1%	Ă – 11,6%	О – 8%
І – 13%	Î – 3%	U – 22%	І – 11,4%	Î – 5,4%	U – 14,3%

Заметим, что, если вокалическая система румынского языка строится вокруг открытого гласного А, частота которого составляет 31%, то в структуре стихотворения, полузакрытая Е представляет 32,1%, а гласная А – лишь 15,2%. Отметим так же, что 43,5% гласных звуков в структуре стихотворения соответствует «светлым звукам», тогда как 22,3% – «тёмным звукам».

При анализе распределения согласных в структуре тексте, можно заметить, что за открытой гласной А, буквально сразу же следует закрытая или полузакрытая гласная:

Somnoroase păsărele	oa (1)	→	e (2) ă (2)
Pe la cuiburi se adună	a (1)	→	u (3) ă (2)
Se ascund în rămurile	a	→	u (3) î (3)
Noapte bună	oa	→	e (2) u (3)
Doar izvoarele suspină	oa		i (3)
	oa		e (2) e (2)
Pe când codrul negru tace	a	→	e (2)
Dorm □ i florile-n grădină		→	
Dormi în pace	a	→	e (2)
Trece lebăda pe ape	A		(e)

Între trestii să se culce	a	→	(e)
Fie-i îngerii aproape	a	→	oa e (2)
Somnul dulce			
Peste a lumii feerie	a		u (3) ii (3)
Se ridică mîndra lună	a	→	u (3) ă (2)
Totu-i vis i armonie	a	→	o (2) i (3)
Noapte bună	oa	→	e (2) u (3)

Обратимся сейчас к русскому переводу. То, что можно проследить в русском тексте, в первую очередь, это уже не идея пространства, а тишины. Большинство слов, таким образом относится к семантическому полю «звуки»: *смолкли, тихо, журчанье, дойна, молчанье, тише*. В румынском варианте, слов относящихся к данному семантическому полю только два: *вздыхает* и *молчит*.

Заметим, что неточность перевода привело к передачи иных идей, чем то о чем говорит нам румынский текст.

Обратим внимание на некоторые элементы:

- от первой ко второй строфе румынского текста, взгляд автора скользит в пространстве от вертикали к горизонтали (птицы – в первой строфе, а в последующих – элементы горизонтально расположенные: родник, кодры, огород, воды), в русском же тексте перспектива не выделяется столь четко;

- *птицы*, в румынском тексте прячутся, собираются у гнезд, в русском тексте – смолкают;

- человеческий референт в румынском варианте обозначен только в третьей строфе (после того как описано закрывающееся пространство), в русском же – в первой строфе;

- *родники*, в румынском тексте, вздыхают, в русском – поют радостную дойну;

- *черный лес молчит* в румынском варианте, и *спит* в русском;

- пожелание спокойной ночи, которое в румынском тексте относится к человеку (пусть ангелы тебя охраняют), в русском варианте нужно отнести к лебедю (*Пусть его объемлет сон глубокий!*);

- отметим так же замену некоторых символов румынской культуры в русском тексте: *кодры* заменены на *лес* в русском варианте; нужно однако уточнить, что *кодры* имеют в румынской культуре конотацию *сакральности, вечности*; *дойна* не упоминается в румынском варианте и для румынского читателя, скорее всего, она бы оказалось даже неуместной в данном контексте.

Таким образом, неточный перевод лексических единиц, замена одних символов другими символами, приводит, как замечает Г. Иванова-Лукьянова, к искажению смысла и «разрушает коммуникативное задание авторского текста» (Иванова-Лукьянова, 47). Отметим однако, что целью нашего исследования не являлась критика перевода И. Миримского, а выявление роли которую фонетическая структура играет в создании текстового смысла.

ლიტერატურა:

1. Benveniste, Emile, *Probleme de lingvistică generală*. Traducere de Lucia Magdalena Dumitru, București, Universitas, 2000.
2. Caracostea, Dumitru, *Expresivitatea limbii române*, Iași, Polirom, 2000.
3. Coșeriu, Eugeniu, *Omul și limbajul său*, Iași, Editura Universității „Alexandru Ioan Cuza”, 2009.
4. Saussure, Ferdinand, *Cours de linguistique générale*, Paris, Payot, 1971.
5. Иванова-Лукьянова, Галина, *Лингвистика текста*, Москва, 2008.
6. Канке, Виктор, *Энциклопедия философии науки*, Обнинск, 2003.
7. Касаткин, Леонид, *Фонетика современного русского литературного языка*, Москва, Изд-во МГУ, 2003.
8. Тураева Зоя, *Лингвистика текста (Текст: Структура и семантика)*, Москва, Просвещение, 1986.

ალა საინენკო არტისტული ტექსტი: ფონეტიკური სტრუქტურა და მნიშვნელობა რეზიუმე

არტისტული ტექსტის მნიშვნელობა შედგება არა მხოლოდ სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობისგან, არამედ ყველა იმ ელემენტისგან, რომლის მეშვეობითაც აგებულია ტექსტი. ლირიკულ ტექსტში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ფონეტიკური სტრუქტურა. ამ ფაქტის გამოაშკარავება შესაძლებელია ორიგინალური ტექსტის თარგმანთან შედარებისას. მოცემულ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მიხაი ემინესკუს ლექსზე „Somnoroase pășărele” და მის რუსულ თარგმანზე «Доброй ночи!», რომელიც შესრულებულია ი. მირიმსკის მიერ. ავტორი ხაზს უსვამს იმ განსხვავებებს, რომლებიც არსებობს ამ ორ ტექსტს შორის. ეს განსხვავებები მიეკუთვნება აღნიშნული ტექსტების ლექსიკურ და ფონეტიკურ სტრუქტურებს.

Ala Sainenco The Artistic Text: Phonetic Structure and Meaning Summary

The meaning of the artistic text is constructed not only from the lexical meaning of words, but on the basis of all elements included in the text. A special role in the lyrical text is played by the phonetic structure. This fact can be highlighted by comparing the original text with its translation. The present article focuses on the analysis of the original text of Mihai Eminescu's poem „Somnoroase pășărele” and its Russian translation «Доброй ночи!», done by I. Mirimscy. Without denying the quality of the translation, the author indicates the differences between the two texts. These differences refer to the lexical and phonetic structures of the two texts, the given structures being conditioned, of course, by language structure.

თამილა ზვიადაძე (საქართველო)

ოტია იოსელიანის ლექსთა ენა

ოტია იოსელიანი დიდი ხანია იქცა კლასიკოსად. მისი რომანები, მოთხრობები, ზღაპრები მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა. პიესები ქართულ და უამრავი სხვა ქვეყნის თეატრალური რეპერტუარების კუთვნილება გახდა, ლირიკულმა ლექსებმა ავტორის შესაძლებლობათა დიაპაზონზე დაგვაფიქრა.

ოტია იოსელიანი გამორჩეული შემოქმედია. მწერლის შემოქმედებაზე საუბარი კი წარმოუდგენელია მისი ენის თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. საერთოდ, მწერალი იმდენად შემორჩება ისტორიას, რამდენადაც შეძლებს საკუთარი მრწამსის თავისებურად გადმოცემას, ფორმისა და შინაარსისასთვის განსაკუთრებული სიტყვიერი სამოსელის მოძებნას.

„ენას ურიცხვი სახე აქვს. ეს ურიცხვი სახე ურიცხვი ნიუანსებით იქსოვება – ურიცხვი ფერებით, ურიცხვი ხაზებით, ინტონაციებით, შეხამებებით. მეორე მხრივ, ყოველ ჩვენგანს ჩვენი ხასიათი გვაქვს, ჩვენი სტილი, ჩვენი ფერი, ჩვენი მიდრეკილებანი და ზუსტად თუ არ შეირჩა შესაბამისობა, თუ ჰარმონია არ დამყარდა ენასთან, თუ ზომა ზომას ვერ დავამთხვიეთ, ფერი – ფერს და მნიშვნელობა – მნიშვნელობას, ერთი სიტყვით, თუ ის ერთადერთი სახე ვერ ვიპოვეთ, რომელიც ჩვენს „ენობრივ ორბიტაზე“ გაგვიყვანს, ყალბი ვიქნებით, სიყალბე კი ორგულობაა. ჩვენ ორგული ვიქნებით ხელმწიფე ენისა და მის წყალობას ვერ ვეღირსებით. ენა სულიერების სამშობლოა” (ჯ. ქარჩხაძე: <http://armuri, 4 forum biz/e 392 – topii>).

ოტია იოსელიანს სიყალბესა და ენის ორგულობას ნამდვილად ვერ დაეწაიმა. იგი ენას ერის სულს უწოდებს: „ენა ერის სულია! რა არის ერი, ქვეყანა, ვინაა თუ არა ენა?! ენა სულივით თან ახლავს და უიმისობა კი არა, ხელყოფაც კი სენია, დაავადებაა და დახეობრება. ენას ყოველთვის უნდა სულის ბერვა, ენა აიზბერგია, სპელეოლოგიით ბნელ უფსკრულებში პოტიალი და და მთასვლელივით ახად – ახალი მწვერვალების პერობა სჭირდება” (ო. იოსელიანი, 2002).

მწერლის ლექსების კრებული „სიმორით სიახლოვე“ 2007 წელს გამოსცა საგამომცემლო სახლმა „ტრიასმა“. ავტორი თავს ასე წარმოგიდგენს: ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭის ძე... იოსელიანი. როცა კრებული ბატონმა ოტიამ საჩუქრად გადმოცა, ვკითხე, რას გულისხმობდა. „მამის, პაპის და პაპის პაპის ... სული, გენი, ნიჭი, ემოცია ... სრულადაა თავმოყრილი ჩემში და ეს ლექსებიც ამ მთლიანობის გამოხატულებააო” – მიპასუხა.

ლექსთწყობა განსაკუთრებული ხელოვნებაა. სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ურთიერთობაში გამოიყენება, მხოლოდ აზრის გამომხატველ ნიშნებად, ლექსში აზრისა და გრძნობის ერთიანობას უკავშირდება, „პოეტური სილამაზე ყოველთვის ენის შინაგანი შესაძლებლობათა ამოშუქებით მიიღწევა” (ბ. ჯორბენაძე, 1999: 37);

ოტია იოსელიანის ლექსებს, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, დამოუკიდებლობაც აქვთ, მაგრამ ქვედრამატული დინებაც, რაკი ერთი ლირიკული გმირი ჰყავთ – ქალი. „ესაა მართალი, ნატიფი ლირიკა და ფილოსოფიური განწყობაც, რომელიც მას ახლავს – დიდი გრძნობის ადამიანმა სადინარი უპოვა თავის სულს” (ბ. ხარანაული, 1999: 3).

ეს დიდი გრძნობა და ფილოსოფიური განწყობა მისთვის ჩვეული ბუნებრიობით, თავისებური ენობრივი საშუალებებით მოიტანა ოტია იოსელიანმა ჩვენამდე,

პოეტური მაღლი მიანიჭა ენაში არსებულ სიტყვებს და სამეტყველო იარაღი აქცია თავისთავადი ესთეტიკური ღირებულებების მქონე მოვლენად. სიტყვათა არჩევა და ერთმანეთთან დაკავშირება განპირობებულია არა მარტო ინფორმაციის გადაცემის ამოცანით, არამედ ამ სიტუაციითაც, რომელშიც კომუნიკაცია ხორციელდება. ენაში მოცემულია ერთი და იმავე აზრის გადმოცემის სხვადასხვა საშუალებები, რომელთაგან ავტორი ერთს ირჩევს სამეტყველო აქტის გამიზნულობის შესაბამისად. ეს კი ქმნის სტილს.

ოტია იოსელიანის ლექსებში კარგად ჩანს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური და გრამატიკული ფორმების გამომსახველობითი შესაძლებლობები, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ლექსიკურ – ფორმოზოგიური სიმდიდრე. სასაუბრო დიალექტური ენის მასალა ლექსებში მხოლოდ ლექსიკა – ფრაზეოლოგიით შემოიფარგლება. ისინი ოსტატურადაა გამოყენებული სტილისტური დანიშნულებით, ხელს უწყობენ არა მარტო მხატვრული ფრაზის შინაარსობრივი მხარის გამოკვეთას, არამედ ემოციური ზემოქმედების გაძლიერებასაც:

„სადამოს მეზობლის ჭრელმა კატამ შემოიხედა ცნობისმოყვარე ჩხატარა თვალებით.

დღეები მაინც ერთმანეთს ჰგვანან: ქორებით, დამსხვრეული ლურჯი სამელნეებით,

ძოწის ფერით, მწუხრის ქარით და ცნობისმოყვარე კატის თვალებით” (98).

ჩხატარა (ჩხია) ჭრელთვალას აღნიშნავს (ა. ლლონტი, 1974: 668). სიტყვა გამოყენებულია სურათის ცოცხლად, დამაჯერებლად, უშუალოდ აღქმისათვის. მხედველობითი ეფექტები ხშირად ავტორისეული შეფასების ორიგინალურ ხერხს წარმოადგენს.

„**ცრიატი** დღეა გვიანი შემოდგომის, ზამთარიც კარზეა ადრიან” (142).

ცრიატი – მკრთალი, ღრუბლიანი... მზიანი და ცივი დღე (ა. ლლონტი: 678).

„არც წვიმს, ცა დაბალია... **ჟიჟმატი**, თვალგაუხარელი ამინდია” (100).

ჟიჟმატი ნიშნავს პატარას, წვრილს (მაგ., მარცვალი), იტყვიან წვიმაზე, როცა წვრილად ცრის (ქეგელ, II, 1990,819).

„დრო ხელს გვიქნევს, **გველიზღება**, სულ არ ესმის ჩემი ტანჯვა, წამება და კირთება,

როგორც გაჩენისას არა, ახლაც არ მეკითხება...” (153).

ლიზღი დიალექტურად გააზრებული არქაიზმია. სულხან - საბა ასე განმარტავს:

ლიზღი - კადნიერად ხუმრობის ურიდალი; **ლიზღობა** - რა კაცი უაღრესსა და უპატიოსნესსა თვისსა კადნიერად და ხუმრობით იტყოდეს და წყენას არ ელოდეს (I,415).

„უშენობის ვნებით **დააღხულს**, შენი წამწამების ჩრდილს შემაფარებს (155).

აღხი - ნაზამთრი მჭლე ცხოველი (სულხან - საბა ორბელიანი, I, 48).

დააღხული - ძლიერი სიცხისგან დამწვარი, დაღეული (იმერ.).

ო. იოსელიანი ხშირად მიმართავს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებს, რომელთა სინტაგმატური მახასიათებელია ურთიერთშენაცვლებადობა:

„მე ჭურჭელი ვიყავი,შენ **შხამ - შარბათ - სამსალა**,

შენმა წასვლამ დამანხო, დამშრიტა და დამცალა” (90).

ტექსტში გვერდიგვერდ გამოყენებულ სიტყვებს შორის ხშირად გვხვდება დიალექტური ფორმა:

„შენ დასაწყისი გერქვა იმისა, რაც უნდა გრქმეოდა.

შენ **რიოში** ხარ, ის - სიწმინდე, ნდობა, ზნეობა” (143).

რიოში - არანამდვილი, ყალბი, შერყვნილი (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2006, 106) – უწმინდური, უსუფთაო (ალ. ჭინჭარაული, 2005: 714).

დიალექტური ფორმები გამოყენებულია კუთხური კოლორიტის შესაქმნელად, უმეტესად კი ისინი პოეტური მეტყველების ისეთი ატრიბუტი ხდება, რომელიც უკეთ ერგება ფრაზას:

„ბევრს მთლად უნდა აეკრძალოს სიყვარულის ხსენება,
ვისაც როგორ დასჭირდა, ვისაც როგორ ენება,
უნდა შეწყდეს ხსენება ასე **წადაუკარე**,

...მერე გამოუდექი და კაკალი უყარე” (12).

წინდაუკარე – (გურ) წამდაუწუმ (ა. ლლონტი: 692).

ოტია იოსელიანის ლექსებში ერთი და იმავე ცნების გადმოსაცემად ხშირად გამოყენებული სინონიმური წყვილები. ლექსიკური სინონიმები ერთი და იმავე დისტრიბუციული კლასის ისეთი ლექსებშია, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობებს საკმარისად დიდი საერთო ნაწილი აქვთ: ისინი მსგავსი ან იდენტური სემანტიკით აღიწერება. სინონიმურ რიგთაგან სიტყვათა სპეციალური შერჩევა გამოსახვის სხვა საშუალებებთან ერთად ქმნის ენობრივი პროდუქციის სტილურ სპეციფიკას, მნიშვნელობრივად დატვირთული ლექსიკური ერთეულების ურთერთწონასწორობა მეტად მგრძობიარე სემანტიკურ ველს ქმნის, სადაც სინონიმთა შორის უმცირეს ნიუანსობრივ სხვაობასაც კი მხატვრული გამოსახვის თვალსაზრისით გარკვეული ფუნქცია ეკისრება.

ა) სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები:

„მე შენი კოშკი ჩემს ქოხთან დავდგი
და ყველა კარი **ამოვქოლე**,
მჭიდროდ **დავგმანე**” (130).

„შენმა წასვლამ დამამხო, **დამშრიტა და დამცალა**” (90).

„არავინ, შენს გარდა, არ მისმობდეს
მეტი **წყურვილით და წადილით**.
ვერავინ შეძლოს გადაბირება
ვერარა ვედრება – ქადილით” (20).

„მაგრამ ხომ იყო დრო რწმენის და ხატის,
ახლა არა, მაგრამ ერთ დროს ხომ იყო...
იყო!
მაგრამ ამითაც, მაგრამ იმითაც,
ამ **საზომით** და იმ **საწყაოთიც**,
ვერას გიგებ, როგორ მიყვარხარ!”

ბ) სინონიმურ წყვილში ერთიანდება, ერთი მხრივ, თანამედროვე ქართულში დამკვიდრებული ლექსიკური ერთეული, მეორე მხრივ – ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვები, გვერდიგვერდ ხმარებისას სინონიმები ხშირად დამაზუსტებელ როლს ასრულებენ, მრავალმხრივ ახასიათებენ ფრაზას.

„ და რისი ეჭვი, რისი წუხილი, რისი **ურვა და რა კაეშანი**,
როცა ვფიქრობ, ხარ თუ რა ხარ, შენთვისა ხარ თუ სხვა დაიპყარი” (128).
„სულ არ ესმის ჩემი ტანჯვა, **წამება და კირთება**,

როგორც გაჩენისას არა, ახლაც არ მეკითხება” (152).

„ხელაპყრობილი ვევედრები მაღალთა შინა, ვემუდარები მუხლმოდრეკილი, რომ შეისმინოს ჩემი **ხვეწნა, აჯა, მუდარა**, წყალობას თვისას ნუ მომაკლებს და სიყვარული ჩემი კვლავაც ჰყოს სიყვარულად” (8).

და დღეს ჩვენ უფლებააყრილი, ტკივილით შეძრული, მაგრამ მოვალეობის ზნეობრივი იმპერატივით დადღასმული, გათითოკაცებული ადამიანები ვართ, ვინძლო ხელში არ ჩაგვაკედეს დროისა და ისტორიის ლაბირინთებიდან ჩვენამდე გამოღწეული, ჩვენი საქართველო. დღევანდელობაზე ფიქრიც ამგვარი სევდიანი განწყობილებებითაა ნაქსოვი, მაგრამ დენიზა სუმბაძე დედო ზარივით ერთმანეთისკენ მოგვისმობს, რათა ჩვენი, მამაპაპურ გზას ასხლეტილი სული „განურჩევ ღობის ზღვაში“ [ილია] არ ჩაიძიროს და არ გაითქვიფოს, ქვეყანამ თავისი სახე სამარადეუამოდ არ დაკარგოს... „უგულოდ დარჩენილ მსოფლიოს სჭირდება ჩვენი გულის მზე“ – აღნიშნავს მეცნიერი და ვფიქრობ, „მზიანი ღამის მეტაფორაში“ უჩვეულო სისადავითაა დაძლეული ისტორიული, თუ ინტელექტუალური ნაპრალები ღვთის მადლით განბრძნობილი მეცნიერის ჭვრეტისა და ნათელხილვის უნარით. სრულიად საქართველოს სულიერი კულტურის „გამყინება“ და დღევანდელი საქართველოს ბედისწერაა დასურათხატებული. ოცდაათი ვერცხლის ჩხრიალში გაყიდული საქართველო და დაშლილი ქართული სული განუზომლად აღემატება ყოველგვარ პირად ტკივილს... სწორედ ასეთ დროს ერის გზისგამკვლევადა, გიორგი მთაწმინდელის ხატებას მოგვივლენს. ბიბლიური აღუზიები ძვირფასი თვლებივით შემოგვანათებენ ქართული საგალობლების კეთილხმოვანი ჰანგებით და იმისთვის, რომ ამგვარი რამ შექმნა, აუცილებელია რწმენა საკუთარი თავისადმი, ერთგულება ეროვნული ფასეულობებისადმი, სიმახ ვილე გონებრივი წარმოსახვისა და დახვეწილი ესთეტიზმი, რასაც „სტრიქონებში ჩაქსოვილი სუნთქვით შეივრძნობ“ [გრიგოლ რობაქიძე]. ყოველივე ეს კი გაიძულებს იფიქრო სულიერების კოლოსალურ აზრსა და მნიშვნელობაზე. ბიბლიური ხალხის წინამძღოლებზე, წმინდა მამათა ყოვლის შემძლეობის დიად მაგალითებზე და ტრაგიკული დეკორაციებით აღბეჭდილ ჩვენს მწარე სინამდვილეზეც. დრმად გაითავისო მეცნიერის მთავარი სათქმელი, რომ თითოეული მოღვაწე პასუხისმგებელია ერის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და მომავლის წინაშე, რომ „ისტორიისათვის ათასი წელი მხოლოდ ერთი დღე“ [რ. სირაძე], რომ „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლაი“ [იოანე საბანისძე]. ყველა დროის ადამიანის ზნეობრივი მრწამსი უნდა გახდეს...

დენიზა სუმბაძემ, უპირველეს ყოვლისა, ღვთის რჯული შეასრულა, უფლის მცნება მოიძია, წარსულის ფარდები შეარხია, საუკუნეების მტვერი ჩამოაცალა და ქართველი ქალის მოვალეობის მარადიულ სათავეში ხელთ იპყრა გასაღები – ჯადო-თილისმა ეკლესიის წინასწარმეტყველებასა და იგავთმეტყველებაზე, იბერიის გაბრწყინებაზე... მადლობა მას ამ ზნეობრივი გმირობისათვის!...

...

და კიდევ ერთი ასოციაციური შტრიხი: [მე პოეზიის თაყვანისმცემელთა რიგებს ვეკუთვნი]. მერაბ კოსტავა ლექსში „შეხვედრა“, დენიზა სუმბაძეზე იტყვის: „მდუმარე სადამო ანთებულ ონიქსებს, გადაჰფენს იესოს სუდარას, ო, როგორ აოცებს ცეცხლის დიონისას თვალებში ღვთისმშობლის მუდარა... ლურჯი კრეტსაბმელი ტატნობთა ინახით გარდასულ სულებით მცდელობა... ნეტა სად იყოფი, ანუ სად, ვინ ნახა, ო, რაბი, სერაბინთა სერობა“. გაივლის დრო და თავის სულიერ ძმას ქალბატონი დენიზა ასე შეესხმიანება: „სანთელზე უფრო თუ არ ვიწვით, წვა თუ არ ვიცით, ერის ანგელოზს თუ არ მივწვდით სათაყვანებლად, ჩვენს ანაბარა მონდობილი ჩვენი ცა-მიწის სიყვარულით თუ არ დავმიწვდით, წვა თუ არ ვიცით, რა ყოფილა ჩვენი სიცოცხლე“ – ესაა ბრძენი მამულიშვილის გადაძახილი თაობისადმი, ყმაწვილობის, სიჭაბუკის, ოცნებათა უბიწობის, ზნეობრივი სიმადლეების, უპირველეს ყოვლისა ჩვენი მეობის, ქართველობის გადა სარჩენად... და არის ამ წიგნში რაღაც საოცარი სინათლე და სულიერი კომფორტი. ღვთიური აღერსიც მენიშნა დიდთა წინაპართა ამა ღლებული სულის, ყოველივე ამაღლებულისა და მშვენიერის...

დენიზა სუმბაძემ თავისი ლამაზი წიგნით შეგვახსენა მარტივი ცხოვრებისეული ჭეშმარიტება, მეცნიერებისათვის თავშეწირულნი ერთეულები რომ არიან. დიას, მეცნიერი ბევრია, მაგრამ მეცნიერებას ერთეულები ჰქმნიან. ქართული მეცნიერებისათვის, სრულიად საქართველოსათვის „ესე არს დღე, რომელი შექმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ მას შინა“ [ფსალმუნი]... მე კი თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ჩემი მოკრძალებული წერილი შეუერთდება ჩვენი სამეცნიერო საზოგადოების მიერ ამ საინტერესო ნაშრომის საყოველთაო განსჯას, შეფასებასა და აღიარებას.

2012 წლის 21 ივლისის დღე გვირგვინად დაადგა ეროვნულ ენერჯიასაც და სულიერებასაც... და რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს ჩვენი სინამდვილე, გიორგი მთაწმინდელის ღვთაებრივ მადლსა და სულიერ სიბრძნეს ქალი-დედა, მეცნიერი, მოღვაწე, თეთრი შრომანებითა და წიგნი-სასწაულით შენივთებულყო და მზერა მიეპყრო „ახალსა ამას საღმრთოსა ერისათვის“...

ლიტერატურა:

1. დ. სუმბაძე, გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ, თბ., 2012.
2. რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982.
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები – ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1992.
4. ც. მესხია, ივი ძალიან ჰგავდა საქართველოს, ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, თბ., №3, 2008.

Tsiala Meskhia
Concept of “A New Divine Nation” in Prediction of Giorgi Mtatsmindeli
Summary

An article reflects the author’s ideas of a Georgian scientist Deniza Sumbadze’s work “Giorgi Mtatsmindeli’s Prediction about Georgian Nation”.

We repeat an idea of well-known Georgian scholars Z. Ratiani, G. Gelashvili, R. Balanchivadze that D. Sumbadze’s book is “a victory of Georgian Scientific conception”.

The main idea of the work is the following: Georgia is the Virgin’s own country and the mission of Georgian nation is clearing of mankind. The issue is studied in the literary heritage of the saint of Georgian church Giorgi Mtatsmindeli as well as in other esoteric works “Qebai da Didebai Qartulisa Enuisai” (“Praising of Georgian Language”) by Ioane-Zosime and “Galonabi Sinanisani” (“Penitential Canon”) by Davit Agmashenebeli (Georgian king David the Builder).

The scholar analyses these works, finds parallels, studies genesis of the Bagrationi dynasty (Georgia kings believed that they were offsprings of the Biblical king David).

The book’s content is mystical and religious. In the article we try to study the main conclusions of the work.

Циала Месхия
Понятие «новой божественной нации» в предсказании Гиорги Мтацминдели
Резюме

В статье отражены отношения автора к монографии грузинского филолога Д. Сумбадзе «Предсказание Гиорги Мтацминдели о грузинском народе».

Мы согласны с мыслью известных грузинских ученых – З. Ратиани, Г. Геловани, Р. Баланчивадзе, что работа Д. Сумбадзе – «победа грузинской научной мысли».

Основная идея книги: Грузия – страна Богородицы, миссия грузинской нации спасение, очищение человечества.

Изучен вопрос о литературном наследии Гиорги Мтацминдели, также в других эзотерических текстах - в «Восхвалении Грузинского языка» Иоанэ – Зосимэ и «Покаянном каноне» Давида Агмашенебели (Грузинского царя Давида Строителя).

Изучены названные труды, найдены параллели, проанализировано происхождение династии Багратиони (грузинские цари верили, что они – потомки библейского Давида).

В книге подняты мистические и религиозные вопросы. В статье изучены основные заключения книги Денизы Сумбадзе.



თამარ ჩოკორაია
(საქართველო)

**პლატონის ბამოქსაბულის ალემორია და ჯემალ ქარჩხაძის „იგი“
(ინტერტიმსტუალური მიმართება)**

ჯემალ ქარჩხაძე (1936-1998) საინტერესო ქართველი მწერალია. მისი შემოქმედება ინტელექტუალურ პროზადაა აღიარებული. რეფლექსიებისადმი მიდრეკილება და პუბლიცისტური პათოსი მისი მწერლური სტილის არსებითი ნიშნებია. ჯ. ქარჩხაძის ნაწარმოებებში ხაზგასმულადაა გამოკვეთილი ინდივიდის თავისუფლების თემა, ლიბერალური ღირებულებები და ქართველი ერის ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ფასეულობების დამკვიდრების სურვილი. უკანასკნელი რომანისათვის („განზომილება“) მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია.

„იგი“ ჯემალ ქარჩხაძის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. მოთხრობა პირველად 1977 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა. „იგი“ გამოქვამულში მცხოვრებ პირველყოფილ ადამიანებზე გვიამბობს. მხატვრული ტექსტის მთავარი აზრი განმანათლებლურია: იგი, მთავარი პერსონაჟი, პირველი ადამიანია, რომელმაც საკუთარ თავში შემეცნებისაკენ სწრაფვა აღმოაჩინა. იგი განსხვავებულად აზროვნებდა, ამის გამო თანატომელების რისხვა დაიმსახურა და სიკვდილით დაისაჯა. მოთხრობის ფინალი გვიჩვენებს, რომ იგის პიროვნულმა ზრდამ სხვებზეც მოახდინა დადებითი გავლენა. ნაწარმოების შინაარსი მოგვაგონებს პლატონის „სახელმწიფოში“ გადმოცემულ გამოქვამულის ალეგორიას. სტატიაში სწორედ ამ ორი ტექსტის მიმართება განხილული.

მოთხრობა „იგის“ პლატონის გამოქვამულის ალეგორიასთან კავშირი შინაარსობრივი მსგავსების გარდა, ფილოსოფიისადმი ჯ. ქარჩხაძის განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამაც გვაფიქრებინა. მისი აზრით, მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ფილოსოფიურ ლიტერატურას: „მხატვრული ლიტერატურის გარდა მწერლისათვის საჭიროა ფილოსოფიისა და რელიგიის ცოდნა“ (ქარჩხაძე 2005:22). გარდა ამისა, ასევე საინტერესოა ხელოვნების მისეული განმარტება: „ადამიანის სულიერი აქტივობა მძლავრი ეულკანური რხევაა, რომელსაც ერთი ბოლო უკიდურეს მისტიციზმში აქვს გადგმული, მეორე - უკიდურეს რაციონალიზმში, ანუ, ამ რხევის ერთი მხარე რელიგიად იშლება, მეორე - ფილოსოფიად, ხოლო შუაში, იქ, სადაც რელიგია და ფილოსოფია ერთმანეთში გადადის, არის ხელოვნება“ (იქვე, 7). ჯ. ქარჩხაძისათვის ფილოსოფოსებიდან ყველაზე გამორჩეული ადგილი პლატონს უკავია: „ფილოსოფიიდან ჩემთვის მუდმივი თანამგზავრი და ხშირი მონატრების საგანი პლატონია“ (იქვე, 22). ამავე დროს მწერლის სხვა ნაწარმოებში („განზომილებაში“) პლატონის, ეკპარტისა და კანტის ფილოსოფიათა თავისებური გადააზრების შესახებაც საუბრობენ (ბერიაშვილი:1). აქედან გამომდინარე, ჯ. ქარჩხაძის პროზაში პლატონის ფილოსოფიის გავლენისა თუ რეცეფციის ძიება მოულოდნელი და ალოგიკური არ უნდა მოგვეჩვენოს.

გამოქვამულის ალეგორია პლატონის „სახელმწიფოს“ (დაახლოებით 380 წ. ძვ. წ.) მეშვიდე თავშია მოთხრობილი. „სახელმწიფო“ პლატონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიალოგია, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო

აზროვნების ისტორიაში. მასში თავმოყრილია ფილოსოფოსის სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული ფილოსოფიური კონცეფციები, რომელშიც განხილულია: იდეათა თეორია, სამართლიანობა, მოქალაქეთა აღზრდის პრინციპები, სახელმწიფოს სახეები (მონარქია, არისტოკრატია, ტირანია, დემოკრატია, ოლიგარქია) (Rosen 2005:1-3). ხოლო დიალოგის მონაწილეები არიან: სოკრატე და გლაკონი, პოლიმარქე, კეფალე, ადიმანტე.

პლატონის გამოქვაბულის ალეგორიისა და ჯ. ქარჩხაძის „იგის“ მიმართების გამოკვეთისათვის საჭიროდ მიმანია გამოქვაბულის ალეგორიის შინაარსის გადმოცემა. „სახელმწიფოს“ მეშვიდე თავი შემდეგნაირად იწყება: „აი, რას შეგიძლია შეადარო ჩვენი ბუნება განათლებისა თუ გაუნათლებლობის მხრივ: წარმოიდგინე ადამიანები, რომლებიც თითქოს მღვიმის მსგავს მიწისქვეშა დილეგში არიან გამომწყვდეულნი“ (პლატონი 2003:241). დილეგში სინათლე ჭრილიდან აღწევს, გამოქვაბულში კი ხელფეხშეკრული პატიმრები სხედან, რომელთაც განძრევა არ შეუძლიათ და ვერც სინათლეს ხედავენ. სინათლეს კი მოგიზგიზე ცეცხლი ასხივებს. ცეცხლსა და პატიმრებს შორის დაბალი კედელია, რომლის მიღმაც მგზავრები მოძრაობენ, რომელთაც ხელში ხისგან გამოთლილი საგნები უჭირავთ და მადლა სწევენ ისე, რომ გამოქვაბულში აჩრდილებად აღიქვამენ. პატიმრებს მობრუნება არ შეუძლიათ, რის გამოც ვერ ხედავენ ნამდვილ ვითარებას და ილუზიების ტყვეობაში იმყოფებიან.

სოკრატე სვამს კითხვას, საინტერესოა რა მოხდებოდა რომელიმე პატიმრისათვის ბორკილები რომ მოეხსნათ და სინათლის მხარეს გაეხედა. ბუნებრივია, თავიდან სინათლე თვალს მოსჭრიდა და ველარაფერს გაარჩევდა, შემდეგ, როცა აუხსნიდნენ ჭეშმარიტ ვითარებას, პატიმარი დაიბნეოდა და ვერ დაიჯერებდა მოულოდნელ სინამდვილეს. ამის გამო უკან დაბრუნებას მოისურვებდა, რის საშუალებასაც არ მისცემდნენ. სინათლეს რომ კარგად შეაჩვევდა თვალს, უკვე შეძლებდა რეალობის დანახვას. განა ამის მერე საკუთარი ძველი ყოფისა და მეგობრების გახსენებისას, გული სიბრაღულით არ აევსებოდა? ცხადია, აღარ ისურვებდა უწინდელ ცხოვრებას და უკან, გამოქვაბულში დაბრუნებულს თვალში მოხვდებოდა სიბნელე. მისი მთავარი მიზანი მეგობრების გადარწმუნება იქნებოდა, რის გამოც თავს ვერ დააღწევდა მათთან კამათს სინათლისა და სიბნელის შესახებ. მას კი არავინ დაუჯერებდა და სასაცილოდაც აიგდებდნენ. უფრო მეტიც, თუ ვინმე შეეცდებოდა პატიმრების ტყვეობიდან დახსნას, უმალვე მოკლავდნენ, რადგან მათთვის ძნელი იქნებოდა ჭეშმარიტების გაგება, მანამ, სანამ თავადაც სინათლისაკენ არ შემობრუნდებოდნენ (პლატონი 2003: 241-245).

„სახელმწიფოს“ იმავე თავში ახსნილია ალეგორიის არსი: ეს არის ადამიანური ყოფის სურათი; გამოქვაბული ხილული სამყაროა, სინათლე კი - მზის სხივი. მადლა ასვლა და საგნების ხილვა არის: „სულის აღმასვლა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ... გონით საწვდომი სამყაროს ზღვარი სიკეთის იდეაა, რომელსაც ძნელად თუ გაარჩევს გონების თვალი, მაგრამ საკმარისია ბუნდოვნად მაინც აღვიქვათ, რომ აქედან უშუალოდ გამოგვაქვს დასკვნა: სწორედ სიკეთის იდეაა ყოველივე ჭეშმარიტისა და მშვენიერის მიზეზი... რომლისგანაც დასაბამს იღებს ჭეშმარიტება და გონიერება“ (პლატონი 2003: 244). ვინც ამ სიმაღლეს მიაღწევს, მას უკვე აღარ შეუძლია უბადრუკ ყოფას მიუბრუნდეს და გამუდმებით სიმაღლისაკენ ისწრაფვის. ამის შემდეგ სოკრატე საუბრობს განათლების შესახებ: „განათლება სულაც არ არის ის, რაც ზოგ-ზოგიერთს ჰგონია, ვისი მტკიცებითაც გაუნათლებელ სულს თითქოს ისე უნდა ჩავუნერგოთ განათლება, როგორც უსინათლო თვალს - ხედვის უნარი“ (პლატონი 2003: 245-246). სოკრატეს თქმით,

ყველა სულს აქვს ამის უნარი, მაგრამ თვალი ვერ დაინახავს სინათლეს, სანამ ადამიანი მთელი სხეულით არ შემობრუნდება. განათლება სულის უნარია, ამიტომაც სოკრატე ასე განმარტავს განათლების არსს: „სწორედ აქ ვლინდება მოქცევის ხელოვნება... რა გზით შეიძლება უფრო ადვილად და ქმედითად მოვაქციოთ კაცი?... ის არასწორადაა მიმართული და იქით როდი იყურება, საითაც ჯერ არს. სწორედ აქ გვმართებს ძალისხმევა, რომ მისი მზერა სწორად მიემართოს“ (პლატონი 2003: 246). ცოდნის უნარი, სოკრატეს თქმით, ხან სასარგებლოა, ხან უსარგებლო, ხანაც ბოროტების მომტანი. მნიშვნელოვანია, რისკენაა ეს უნარი მიმართული, სიკეთისაკენ თუ ბოროტებისაკენ.

პლატონიც „სახელმწიფოს“ მიხედვით, იდეალურ სახელმწიფოში ფილოსოფოსებს განსაკუთრებული მისია აკისრიათ: დაეშვან წყვილადში და სხვებზე იზრუნონ (პლატონი 2003: 246). წყვილადისაგან ნამდვილი საგნების გარჩევის უნარს კი სხვადასხვა მეცნიერებაში გაწაფვა გვივითარებს. სოკრატეს აზრით, იდეალურ სახელმწიფოში აუცილებელია ყველა მოქალაქე ფლობდეს ამ უნარს: „სწავლაში გამჭრიახნი უნდა იყვნენ, ჩემო კეთილო, და ადვილად ეუფლებოდნენ ცოდნას. რადგანაც სულელებს გაცილებით უფრო აკრთობს მეცნიერებათა სირთულე, ვიდრე გიმნასტიკური ვარჯიშებისა. ვინაიდან ტანჯვა-წამება, რასაც ცოდნის შეძენა მოითხოვს, მით უფრო მტკივნეულია სულისათვის, რომ სხეული არ იზიარებს მას“ (პლატონი 2003: 267).

გამოქვაბულის ალეგორია „სახელმწიფოს“ მნიშვნელოვანი თავია და ფილოსოფიის ისტორიასა და მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი ცნობილი თემა. გამოქვაბულის ალეგორია პლატონის იდეათა თეორიის კონტექსტში განიხილება და მისი ფილოსოფიის ორგანული ნაწილია (Rosen 2005: 3). პლატონის გამოქვაბულის ალეგორიის მოხმობის შემდეგ, მნიშვნელოვანია ჯ. ქარჩხაძის მოთხრობის დეტალური გააზრება, რადგან ამ ტექსტებს შორის მსგავსების გარდა აშკარად იკვეთება ბევრი სხვაობაც.

ჯ. ქარჩხაძის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი იგი, პირველყოფილ ტომთან ერთად, გამოქვაბულში ცხოვრობს. თანატომელების მსგავსად, მისი ყოფაც ჩვეულებრივი: იკვებება, სანადიროდ დადის, წელში მოხრილია და მიწას მისჩერებია. თუმცა იგი სხვებისაგან მაინც განსხვავდება: მას უამრავი კითხვა აწუხებს, ბევრს ფიქრობს და ხშირად მარტოა. თავდაპირველად ბელადის მიერ დატოვებულმა ფეხის კვალმა დააფიქრა, რადგან ძველი ბელადის სიკვდილის შემდეგ დარჩა კვალი, იგიმ კი აღმოაჩინა, რომ ადამიანი გარდა ფიზიკური სხეულისა, კიდევ სხვა რამისაგანაც შედგება. დასაწყისში საკუთარი აზრები აბნევდა, მოგვინებით კი ფიქრების დალაგებაც ისწავლა: „უცხო სიტყვები რომ შემოესეოდნენ და იგი მათ ასხმასა და დალაგებას შეუდგებოდა, გაურკვეველი სიმძიმე სხეულში ტკივილად ეღვრებოდა“ (ქარჩხაძე 2009: 201). ნელ-ნელა ხელოვნებისადმი სწრაფვაც გამოავლინა, რაც მისი პირადი აღმოჩენა იყო. იგიმ ხატვა ისწავლა, ნი შეუყვარდა, მასში მშვენიერება დაინახა და მხოლოდ ინსტინქტს არ აჰყოლია. იგის განსხვავებულობა ტომს შეუმჩნეველი არ დარჩა, პირველ რიგში თვალსაჩინო გახდა მისი წელგამართულობა (მეტაფორული მინიშნება: იგის გარეგნული სახე და მისი შინაგანი ბუნება ჰარმონიულია და ყველაფერი მის ინდივიდუალობაზე მეტყველებს). იგის მიმართ აგრესია გაიზარდა, ბელადმა მას სანადიროდ წასვლა აუკრძალა. შემდგომ კი დიდი დაძინების ქარაფისათვის (ანუ სიკვდილისათვის) გაიმეტა. სიკვდილის წინ იგიმ გააცნობიერა: „რომ ყველაზე უფრო, ცის თვალებზე, შორეულ ქედებზე, ზღვაზე და ტყეზე უფრო, მისი წელში მოხრილი, ვიწროშუბლიანი ძმები შესთხოვდნენ და ევედრებოდნენ: გაიმართოს იგი! დაწინაურდეს იგი! იგის სხეულში დიდი

სისწრაფით შემოიჭრა ურიცხვი ტომი. ყველა გამართული იყო, ყველა - მხრებში გაშლილი“ (ქარჩხაძე 2009: 238). მთელი მოთხრობა მთავარი პერსონაჟის შინაგანი მდგომარეობის გადმოცემასა და მისი თვალთ დანახული სამყაროს ჩვენებას ემსახურება.

აქ გასათვალისწინებელია მოთხრობა „იგისა“ და გამოქვაბულის ალეგორიის შინაარსობრივი მსგავსებები და სხვაობები: პლატონის გამოქვაბულის ალეგორიის პერსონაჟი (ცხადია, აქ პერსონაჟი პირობითად შეგვიძლია ვახსენოთ, რადგან პლატონის ალეგორია მხატვრული ნაწარმოები არაა) გონებრივად დაწინაურებული ადამიანია, მან საკუთარი თვალთ დანახი ჭეშმარიტება გაუზიარა მეგობრებს, მაგრამ არ დაუჯერეს და სასიკვდილოდ გაწირეს. იგი გონებრივად სხვებზე ადრე მწიფდება, სხვაგვარად მეტყველებს და აზროვნებს, საკუთარ აღმოჩენებს თანატომელებს უზიარებს, ამიტომაც არასასურველი ადამიანი ხდება, ბოლოს კი სასიკვდილოდ იმეტებენ. შინაარსობრივი ქარგა ჯ. ქარჩხაძის „იგიში“ მეორდება, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი: პლატონის გამოქვაბულის ალეგორია ფილოსოფოსის იდეათა თეორიის გამომხატველია. გამოქვაბულის ლანდები ჭეშმარიტი იდეების ლანდებია, ხოლო გამოქვაბული ამქვეყნიური სამყაროს ალეგორია, სინათლე და მზის ნათელი - სიკეთის, რომელიც ყოველივეს მიზეზია (ქარჩხაძე 2009: 244-247). როგორც ვხედავთ, ეს ალეგორია ფილოსოფოსმა საკუთარი კონცეფციის ილუსტრირებისათვის მოიხმო. ჯ. ქარჩხაძის ტექსტი კი მოთხრობაა, მხატვრული ჟანრი. „იგიში“ მთავარი თემა შეცვლილია: იგი, უნებურად, ბელადსა და ჩაკეტილ საზოგადოებას უპირისპირდება, რომლისთვისაც ინდივიდის თავისუფლება მიუღებელი ფენომენია. ამ აზრით, მწერალი ლიბერალური იდეოლოგიის დამამკვიდრებელია. გარდა ამისა, მოთხრობაში შინაარსის სხვა ელემენტებია წინ წამოწეული და სხვა თემები. ამიტომაც მოთხრობა „იგის“ ვერ ჩავთვლით პლატონის გამოქვაბულის ალეგორიის მხატვრულ ტრანსფორმაციად ან უბრალოდ მისი გავლენით შექმნილ ტექსტად. ვფიქრობ, ეს მიმართება, გარკვეულწილად, ინტერტექსტუალურ ხასიათს უნდა ატარებდეს.

ამ ორ ტექსტს შორის ინტერტექსტუალურ მიმართებაზე საუბრის დაწყების წინ, საჭიროდ მიმაჩნია ტერმინ ინტერტექსტუალობის განსაზღვრების გახსენება. ტექსტებს შორის არსებობს მოტივირებული, წინასწარგანსაზღვრული კავშირი (6, 74). ახალი და წინარეტექსტების ინტერტექსტუალური მიმართება შემთხვევითობას გამორიცხავს და მხოლოდ ავტორის მიზანმიმართული ჩანაფიქრის ნაწილია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის შეტყობინების გაშიფვრის დროს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ორი სახის ინტერტექსტუალურ სიგნალებს: ექსპლიციტური (აშკარა) და იმპლიციტური (ფარული). ექსპლიციტურ სიგნალებში შედის: წინარეტექსტის ციტირება, ციტირებისას განსხვავებული შრიფტი, საკუთარი სახელები, წინარეტექსტზე რაიმე სახის მითითება, ეპიგრაფი, სქოლიო, სათაური, ქვესათაური, წინათქმა, ბოლოსიტყვა. იმპლიციტური სიგნალებია: წინარეტექსტის პერსონაჟების, მოტივებისა და სტილისტიკური ხერხების განმეორება, აღუზიები. ორივე შემთხვევაში წინარეტექსტი ახალი ტექსტის ინტერპრეტირებაში გვეხმარება (ცაგარელი 2008: 78-79).

ჯ. ქარჩხაძის მოთხრობა „იგიში“ არ გვხდება ინტერტექსტუალობის ექსპლიციტური სიგნალები: ციტირება პლატონის „სახელმწიფოდან“, საკუთარი სახელები, წინარეტექსტზე რაიმე სახის მითითება, ეპიგრაფი, სქოლიო, სათაური, ქვესათაური, წინათქმა, ბოლოსიტყვა, რაიმე სახის ინფორმაცია პლატონის „სახელმწიფოს“ ან გამოქვაბულის ალეგორიის შესახებ. თუმცა მათ შორის

შინაარსობრივი თუ კონცეპტუალური მიმართება მაინც აშკარაა, ამიტომაც საინტერესოა იმპლიციტური სიგნალები.

პლატონის „სახელმწიფოშივე“ მოცემული განმარტებიდან გამომდინარე, კომენტატორები ალეგორიას განმანათლებლური ფილოსოფიის პოზიციიდან ხსნიან. მისი მთავარი აზრი (განათლების შესახებ) შემდეგია: ყოველ განათლებულ პიროვნებას გარკვეული მოვალეობა და პასუხისმგებლობა ენიჭება სხვების წინაშე; განათლება არ გულისხმობს ინფორმაციის მოთავსებას ცარიელ გონებაში, არამედ გონებისა და გაგების უნარის განვითარებას. ამ უნარს კი ყოველი ადამიანი ფლობს. ამ თვალსაზრისით პლატონი რაციონალიზმის ფუძემდებელია (Cooney 1993: 22-30). გამოქვაბულის ალეგორიის პლატონისეული განმარტებით, გამოქვაბულიდან გასვლა და სინათლის ხილვა ნიშნავს გონით ამაღლებას, შემეცნების პროცესს (პლატონი 2003: 246). „იგიში“ გამოქვაბულიდან გასვლის მოტივი სიმბოლურად იგის წელგამართულობის მეტაფორით მეორდება. იგი იწყებს აზროვნებას და მისი Homo Sapiens-ად ქცევა ამ მეტაფორითაც ჩანს. ტომის დანარჩენი წევრები პირუტყვის მსგავსად მიწამდე მოხრილები დადიან, მათი გონებრივი განვითარება ამ ფიზიკური მდგომარეობის ადეკვატურია. იგის სხვებისაგან სწორედ შემეცნებითი პროცესის გააქტიურება განასხვავებს. ისი ჩამოყალიბება განსხვავებული სიტყვებითაც ჩანს: „იგის ისეთი სიტყვები აქვს, როგორც სხვებს არა აქვთ“ (ქარჩხაძე 2009: 227). იგი კი ასე იმართლებს თავს საკუთარი ტომისა და ბელადის წინაშე: „იგის არა აქვს სიტყვები. სიტყვები არავის არა აქვს. სიტყვები რაღაცაა და თავისთვისაა. ხოლო რაღაცა ყველაგანაა. ხეში, ზღვაში, შორეულ ქედებში... ხანდახან იგის თავში შემოდის, იქ სიტყვებად იქცევა და პირიდან გამოდის. განა სხვებს არ დამართნიათ ასეთი რამ? განა ბელადს არ დამართნია ასეთი რამ? - არა. ბელადს არ დამართნია! - დიდი ხმით თქვა ბელადმა“ (ქარჩხაძე 2009: 228). იგის სიტყვებმა ბელადში ბრაზი გამოიწვია და შედეგმაც არ დააყოვნა: „როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის, იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება“ (ქარჩხაძე 2009: 232). ასეთია ბელადის განაჩენი, სადაც აშკარაა პლატონის გამოქვაბულის ალეგორიის გამოძახილი. იგი ხედავს ჭეშმარიტებას, მაგრამ სხვებს მისი არ სწამთ და კლავენ. გარდა ამისა, ეს ეპიზოდი ინდივიდის თავისუფლების კონტექსტშიც განიხილება, რითაც ამ მოტივს დამატებითი აზრი ენიჭება: იგი თავისუფალი ინდივიდია, მას ზღუდავენ და განსხვავებულ ადამიანად ყოფნის უფლებას ართმევენ. იგის პირველყოფილი ტომი ჩაკეტილი, ქსენოფობიური და არატოლერანტული საზოგადოების მინიმოდელია. მოთხრობა ალეგორიაა იმ საზოგადოების, რომლის წევრიც თავად მწერალია. ამდენად პლატონის ალეგორიის მოტივები „იგიში“ ინდივიდუალურადაა გადააზრებული.

პლატონის გამოქვაბულის ალეგორიის მოხმობა დამატებით აზრს სძენს მოთხრობის ფინალს. მართალია, იგის კლავენ, მაგრამ მას თანატომელების მიმართ თანაგრძნობის განცდა უჩნდება. იგის შეუძლია მათ თვალეში დაინახოს ის, რასაც ჯერ თავადაც ვერ აცნობიერებენ: „მისი წელში მოხრილი, ვიწროშუბლიანი ძმები შესთხოვდნენ და ევედრებოდნენ: გაიმართოს იგი! დაწინაურდეს იგი!“ (ქარჩხაძე 2009: 238). ეს მოტივიც, კერძოდ, ფილოსოფოსის ვადლებულება საკუთარი თანამოქალაქეების მიმართ, მოგვაგონებს პლატონის „სახელმწიფოს“.

იგის სიკვდილისწინა ხილვა საინტერესოა მეტაფორული თვალსაზრისითაც: „იგის სხეულში დიდი სისწრაფით შემოიჭრა ურიცხვი ტომი. ყველა გამართული იყო, ყველა - მხრებში გაშლილი. ცას უყურებდნენ. სხივოსანი თვალები ჰქონდათ. მხრებზე რაღაც თეთრი წამოესხათ და ეს თეთრი მოსასხამები დღის თვალის

შუქზე დღის თვალებივით ლაპლაპებდნენ. და საკვირველი ტომი ისე შემოიჭრა ივის სხეულში, რომ იქ ყველაფერი გაანათა. იგი ზუსაც უყურებდა, სხივოსან ტომსაც და თავის განათებულ სხეულსაც“ (ქარხხაძე 2009: 238). მწერალი გარკვეულ ასოციაციურ გადაძახილს უნდა მიმართავდეს. ბნელი გამოქვაბული, ხომ, პლატონის თანახმად, ადამიანური ყოფის ალეგორიაა, ხოლო თვალისმომჭრელი სინათლე მზის სხივია. გამოქვაბულიდან მაღლა ასვლა და სინათლის ხილვა უტოლდება გონების ამაღლებას, შემეცნებით პროცესს. „სახელმწიფოს“ ამ მონაკვეთში მზის იდეაა განმარტებული, ამიტომაც ისევ მოვიხმობ ამ ციტატას: „გონით საწვდომი სამყაროს ზღვარი სიკეთის იდეაა, რომელსაც ძნელად თუ გაარჩევს გონების თვალი, მაგრამ საკმარისია ბუნდოვნად მაინც აღვიქვათ, რომ აქედან უშუალოდ გამოგვაქვს დასკვნა: სწორედ სიკეთის იდეაა ყოველივე ჭეშმარიტისა და მშვენიერის მიზეზი... რომლისგანაც დასაბამს იღებს ჭეშმარიტება და გონიერება“ (პლატონი 2003: 244). აქედან ჩანს, რომ პლატონისათვის სიკეთის იდეა უმთავრესია, ხოლო მშვენიერება და ჭეშმარიტება მისგან იღებს სათავეს. სოკრატე დიალოგში აღნიშნავს: „რაც შეეხება ცოდნის უნარს, ეს, ეტყობა, რაღაც უფრო ღვთაებრივია, რაკილა არასოდეს არ კარგავს თავის ძალას და იმის მიხედვით, თუ რისკენაა მიმართული, ხან სასარგებლოა და სასიკეთო, ხანაც უსარგებლო და უკეთური“ (პლატონი 2003: 246). „სახელმწიფოს“ ამ თავში დასმულია პლატონის იდეა „სიკეთის იდეის როგორც ყოველივეს გამოფორმებლის და საბოლოო მიზნის“ (შესავალი... 2010: 7). ამიტომაც, „ცოდნის უნარი“ სინათლისაკენ - სიკეთის იდეისაკენ უნდა იყოს მიმართული, რათა სასარგებლო იყოს. ფილოსოფოსის ფუნქცია კი „სახელმწიფოს“ თანახმად, სხვებზე ზრუნვაა (პლატონი 2003: 248).

მოთხრობა „ივის“ ფინალში გადმოცემული ხილვა – განათებული, გასხივოსნებული თანატომელებისა – პლატონის „სახელმწიფოს“ ალეგორიის აღუზია უნდა იყოს. იგი გაბოროტებული თანატომელების არსში ღრმად იხედება, ამჩნევს მათ დაფარულ პოტენციალს, შეუძლია და სურს ისინიც სწორი მიმართულებით წარმართოს. ამის მეტაფორული გამოხატულებაა ივის თვალში მათი გასხივოსნება, სინათლესთან მიახლოება. (პლატონის „სახელმწიფოს“ გამოქვაბულის ალეგორიის თანახმად ხომ გამოქვაბულიდან ამოსვლა და სინათლის დანახვა ჭეშმარიტებასთან ზიარებაა). ამით იგი თანატომელებში მსგავსებას ხედავს. იგი პირველი იყო, ვინც ჭეშმარიტება იხილა, მაგრამ მათაც აქვთ შინაგანად ამის უნარი. პლატონის „სახელმწიფოს“ მიხედვით: „ყველა სულს აქვს ამის (განათლების) უნარი და სათანადო იარაღიც მოეძებნება“ (პლატონი 2003:245-246). ივის ხილვა სწორედ ამ იდეას იმეორებს: თანატომელები ივის მოუწოდებენ გაიმართოს, დაწინაურდეს და თავადაც გასხივოსნებული თვალები აქვთ, ივის სხეულიც განათებულია. მიუხედავად განსხვავებული ცხოვრებისეული პოზიციებისა, იგი და მისი ტომელები ჰგვანან ერთმანეთს. ეს კი იძლევა იმის იმედს, რომ ისინიც გამოავლენენ საკუთარ თავში ამ დაფარულ ნიჭს და ივის მსგავსად განავითარებენ. მოთხრობის იმედიანი განწყობა ზუს გამოჩენითა და ივის ხილვით მართლდება.

ვფიქრობ, ამ პასაჟში ავტორმა გამოქვაბულის ალეგორიის აღუზია გამოიყენა, მასში იმპლიციტურად ჩადო ინტერტექსტუალური გადაძახილი და ამით მოთხრობის ინტენციაში გარკვეული აზრი შეიტანა. ეს კი ინტერტექსტუალობის მთავარი კომუნიკაციური ასპექტია, კერძოდ, ინტერტექსტუალური მიმართების გათვალისწინება გვეხმარება ტექსტის შეტყობინების გაშიფვრაში.

ჟ. ქარხხაძის „ივი“ იმეორებს პლატონის გამოქვაბულის გარკვეულ მოტივებსა და პასაჟებს: გამოქვაბულიდან გამოსვლა სიმბოლურად, ანუ გონებრივი

ამაღლება, ჭეშმარიტების ხილვა, ფილოსოფოსის მარტოობა, თამოძმეთა მიმართ სიბრალული და ფილოსოფოსის მოქალაქეობრივი მოვალეობა, თანატომელების მხრიდან ზურგის შექცევა და ფილოსოფოსის უგულვებელყოფა, თანატომელთა შურისძიება, შურისმაძიებლთა და მსხვერპლის შინაგანი მსგავსება, სინათლე. ეს საერთო ფილოსოფიური პარადიგმა გვეხმარება ჯ. ქარჩხაძის ნაწარმოების ინტერპრეტირებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრული ტექსტის ფინალი, სადაც მეტაფორული აღუზია ისეა დაშიფრული, რომ გამოქვაბულის აღდგორიასთან ინტერტექსტუალური მიმართებაა ხაზგასმული, ეს კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ „იგი“ დამოუკიდებელი ნაწარმოებია.

ლიტერატურა:

1. ბერიაშვილი მ., ქარჩხაძე ჯ., <http://www.press.tsu.ge/GEO/mimdinare%20kartuli/interviu%20mcerlebtan/proza/jemal%20qarchxadze/jemalindex.html>.
2. პლატონი, სახელმწიფო, თბ., 2003.
3. ქარჩხაძე ჯ., პუბლიცისტიკა, თბ., 2005.
4. ქარჩხაძე ჯ., მოთხრობები. სრული კრებული, თბ., 2009.
5. ცაგარელი ლ., არნო შმიტის გვიანდელი პროზა – როგორც მეტაფიქცია, (დისერტაცია), თბ., 2008.
6. Cooney W., Cross Ch., Trunk B., From Plato to Piaget: Educational theorists from Across the centeries and around the world, University Press of America, 1993.
7. Rosen S, Plato's Republic. A study, Yele University Press, New haven, London, 2005.

Tamar Chokoraia
Plato's Allegory of the Cave and Jemal Karchkhadze's "He"
(Interxectual relationship)
Summary

“He” is Jemal Karchkhadze's one of the most important works. The plot of the story reminds us Allegory of the Cave from Plato's “Republic”. In this article we study the relation between these two texts. Despite the plot resemblance, the contexts of these texts are different. Plato's Allegory of the Cave expresses Platos's theory of ideas. On the other hand, it is an important opposition between individual and society in Jemal Karchkhadze's story. “He” can't be suggested as fictional transformation of Plato's Allegory of the Cave or as a text made by influence of allegory. The relationship between these two texts might be regarded as an intertextual relationship.

Тамар Чокорая
Платон - аллегория пещеры и рассказ Джемала Карчхадзе «Он»
(Интертекстуальная связь)
Резюме

Рассказ “Он” один из самых значительных произведений Джемала Карчхадзе, содержание которого напоминает аллeгорию пещеры из произведений Платона “Государство”. В статье изучены отношения этих двух текстов. Несмотря на сходство содержания, контекст разнообразен. Аллегория пещеры Платона изображает теорию идеи философа, а в рассказе Карчхадзе основной темой является конфронтация индивида и общества. Рассказ Карчхадзе значительно отличается от аллeгии пещеры Платона, поэтому нельзя считать рассказ “Он” художественной трансформацией аллeгии пещеры Платона или текстом, созданным под влиянием Платона. Отношение между этими произведениями вкладываются в интертекстуальные рамки.



თამარ გეგეშიძე
(საქართველო)

**უსიძონალიტიკური თემატიკა ოთარ ჭილაძის რომანებში
(„ყოველმან ჩემიან მოწმელმან“, „მარტის მამალი“, „ბოლორი“)**

ოთარ ჭილაძე იმ ქართველ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც მე-20 საუკუნის ინტერდისციპლინარულ გარემოში, ლიტერატურული ნაწარმოების რეალობისა და პერსონაჟების უკეთ წარმოსახენად, არაერთ მეცნიერებასა თუ მიმდინარეობას მიმართეს. მათ შორის ფსიქოლოგიას და კონკრეტულად ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზს. იმ დროს, როცა ლიტერატურულ ასპარეზზე ოთარ ჭილაძე გამოდის, ფროიდის მეთოდი სიახლეს აღარ წარმოადგენს. ამ პერიოდისთვის არსებობს კარლგ გუსტავ იუნგის მოძღვრებაც კოლექტიურ არაცნობიერზე და ჩამოყალიბებულია ნეოფროიდისტული მიმართულებაც, მაგრამ ფროიდი მაინც რჩება წამყვან ფიგურად არაცნობიერის კვლევის დარგში. შესაბამისად, როდესაც ოთარ ჭილაძე თავის რომანებში ცდილობს, მოგონებების, წამოცდენებისა თუ ასოციაციების საშუალებით გააანალიზოს თავისი გმირების საქციელი, გაარკვიოს ურთიერთობა მამებსა და შვილებს შორის ან რომელიმე პერსონაჟის ცხოვრების წარმმართველ ფაქტორად მიიჩნიოს სექსუალური ენერჯია, აქ ცხადია, აშკარად იგრძნობა კლასიკური ფსიქოანალიზის გავლენა.

ფროიდის მოძღვრება პიროვნების შესახებ უამრავ ასპექტს მოიცავს, დაწყებული ადამიანის განვითარების სხვადასხვა ეტაპის კვლევით, დასრულებული პიროვნების სტრუქტურის მოდელის შექმნით, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთობაა - არაცნობიერში დაგროვილია განდევნილი, ტრავმატული ან საზოგადოებისთვის მიუღებელი შინაარსები (სურვილები), რომლებიც ხშირად სექსუალურ ხასიათს ატარებს. ამ შინაარსების გამჟღავნება პიროვნებისთვის საფრთხის შემცველია, ამიტომ ცნობიერი აკონტროლებს ამ პროცესს და ახდენს ამგვარი სურვილების სუბლიმაციას, გაკეთილშობილებას. ნორმალურ, ჯანმრთელ ადამიანში “კონტროლი” ძლიერია. მაგრამ ზოგ შემთხვევაში არაცნობიერი შინაარსების მუდმივად განდევნა შეუძლებელი ხდება და ეს უარყოფითად აისახება ადამიანის მენტალურ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. ასეთ დროს გამოსავალი ერთია - არაცნობიერი მისაწვდომი უნდა გახდეს ცნობიერისთვის და მოხდეს პრობლემის არსის გაცნობიერება (9, 10). ფროიდი აღნიშნავდა, რომ მას ხელოვნების არსის შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლია და ფსიქოანალიტიკური კვლევის საგანი შეიძლება გახდეს მხოლოდ ნაწარმოების შექმნის პროცესი, შესაბამისად, ავტორის ფსიქიკური თავისებურებები, მაგრამ ლიტერატურამ ფროიდის მოძღვრება ნაწარმოებების პერსონაჟების ფსიქიკისა და არაცნობიერის ამოსახსნელადაც გამოიყენა, რაც, ცხადია, რეალური ადამიანის ფსიქიკის ანალოგიითაა შექმნილი (3, 71).

ადრე ლიტერატურულ ნაწარმოებებში სიყვარულისა და მიზიდულობის თემა უფრო ხელშეუხებელი და წმინდა იყო, მე-20 საუკუნეში, როცა სრულად შეიცვალა დამოკიდებულება ჭეშმარიტების არსთან დაკავშირებით, და საერთოდაც, ეჭვქვეშ დადგა ჭეშმარიტების არსებობის საკითხი, მხატვრულმა ნაწარმოებებმა სააშკარაოზე გამოიტანეს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ინტიმური დეტალები, დაუფარავად გამოვლინდა პერსონაჟის ლტოლვები და ვნებები, სიყვარული კი სექსუალურ მოთხოვნილებას გაუთანაბრდა. ეს ტენდენცია მე-20 საუკუნის

დასაწყისში ქართულ პროზაშიც გაჩნდა და სქესთა ურთიერთობაზე საუბარი პირველად შიო არაგვისპირელმა დაიწყო. თუმცა მწერალმა ყველაფერში მხოლოდ სიბილწე და გარყვნილება დაინახა და, შესაბამისად, დაგმო ურთიერთობის ამგვარი ფორმა. მოგვიანებით კი უკვე მიხეილ ჯავახიშვილი იწყებს წერას ხორციელ ლტოლვაზე, მაგრამ აქ უკვე არა საკუთარი მწერლური კონცეფციიდან გამომდინარე, არამედ ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებაზე დაყრდნობით, რომელიც ამ დროს მთელს მსოფლიოშია პოპულარული. მწერალი ზედმიწევნით კარგად იცნობს “ფსიქოანალიზს” და ეს კარგად ჩანს მის მოთხრობებში: “ოქროს კბილი”, “კურდღელი” და “პატარა დედაკაცი”, სადაც ჯავახიშვილმა ფსიქოანალიზის მთავარი პრობლემები დასვა – არაცნობიერისა და ცნობიერის კონფლიქტის საკითხი და ამის ნიადაგზე ჩამოყალიბებული არასრულფასოვანი პიროვნების ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სექსუალური ურთიერთობის მნიშვნელობა, “კურდღელში” კი თავად ფსიქოანალიტიკური მკურნალობის მეთოდიც წარმოადგინა. მიხეილ ჯავახიშვილის ფროიდთან მიმართებაზე ამომწურავად საუბრობს თეიმურაზ დოიაშვილი სტატიაში: “მიხეილ ჯავახიშვილი და ფსიქოანალიზი”. კრიტიკოსი წერს: „რომელი “მეცნიერული დებულების” თანახმად ცდილობს მწერალი სქესის პრობლემის გადაჭრას? ვფიქრობ, პასუხი ფროიდიზმის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს – სწორედ ზ. ფროიდი ცდილობს დაამტკიცოს სქესობრივი ლტოლვის პრიორიტეტი პიროვნების ჩამოყალიბებაში სხვა ფაქტორებთან შედარებით“ (1, 373).

რაც შეეხება ოთარ ჭილაძის ტექსტებს, აქ შეგვიძლია, ვისაუბროთ ფროიდის თეორიის აშკარა გამოძახილზე, მაგრამ ის პრობლემები, რომლებიც ფროიდის თეორიის გავლენის შედეგადაა დასმული, ყოველთვის მრავალფუნქციური და მნიშვნელოვანია, ამიტომ განსაკუთრებულ როლს თამაშობს რომანის სიუჟეტისა თუ პერსონაჟის შინაგანი სამყაროს განვითარებისას. ამ ნაშრომში ჩვენ შევეხებით ოთარ ჭილაძის პროზაში განვითარებულ ფსიქოანალიტიკურ თემატიკას, იქნება ეს მამისა და ძის ურთიერთობა თუ სექსუალური ენერჯის, ლიბიდოს აქტივობის საკითხი პიროვნების ფორმირებისას. ნაშრომი მოიცავს სამ რომანს: “ყოველმან ჩემმან მპოვნელმან”, “მარტის მამალი” და “გოდორი”.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ოთარ ჭილაძის ფროიდისადმი მიმართების საკითხი სიღრმისეულად შესწავლილი არ არის, თუმცა ეს პრობლემა დასვა რამდენიმე კრიტიკოსმა. კრიტიკოსი თათა ცოფურიშვილი სტატიაში “კოლექტიური ფსიქოანალიზის ლიტერატურული ანშლაგი” ამტკიცებს, რომ “გოდორის” არსი და კონფლიქტის საფუძველი ფროიდისტულია (5, ბ3). კაშელების მთელი საგვარეულო ხომ იმ ორი წლის ბიჭიდან დაიწყო, რომელიც დიდი ინტერესით უთვალთვალებდა დედამისისა და მისი საყვარლის ალერსს გოდორიდან (ფროიდს თუ მოვიშველიებთ, პიროვნების ლტოლვები და ინსტინქტები ასეთ პატარა ასაკში იწყებს ჩამოყალიბებას და სწორედ გარემო ფაქტორები განაპირობებენ განვითარების ამ თუ იმ სტადიის კონკრეტულ შედეგს (10, 18-22)) “ასეთი მიგნება ფროიდსაც შეშურდებოდა უდავოდ. ... ფსიქოანალიზის ქართული მხატვრული ინტერპრეტაციით, გოდორში ჩაგდებული ორი წლის რაჟდენ კაშელის სექსუალურმა შთაბეჭდილებებმა მთელი მოდგმა დაამახინჯა საუკუნოდ. მოკლედ, ისდა დაგვრჩენია, ამაშიც სიმბოლიზში დავინახოთ და არა ფროიდზე, უფრო ფროიდის მიერ ერისთვის ჩატარებული ფსიქოანალიზი” (5, ბ3) ამიტომ კრიტიკოსის თქმით, თაობათა ამ სიმბოლური თავგადასავლის პრობლემა, იუნგის სიტყვებით, კოლექტიურ არაცნობიერშია მოსაძებნი. კრიტიკოსი ზეინაბ კიკვიძე კი სტატიაში “ცნობიერების ნაკადის” ტექნიკა ო. ჭილაძის რომანში “გოდორი” წერს, რომ ამ რომანში დარღვეულია ტრადიციული, ფროიდისეული გაგება მამა-ძის ურთიერთობისა (სადაც შვილი ცდილობს დაიკავოს მამის ადგილი, რათა შემდეგ

თავად იყოს უარყოფილი საკუთარი შვილის მიერ) და ოთარ ჭილაძეს შემოაქვს ახალი ჰიპოსტასი, რომლის დროსაც შვილია მამის მიერ უარყოფილი: “ყალიბდება “ოიდიპოსის კომპლექსის” ახალი ინცესტური სახე: ზიზღი საკუთარი შვილის მიმართ და სექსუალური ლტოლვა რძლის მიმართ” (2, 27). ამგვარ მოსაზრებას, შესაძლოა, არ დავეთანხმოთ, მაგრამ ის მაინც საინტერესოა ჭილაძის პროზის ამ კუთხით შესწავლისას.

ფროიდის მიხედვით, ყველა ადამიანი დამუხტულია სხვადასხვა სწრაფვით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია სექსუალური სწრაფვა. არაცნობიერის მოქმედებას წარმართავს სიამოვნების პრინციპი. მაგრამ სიამოვნება თავის გზაზე ხვდება დაბრკოლებებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველთვის მოსალოდნელია დაპირისპირება სიამოვნებასა და რეალობას შორის (1, 375). ამ კონფლიქტის ნიადაგზე ყალიბდება ადამიანის ხასიათი, რაც მნიშვნელოვანწილად იქმნება სექსუალური აგზნების მასალისგან და შედგება ბავშვობაშივე ფიქსირებული ლტოლვებისგან. მსგავს ლტოლვებზე შეგვიძლია ვისაუბროთ, თუკი ოთარ ჭილაძის ერთ-ერთი გმირის, ალექსანდრე მაკაბელის (რომანიდან “ყოველმან ჩემმან მპოვნელმან”) ცხოვრებას დავაკვირდებით.

ალექსანდრე და მისი ძმა ნიკო მოზარდი ბიჭები იყვნენ, როდესაც ქალთან ურთიერთობის სურვილი გაუჩნდათ: „იმ დღეს, ნიკო და ალექსანდრე... შინ დარჩნენ და დუხაბორის ქალს დაუწყეს ბღლარძუნი. ლეკვებით ფეხებში უგორდებოდნენ ტაშტზე გადმოხრილ ქალს, კაბის კალთას უწევდნენ და ცდილობდნენ როგორმე შეეხედათ ქვეშ. ... ბავშვებს აღარაფერი ესმოდათ, დუხაბორი ქალის ხითხითის მეტი, ვერაფერს ხედავდნენ მრგვალი, აღაუქალებული, სულელურად მომღიმარი სახის გარდა, და ერთი სული ჰქონდათ, ... სადმე მაინც მოეკიდათ ხელი აკონწიალებული კაბისთვის. ... ამ დროს ოთარში ქაიხოსრო შემოვიდა. ... არავის დაუნახავს, როდის შეიხსნა ქამარი, მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს, როცა ჯერ კიდევ მოუტეხავმა ტყავმა ჰაერი წივილით გახია და იატაკზე დაყრილ ბავშვებს მღუღარესავით გადაესხათ” (8, 161-162). ეს მომენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვების შემდგომ ცხოვრებაში. ამ მოვლენამ, როცა მათ პირველი სექსუალური მისწრაფებები გამოავლინეს, ყველაფერი შეცვალა. ისინი ბუნებრივად იქცეოდნენ, მაგრამ ქაიხოსრომ ამ „თამაშისთვის” დასაჯა, რისთვისაც მას თავისი მიზეზები ჰქონდა - არ უნდოდა ელიარებინა, რომ ბიჭების ზრდასთან ერთად, თავადაც ემატებოდა წლები, რაც უფრო და უფრო აახლოვებდა სიკვდილს.

„თამაშის“ შეწყვეტამ ბიჭებში უსახვრო აგრესია გამოიწვია, რისგანაც დიდი ხნის განმავლობაში ვერ გათავისუფლდნენ. ისინი ჯერ ხელებში ეცნენ ქაიხოსროს და ქამარს სტაცებდნენ, შემდეგ კი ძმებმა პაპას შეთქმულება მოუწყვეს და საღორე ააფეთქეს, რის შედეგადაც ალექსანდრემ მარცხენა ხელი დაკარგა: “იმდამინდელი ელდა, ტკივილი და საკუთარი უსუსურობის შეგრძნება გამოუთქმელ ბოღმად, გამოურწყავ ბალრამად ჩაიღეჭა სამუდამოდ ორი პატარა ბიჭის სულში, სადაც ჯერ კიდევ არ შექმნილიყო სამყარო, ჯერ კიდევ უღმერთო ქოსი და წყვილი სუფევდა. ცხადია, ბიჭებმა შური იძიეს პაპაზე, უფრო სწორად, შურისძიება უნდოდათ და ამიტომ აირჩიეს ასაფეთქებლად საღორე, რომელშიაც მათი პაპა ყოველ წელიწადს ღორს ასუქებდა” (8, 166). ამის შემდეგ ნიკო განიკურნა აგრესიისგან, თუმცა სამუდამოდ გაუუცხოვდა ოჯახს და დატოვა სახლი, მაგრამ ალექსანდრემ ბოღმა უფრო ღრმად ჩაიღო გულში, გრძნობას განვითარების საშუალება მისცა და კიდევ არაერთი წელი შესწირა ბავშვობისდროინდელ აგრესიას, რომელიც სიძულვილად ჩამოყალიბდა: სიძულვილად პაპისადმი, სახლისადმი, საკუთარი თავისადმიც. ამან კი მისი პიროვნება შეცვალა, გააუხეშა, გახადა გულგრილი გარშემომყოფების მიმართ. სხვა შემთხვევაში, ის,

შესაძლოა, სრულიად სხვაგვარ ადამიანად ჩამოყალიბებულიყო. ეს სწორედ პაპის ჩარევამ გამოიწვია. როგორც ვხედავთ, „ფროიდისტულმა კონფლიქტმა სიამონებისკენ მისწრაფებასა და რეალობას შორის თავისი დადასტურება ჰპოვა” (1, 375). სწორედ აქ შეიძლება გავიხსენოთ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „ოქროს კბილი” და მისი გმირი თომა, რომელსაც ათი წლის ასაკში მეზობელ გოგოსთან “ცუღლუტობისას” გოგოს მამამ მიუსწრო და გაწკეპლა. მაგრამ თომას შემთხვევაში ეროტიზმის განვითარების გარკვეულ ფაზაში შეფერხებამ წარმოშვა კომპლექსები - სირცხვილი, შიში, პედანტობა, მორალური განცდები, ალექსანდრეს შემთხვევაში კი პირიქით – სრული აღვირახსნილობა, თავშეუკავებლობა, აგრესია და სიძულვილი. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ქაიხოსროს საქციელის გამოძახილია, რაც რადიკალურად ცვლის გმირს და განსაზღვრავს მის შემდგომ ცხოვრებას.

გამოსაჯანმრთელებლად მონასტერში გაგზავნილი ალექსანდრე მაროს გაიცნობს, რომელიც, შეიძლება ითქვას, ასევე კლასიკური ფსიქოანალიზის გავლენით შექმნილი ტიპაჟია. მაროს ცხოვრებაც ბავშვობაში, თხუთმეტი წლის ასაკში, მომხდარმა ფაქტმა განსაზღვა - მარო მესაფლავე იაგორამ გააუპატიურა. ამის შემდეგ ისედაც კოჭლი და შეუხედავი მარო, თავს კარგად მხოლოდ ავადმყოფებსა და მომაკვდავებს შორის გრძნობს. ჩვეულებრივი ადამიანის გონებაში მოქმედებს „გონების ცენზურა”, რაც ბევრ რამეს კრძალავს, მაგრამ ანომალურ პირებში ლიბიდოს მოქმედება აღემატება სუბლიმაციის (გაკეთილშობილების) ძალას, ამიტომ არაცნობიერი სურვილები მეტად მუდავნდება (10, 43-55). ანომალური პერსონაჟია მაროც: „უხეში, უშნო, მოურიდებელი, დაუზარელი და გამგები, მოწყალების და კი არა, ტანჯულთა და მახინჯთა მოწყალების ცოლი, თავადაც ტანჯული და მახინჯი” (8, 175). უკვე მისი პირველი ურთიერთობა მამაკაცთან – იაგორასთან – ანომალურია. მესაფლავე იაგორა საფლავეში დაეუფლა მაროს, მკვდართა გვერდით, ცივ სამარეში. თავიდანვე მარო საფლავეებთან და მიცვალებულებთანაა დაკავშირებული (ფროიდი თავს ნაშრომებში ორ ინსტინქტზე საუბრობს, მისთვის განმსაზღვრელია სიცოცხლის ინსტინქტი – ეროსი და სიკვდილის ინსტინქტი – თანატოსი (11, 20-40)). თხუთმეტი წლის მარო უცხო ადამიანების საფლავეებთან ჩამოჯდებოდა და მოთქმით ტიროდა, დიდ ქალებს ბაძავდა, ამიტომ მისი პიროვნება სიკვდილსა და სქესობრივ ინსტინქტს შორის აღმოცენდა, სასაფლაოზე და მესაფლავე იაგორას „წყალობით”. და მაროსთვის, რომელიც გონებრივად შედარებით ნაკლებადაა განვითარებული, აღარ მოქმედებს „გონების ცენზურა”. მას არ სჭირდება თამაში არც საზოგადოებისა და არც საკუთარი თავის წინაშე. და რაც ყველაზე საოცარია, მარო ახერხებს თვითრეალიზებას იმ სამყაროში, რომელშიც ცხოვრობს. იგი ლაზარეთში მუშაობს და ავადმყოფებს უვლის, მათ გვერდით კი აღარც განსხვავებული ჩანს და აღარც - დაჩაგრული (მაროს გააზრებული აქვს, რომ დაჩაგრულია). ამიტომ შეუზიზღებლად უვლის თითოეულ ავადმყოფს, წმენდს ჩირქსა და დამპალ სისხლს, ჭამს მათ მონარჩენ საჭმელს და მაინც ბედნიერია, რადგან იცის, რომ ქვეყნად მასზე უბედური ხალხიც არსებობს. „ის, რაც იაგორამ ასწავლა, ავადმყოფებმაც იცოდნენ, სიცხიანები, ტკივილისგან აღმუვლებულები იწვნენ ლოგინში, გაშმაგებულნი კოცნიდნენ, მკვლავებს ულოკავდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ, და ბავშვებით მშვიდად იძინებდნენ მის მკერდზე, დროებით ტკივილჩამცხრალნი, დროებით განკურნებულნი” (8, 174). მაროს ამგვარი ცხოვრება მოსწონს, აქ კომფორტულადაც კია, რადგან თავის ნაკლს ვერ გრძნობს – კოჭლობასა და სიმახინჯეს. აქ მაროსთვის სქესობრივი ინსტინქტის გამოაშკარავ-

ებაც ისევე მისაღებია, როგორც სიკვდილის ინსტინქტის შეგრძნება, ამიტომ მის სამყაროში არ არსებობს კონფლიქტი საზოგადოებრივ მორალსა და სქესობრივ ინსტინქტს შორის.

მაროსთან მცხოვრები ალექსანდრეც დროებით მის სამყაროს ეკედლება, ივიწყებს ყველაფერს და „ბედნიერად“ ცხოვრობს მაროსთან. სქესობრივ ინსტინქტებსაც აღარ ფარავს (როგორც ფარავს ნორმალური ადამიანი ნორმალურ გარემოში), არც სიკვდილის ეშინია. ერთგვარად თავდავიწყებაში ეშვება, უფრო სწორად, დავიწყებაში. ჰგონია, რომ მხოლოდ მან შეიცნო ჭეშმარიტება – არსებობის არარაობა და ამიტომ დასაშვებია, დაივიწყოს “გონების ცეზურა”. დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში, უფრო და უფრო ღრმად შეტოპავს – მაროს ცოლად მოიყვანს, და ოცნებობს იმაზე, თუ როგორ შესვამს მკვდარ ქაიხოსროს ვირზე და მიცვალებულს მთელ სოფელს შემოატარებს. თუმცა, მისი ადგილი მაროს გვერდით არ არის, რადგან მარო ამ სამყაროში იშვა და მისი ბუნებრივი ნაწილია, ალექსანდრესთვის კი ეს გარემო ხელგუნურადაა შექმნილი, რადგან ის ჩვეულებრივი, გაწონასწორებული ცნობიერების მქონე გმირია, რომლის ცნობიერსაც შესწევს ძალა, გააკონტროლოს არაცნობიერი. მაროსთან ურთიერთობა კი მისი პროტესტია და მას აუცილებლად ექნება დასასრული. და ასეც ხდება, რომანის ბოლოს ალექსანდრე ნორმალურ ყოფას უბრუნდება.

მეორე საკითხი, რომელსაც ოთარ ჭილაძე რომანებში განსკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, არის მამისა და ძის დამოკიდებულების შესწავლა. პიროვნების საბოლოო ფორმირების პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევენ ე.წ. “ოიდიპოსის კომპლექსს” - ვაჟის გაუცნობიერებელ და დათრგუნულ სურვილს, გაანადგუროს მამა, როგორც მეტოქე დედასთან ურთიერთობაში. ფროიდის აზრით, გარკვეულ ეტაპზე, ეს კონფლიქტი ყველა ვაჟის არაცნობიერში ხდება, მაგრამ პიროვნება, რომელიც ნორმალურად გადის ფსიქო-სექსუალური განვითარების “ოიდიპოსის ფაზებს” გადალახავს ამ პრობლემას, შეძლებს იდენტიფიკაციას მამასთან, როგორც თავისივე სქესის წარმომადგენელთან, ამ კომპლექსით გამოწვეული დაძაბულობა რედუცირდება და ამას სამუდამოდ, გაუცნობიერებლადვე ივიწყებს (12, 40-52). ამ მოვლენის შორეული გამოძახილია, ალბათ, ის, რომ ოთარ ჭილაძეს ყოველთვის აინტერესებს მამებისა და ვაჟების ურთიერთობა და დიდი სიფრთხილით წარმოაჩენს მას. ცხადია, ყველა რომანში მამა-შვილის დამოკიდებულებაზე ფროიდის გავლენა არ ვრცელდება, მაგრამ დაპირისპირება მათ შორის, შეუთავსებლობა, ჩუმი ან აშკარა აგრესია, გვხვდება თითქმის ყველა ნაწარმოებში. თითქმის არსადაა მამა და ძე, რომლებიც პარმონიაში არიან ერთმანეთთან. რომანში “ყოველმან ჩემმან მპოვნელმან”, ალექსანდრესა და ნიკოს დამოკიდებულება მამასთან - პეტრესთან, ასევე პეტრეს დამოკიდებულება ქაიხოსროსთან, მხოლოდ აუცილებლობითა და შემდეგ უკვე წინააღმდეგობის გრძნობით, აგრესიით შემოიფარგლება. ასევე რომანში “რკინის თეატრი”, როცა ერთ-ერთი გმირი გელა, მამაზე – თბილისელ მსახიობზე ფიქრობს, ყოველთვის პროტესტის გრძნობა უჩნდება და არ სურს მამას დაემსგავსოს, მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა თხუთმეტი წლის ნიკოს დამოკიდებულება მამასთან რომანიდან “მარტის მამალი” და ანტონის შეხედულებები მამაზე – რაჟდენ კაშელზე რომანში “გოდორი”.

მამა-ძის ურთიერთობის მოტივი საინტერესოდაა წარმოდგენილი რომანში “მარტის მამალი”. ნაწარმოებში მოქმედება ბათუმიდან იწყება. ომის შედეგად ქალაქში არეულობა და შიმშილია, მოზარდი ნიკოს მამა კი მძიმედ დაავადდა და საწოლს მიეჯახჭვა. ამიტომ დედა ნიკოს თავის მშობლებთან, სიღნაღში გზავნის. ნიკო წყენის, ბოღმის, მიუსაფრობის შეგრძნებისა და მომავლისადმი შიშის

დაფარვას ერთდროულად ცდილობს. სიღნაღში კი მკვლევლობას შეესწრება, რაც საბოლოოდ დათრგუნავს და ამავდროულად დააფიქრებს. ერთი თვის განმავლობაში ის გაუნძრევლად წევს და საკუთარ თავს უღრმავდება. სწორედ ნიკოს მოგონებებიდან ჩანს, რომ მისი მამა ოდესღაც სახელოვანი, წარმოსადეგი კაცი იყო, ახსოვს მასთან ბედნიერად გატარებული წლები, კონკრეტული დღეებიც, მაგრამ ავადმყოფობის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა – ნიკომ მამასთან ერთად დედაც დაკარგა, რადგან დედა “უბედურებაში ძუ მგელივით შეუპოვარი აღმოჩნდა: შვილი მაშინვე მოშობლებთან გამოხიზნა, თვითონ კი, ხელებდაკაპიწებული, ქმრის საწოლს მკერდით აეფარა და აი, აქამდე უქმევს უბედურების ყვავ-ყორნებს” (7, 31).

სწორედ აქ გაჩნდა მამა, როგორც კონკურენტი, რომელიც დედის ყურადღებასა და მზრუნველობას ართმევს ნიკოს. ამიტომაც ის ცდილობს არ იფიქროს დედაზე და აღიზიანებს დედაზე ლაპარაკიც კი, რადგან მას: “უღედოდ დარჩენილს, დედისაგან, თუნდაც დროებით, თუნდაც იძულებით მიტოვებულს, რცხვენია, ესიკვდილება, თითქოს მისი უსუსურობის, უვარგისობის ბრალია მათი გათიშვა. სიბრაზისგან ბრმავდება, ყრუვდება, როგორც ნალალატვეი ქმარი” (7, 90). “არც დედას გაემტყუნება, ქმარი თუ ურჩვენია შვილს, იმიტომ, რომ პირველად იყო ქმარი, შვილი კი მერე გაჩნდა. დედამაც პირველი აირჩია.. მთავარი” (7, 26). ნიკოს მამა დადებითი გმირია, რომელიც, სანამ შეუძლია, შვილზე ზრუნავს, სწორედ შვილის გამო უარს ამბობს თვითმკვლევლობაზე და შიმშილის დროს სასიცოცხლო მნიშვნელობის კატკეტს აძლევს ნიკოს (ანუ ყველაფერს, რაც გააჩნია), მაგრამ ნიკოსთვის ის უკვე უცხოა, შორეულია. მამის სიყვარულზე ბევრად მნიშვნელოვანია ის, რომ დედას მისთვის აღარ სცალია და თავიდან იშორებს. ეს არის კონფლიქტის არსი ამ რომანში – “მიტოვებული”, თითქოს დედისგან მამის გამო უარყოფილი ნიკო ებრძვის გარშემომყოფებს, დედას და საკუთარ თავსაც, სანამ არ იპოვის ძალას მამის არსის გასააზრებლად და ეჭვებისაგან გასათავისუფლებლად. “დეიდას თუ დაეჯერება, ნიკოს ყველა უბედურების მიზეზი ეჭვიანობა ყოფილა – დედაზე ეჭვიანობს თურმე, და იმიტომ აუცრუებია სწავლაზე გული, იმიტომ გატყუებულა... იმიტომ გავარდნილა ყაჩაღად... და, რასაკვირველია, იმიტომ წევს ახლაც ასე, მკვდარივით, გულხელდაკრეფილი...” (7, 25). მაგრამ აღსანიშნავია, რომ “მარტის მამალში” ნიკოს პრობლემა გარემო პირობებმა წარმოშვა – ომმა, მამის ავადმყოფობამ, დედის ხასიათმა, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, მამასთან კონკურენციის საკითხი არც დამდგარიყო. “ფროიდის ვაუბში” ეს პრობლემა, როგორც წესი, შიგნიდან იწვება, ნიკოს შემთხვევაში კი მოვლენას ბიძგი გარე ფაქტორებმა მისცა. ასე რომ ამ რომანში, ფროიდის მოძღვრების განცდა მხოლოდ აღუზიურია.

მამა-შვილს შორის კონფლიქტი მწვერვალს აღწევს მწერლის ბოლო რომანში “გოდორი”, რომლის ჩახლართულ სიუჟეტს გმირების მონათხრობიდან ვიგებთ. მამამთილმა, რაჟდენ კაშელმა, არაჯანსაღი ურთიერთობა დაამყარა რძალთან – ლიზიკოსთან (ნებით თუ იძულებით), რასაც ქმარი – ანტონი შეუსწრებს. გამწარებული ანტონი კლავს მამას და პოლიციაში მიდის, რათა დანაშაული აღიაროს, მაგრამ მას არ დაუჯერებენ და არც დააპატიმრებენ. ბოლოს აღმოჩნდება, რომ შვილს რაჟდენი არ მოუკლავს და ის, შესაძლოა, სულაც საკუთარმა ცოლმა, ანტონის დედამ მოკლა, შემდეგ კი თავისი რძლის, ლიზიკოს, დახმარებით დამარხა. საბოლოოდ ლიზიკო ვენებს გადაიჭრის და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდება, ანტონი კი ლიზიკოს მამასთან ერთად აფხაზეთის ომში მიდის და ტყვიას ეწირება.

ამგვარი რთული სიუჟეტის ფონზე საინტერესოა მამისა და ვაჟის, რაჟდენისა და ანტონის ურთიერთობის განხილვა, თითქმის ინცესტის – მამამთილისა და რძლის ურთიერთობის ფონზე. ანტონი თავიდანვე სუსტ პიროვნებად წარმოგვიდგება, რაც ერთგვარად გამაღიზიანებელიც არის მამისთვის და სასიამოვნოც, რადგან ასე ადვილად შეუძლია შვილის ნაცვლად გადაწყვეტილებების მიღება. “მამის სიტყვას ყოველთვის კანონის ძალა ჰქონდა ანტონისთვის. კანონისა კი არა, თილისმისა, შელოცვისა, ჯადოსი... მამა რომ იტყოდა, ტყუილად ტირიო, არაფერი აღარ გტკივაო, მაშინვე ჩაწყნარდებოდა, კბილი იყო თუ მუცელი... მამას რომ ეთქვა, ადექი და გადავარდი ფანჯრიდანო, ადგებოდა და გადავარდებოდა... დღითიდრე უფრო მეტად სჯეროდა მამისა და კიდევ უფრო ნაკლებად ენდობოდა თავს” (6, 209). თუმცა ანტონი თავისი შეხედულებებით რადიკალურად განსხვავდება რაჟდენისგან, გარკვეულ ეტაპზე კი მამის ბატონობა შეუძლებელი ხდება. სამზარეულოს სცენის შემდეგ, სადაც ის მამასა და ცოლს შეუსწრებს, ანტონი აკეთებს არჩევანს და მამას ცუდით თავს უჩეხავს. თუმცა ეს ქმედება მხოლოდ მის ცნობიერებაში ხდება და არა სინამდვილეში, ანტონს მოქმედი ცულის ხმაც ესმის და სუნსაც გრძნობს, სისხლში ამოთხვრილ მამასაც ხედავს. აქ მნიშვნელობა აღარ აქვს რა ხდება რეალობაში, მამის წარმოსახული მკვლელობა ეს იგივე ავტორიტეტის, უფრო ძლიერისა და დამორჩენელის მკვლელობაა, რაც ცალსახად ფროიდისტული მოვლენაა. შემთხვევითი არ არის, რომ ყველა დროის უდიდესი ქმნილებების მთავარი მოტივი მამისმკვლელობაა – წერს ფროიდი (4, 100).

წარმოსახული მკვლელობა ანტონისთვის საბოლოო შურისძიებაა ყველაფერ იმის გამო, რაც მამისგან მიუღია, ცუდიც და კარგიც: “ამ აკვირებულ აზრში მწერლის მიერ გარკვეული მორალისტური საზრისიცაა ჩადებული...: დაანგრეთ თქვენი კეთილდღეობისა და ქვიშხეთის აგარაკზე გატარებული ღამაზი დღეების წყარო – მამის კერპი, რათა თქვენ ჭეშმარიტად ღმერთს და მორალურ სამყაროს დაუბრუნდეთ” (5, 33). შესაძლოა, ამას ახერხებს კიდევ ანტონი, მაგრამ ესეც ვერ გადაარჩენს, რადგან წარმოსახული მკვლელობაც ისევე “კაშელობის”, თავისი მოდგმის ცოდვის გავლენით ჩაიდინა ანუ მამას მიემსგავსა. რა ხდება ემპირიულ სამყაროში ამის შემდეგ, სად მიდის გმირი და სად კვდება ფიზიკურად, აღარ არის მნიშვნელოვანი. ანტონმა დაამსხვრია მამის კერპი, მაგრამ ვერ შეძლო საკუთარი თავის პოვნა. ავტორი წერს: “არათუ თავის ადგილს ვერ მიაგნო ანტონმა ცხოვრებაში, არამედ ვერ მიაგნო თავად ცხოვრებას, სადაც ალბათ მისთვისაც აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული, თუნდაც, სულ უმნიშვნელო ადგილი, როგორც, ვთქვათ, მის თვალწინ მოკლული ციყვისთვის, ანდა მისგან გადარჩენილი მატლისთვის... არადა... მისგან გადარჩენილი მატლივით, ისიც მორჩილად ასრულებს ბუნების წესს, ანუ ფრენით ამთავრებს წინა სამი თაობის მიერ ხოხვით გამოვლილ გზას” (6, 173-174). ყველაფერი სწორედ ისე ხდება, როგორც ფროიდი აღწერს – შვილი კლავს მკვლელ მამას (მამის კერპს), რათა თავადაც მკვლელი გახდეს. ხოლო ის, რომ მწერალი ანტონს სინამდვილეში არ აკვლევინებს მამას და თავად მას ღუპავს ომში, უკვე ავტორის ინტერპრეტაციაა.

დაბოლოს შეიძლება ითქვას, რომ ოთარ ჭილაძემ თავის რომანებში ფროიდის მოძღვრების გათვალისწინებით რამდენიმე საკითხი წამოჭრა: 1. სქესობრივი ინსტინქტის მნიშვნელობა ადამიანის განვითარებისას, რაც გამოიხატა ალექსანდრესა და მაროს პიროვნებების ფორმირებისას, 2. ადრეულ ასაკში მიღებული სექსუალური შთაბეჭდილებების მნიშვნელობა - რაც საფუძვლად დაედო რომანს “გოდორი” და მიმართულება მისცა სიუჟეტის განვითარებას და 3. მამა-შვილის (ძირითადად არაცნობიერი) დაპირისპირების საკითხი, რომელიც, ცხადია,

სახეცვლილია, მაგრამ სათავეს ფროიდის ნაშრომებში იღებს. ამგვარი თემატიკის გამოყენებით ოთარ ჭილაძემ გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა თავისი პროზა, რადგან ფროიდის მოძღვრება ნაწარმოებების არაერთი პასაჟისა თუ გმირის ტიპაჟის ახსნაში გვეხმარება და უკეთ წარმოაჩენს ადამიანის სულიერი სამყაროს ფარულ შრეებს.

ლიტერატურა:

1. დოიაშვილი თ., მიხ. ჯავახიშვილი და ფსიქონალიზი, კრებული ლეღვარი, შემდგ. რედ. იზა ორჯონიკიძე, თბ., ლიტ. მატიანე, 2005.
2. კიკვიძე ზ., ცნობიერების ნაკადის ტექნიკა ო. ჭილაძის რომანში “გოდორი”, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. VII (II), ქუთაისი, 2005.
3. ლიტერატურის თეორია, ბრევაძე ლ., ფსიქონალიზი და მხატვრული შემოქმედება, ლიტ. ინსტიტუტის გამომცემლობა თბ., 2008.
4. შარია პ., ფროიდიზმის ესთეტიკური და ლიტერატურული კონცეფციის მოკლე კრიტიკული მომხილვა. კრებულში: ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, თბ., “მეცნიერება”, 1970.
5. ცოფურაშვილი თ., კოლექტიური ფსიქონალიზის „ლიტერატურული ანშლაგი“, 24 საათი, 2004, 22 ივნისი
6. ჭილაძე ო., გოდორი, არეტე, 2006.
7. ჭილაძე ო., მარტის მამალი, მერანი, თბ. 1987.
8. ჭილაძე ო., რჩეული თხზ., ტომი II, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, თბ., 1986.
9. Фрейд З., Введение в психоанализ, <http://www.klex.ru/19d>.
10. Фрейд З., О психоанализе, http://www.koob.ru/freud_zigmind/about_psychoanaliz.
11. Холл К. С., Линдсей Г., Теории личности. Москва: «КСИ+», 1997.
12. Nye. R.D., Tree Psychologies: Perspectives from Freud, Skinner and Rogers, 6th ed. Australia, Canada: Wandsworth: Thomson Learning.

Tamar Gegeshidze
Psychoanalytical thematic in the novels of Otar Chiladze
Summary

Otar Childaze belongs to those Georgian writers, who implemented psychology, namely Zygmund Freud's teachings for better presenting of the reality and characters of his works. The writer raised several issues in his novels, taking into account psychological methods: the importance of sexual instinct during human development, sexual impressions received in early age and the issue of confrontation (mainly unconscious) between father and his child. All this gave him an opportunity to enrich and diversify his prose.

Тамар Гегешидзе
Психоаналитическая тематика в романах Отара Чиладзе
Резюме

Отар Чиладзе принадлежит к числу тех грузинских писателей, которые для лучшего представления реальности собственных произведений и персонажей, обращаются к психологии, и в том числе к теории Фрейда. Учитывая психоаналитический метод, писатель ставит в своих романах несколько вопросов: значение полового инстинкта в развитии человека, значение сексуальных впечатлений, полученных в раннем возрасте и вопрос отцов и детей. Это дало писателю возможность представить свою прозу богатой и многообразной.



ირმა ზაქარაია
(საქართველო)

მეცნიერულ-ტიქნიკური პროგრესი და მხატვრული ლიტერატურა

საქართველოს ოდითგანვე ჰქონდა პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ცივილიზებულ ქვეყნებთან. მიუხედავად გარეშე მტრების გამუდმებული თავდასხმებისა, ის ცდილობდა საუკუნის ცხოვრებას არ ჩამორჩენოდა. ქართველი ხალხი მუდამ იჩენდა ინტერესს ეპოქისეული სიახლეებისადმი, შესაბამისად, შესაძლებელია საქართველოში მიმდინარე პროცესები მივუსადაგოთ მსოფლიო პროცესებს.

კაცობრიობამ თავისი განვითარების მანძილზე რთული და დიდი გზა გაიარა. ცალკეული ენების წარმოშობიდან დამწერლობების შექმნამდე მრავალმა საუკუნემ განვლო. ქართული ენა მსოფლიო ენათა შორის ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური ენაა. ქართული ანბანი, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, წარმოქმნილია წინაქრისტიანულ ხანაში.

ქართველმა ხალხმა შექმნა მწერლობა, რომელიც, ყველზე ცოტა, 16 საუკუნეს ითვლის და რომელსაც თავისი კუთვნილი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

ქართული ლიტერატურა ყოველთვის გრძნობდა ეპოქის მაჯისცემას. ის ქართველი ერის ცხოვრების მემატიაწაწა. ქართული მწერლობა, რომელსაც ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, ყოველთვის წამყვანი ადგილი ეკავა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ასახავს მის წარსულს, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, სულიერ სამყაროს...

ცნობილია, რომ მხატვრული ლიტერატურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური სამყაროს ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთ არსებით ფაქტორს წარმოადგენს.

მტრული გარემოცვის, დამპყრობთა მრავალრიცხოვანი შემოსევების და გამაჩანაგებელი ომების პირობებში ქართულ მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც სამშობლოსთვის, ქრისტიანობისთვის თავდადებას, მაღალი ზნეობრივი იდეალების ერთგულებას, პროგრესულ იდეებს ქადაგებდა და განამტკიცებდა ხალხის სასიცოცხლო ძალებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ეროვნულობის, თვითმყოფადობის, ერთიანობის შენარჩუნების საქმეში. ის მუდამ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში იდგა. გამომდინარე მხატვრული ლიტერატურის ასეთი მნიშვნელობიდან, უდიდესი ყურადღება ექცეოდა მის განვითარებას, ხელმისაწვდომობას.

ძველ საქართველოში სამწერლო ასპარეზზე აქტიურად მოღვაწეობდნენ სამეფო ოჯახის წევრები, საეკლესიო პირები, საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლები. მწერლობის მნიშვნელოვან კერებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, წარმოადგენდნენ მონასტრები. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა იყო გაჩაღებული საქართველოში არსებულ ოშკის, ხანძთის, გარეჯის უდაბნოს, გელათის, მცხეთის, ალავერდის, ვარძიის, შატბერდის, იშხნის, პარხლის, ხახულის, ზარზმის, მარტყოფის, ბედიის და ბევრ სხვა მონასტერში, ხოლო უცხოეთში – განსაკუთრებით ჯვრის მონასტერში, ათონის ივერთა მონასტერში, პეტრიწონის მონასტერში. ქართულ მონასტრებში მოღვაწეობდნენ მწერლები, მეცნიერები, მთარგმნელები, კალიგრაფები. იქ წარმოებდა ორიგინალურ

ნაწარმოებთა თხზვა, უცხო ენებიდან თარგმნა და რედაქტირება, ძველი ხელნაწერების გადაწერა, გამრავლება, აკინძვა და ა.შ. (1).

უცხოეთში არსებული ქართული მონასტრების მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა თვალყურის დევნება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მიღწევებისათვის როგორც, საერთოდ, კულტურის, ისე კონკრეტულად ლიტერატურის სფეროში.

საქართველოში ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორად ყოველთვის მიიჩნევენ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას; აქედან გამომდინარე, ცდილობდნენ ცივილიზაციის მონაპოვრების გაცნობას, შესწავლასა და სამშობლოში დანერგვას. ეს შეეხებოდა ყველა იმ სიახლესაც, რომლებიც ხელს უწყობდა მწერლობის განვითარებას. ასე, მაგალითად, საწერ მასალად V-VI საუკუნეებიდან XII საუკუნემდე იხმარებოდა ეტრატი. X-XI სს.-დან საქართველოში ქაღალდი შემოქონდათ არაბულ-სპარსული ქვეყნებიდან (2, 57-58).

საბეჭდი დაზვის შექმნამ XV საუკუნეში უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის პროგრესის გზაზე.

„პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი – ქართულ-იტალიური ლექსიკონი რომში გამოვიდა.

XVII საუკუნის დასაწყისში რომის პაპმა საქართველოში მისიონერები გამოგზავნა კათოლიკური სარწმუნოების საქადაგებლად და გასავრცელებლად. საჭირო გახდა მისიონერებს შეესწავლათ ქართული ენა. ამან კი სათანადო სახელმძღვანელოს შედგენა და დაბეჭდვა მოითხოვა. იმავე ხანებში რომში ჩავიდა თეიმურაზ მეფის ელჩი ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი). ქართველი მეფე პაპს დახმარებას სთხოვდა მუსულმანი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიკიფორემ რომში ერთ წელზე მეტ ხანს დაჰყო, შეისწავლა იტალიური ენა და ამავე დროს ქართული შეასწავლა იტალიელ სტეფანე პაოლინის... ნიკიფორე ირბახის მიერ ჩატანილი წერილიდან გამოკრეფილი ქართული ასოების მიხედვით დაუმზადებიათ შრიფტი. ირბახს რამდენიმე ათასი ქართული სიტყვა უთარგმნია, ხოლო სტეფანე პაოლინის აქილ ვენერიოს დავალებით და ირბახის დახმარებით შეუდგენია ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ეს წიგნი 1629 წელს გამოვიდა. სწორედ ამ წლიდან იწყება ქართული ბეჭდური წიგნის ისტორია“ (3, 44).

საქართველოში სტამბის დაარსებამ 1709 წელს მეტი შესაძლებლობა შექმნა მხატვრული ლიტერატურის განვითარებისათვის, მისი პოპულარიზაციისათვის. თუ მანამდე მხატვრული ნაწარმოები საზოგადოების მხოლოდ ნაწილისათვის იყო ხელმისაწვდომი (ხელნაწერი წიგნების დამზადება ხომ ძვირი ჯდებოდა) და მწერლის გავლენაც მხოლოდ ამ ნაწილზე ვრცელდებოდა, წიგნის ბეჭდვის შემოდგამ მხატვრული ნაწარმოები ფართო მასებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა და, შესაბამისად, გაიზარდა მისი როლი და მნიშვნელობა ცალკეული ადამიანების სულიერი სამყაროს ფორმირებაში. ამას, ასევე, ხელი შეუწყო ქართული გაზეთებისა და ჟურნალების, საგამომცემლო-სავაჭრო ორგანიზაციების, სკოლების, ბიბლიოთეკების დაარსებამ XIX საუკუნეში, რადიო და ტელევიზიამ – XX საუკუნეში.

მეცნიერების, ტექნიკის მიღწევები ხელს უწყობდა მხატვრული ლიტერატურის განვითარებას; თავის მხრივ, ამ მიღწევების გამოყენებით მხატვრული ლიტერატურა კიდევ უფრო მეტ გავლენას ახდენდა ადამიანისა და საერთოდ, მთელი საზოგადოების განვითარებაზე.

თანამედროვე ეპოქა – მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქა – კაცობრიობის განვითარების ახალი საფეხურია, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციულ საზოგადოებას უწოდებენ.

დღეს ბევრი იწერება ინფორმაციულ საზოგადოებაზე, როგორც ტექნოლოგიური ცივილიზაციის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მის დამახასიათებელ ნიშნებზე.

ინფორმაციულ საზოგადოებას განმარტავენ როგორც საზოგადოებას, სადაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია საზოგადოების წევრებს შორის ინფორმაციის წარმოებაზე, გადამუშავებაზე, შენახვასა და გავრცელებაზე; სადაც ელექტრონიკა განსაზღვრავს სოციალურ ძვრებს, ჩვეულებების, სოციალური სტრუქტურის, ფასეულობების, ცხოვრების წესის, მთლიანად საზოგადოების შეცვლას და მისთვის დამახასიათებელია: საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მაღალი ტემპები, საზოგადოებრივი ურთიერთობების დეჰუმანიზაცია, პრაგმატიზმი, არსებული ღირებულებების უარყოფა და ფასეულობათა ახალი სისტემის ფორმირება, თაობათა შორის კავშირის რღვევა, კულტურის კომერციალიზაცია, ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული მასკულტურის მოძალეობა და ა. შ.

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ტემპით მიმდინარეობს; საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესი განსაკუთრებით დამახასიათებელია ტექნიკური თვალსაზრისით მოწინავე ქვეყნებისათვის, მაგრამ მახასიათებლები ყველგან ძირითადად მაინც ერთნაირია.

ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია საზოგადოების სულიერ-ზნეობრივი აღორძინება. უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი მხარე მისი სულიერი ცხოვრებაა, რომლის განვითარებას ხელს უწყობს რელიგია, ხელოვნების ცალკეული დარგები და მათ შორის, რა თქმა უნდა, მხატვრული ლიტერატურა.

ცნობილია, რომ მხატვრულ ლიტერატურას, თავისი შემეცნებითი, აღმზრდელობითი და ესთეტიკური ფუნქციებიდან გამომდინარე, შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის სულზე, შთაუწეროს მას უმაღლესი ზნეობრივი პრინციპები, ჩამოუყალიბოს გემოვნება, საზოგადოებრივი შეგნება.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, პირველ რიგში, ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, უდავოდ, ხელი შეუწყო მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაციას, ხელმისაწვდომობას. ბეჭდური პროდუქციის გვერდით არსებობს ელექტრონული წიგნები, ცალკეული მხატვრული ნაწარმოებების ელექტრონული ვერსიები.

კაცობრიობის უახლესი მიღწევები, სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობის მქონე ინფორმაციული ტექნოლოგიები, პირველ რიგში, ინტერნეტი, გავლენას ახდენს თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროზე. ახალი ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიების და კომუნიკაციის შესაძლებლობები გრანდიოზული გახდა.

როგორია ქართული საზოგადოების ინტერნეტზე დამოკიდებულება? ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი, მაგრამ ამჯერად ჩვენი ინტერესი ფოკუსირებული იყო საზოგადოების მხოლოდ ერთ ნაწილზე, კერძოდ, სტუდენტ-ახალგაზრდობაზე, როგორც ინტერნეტის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მომხმარებელზე.

ჩვენი მიზანი იყო გაგვეჩვენა, რამდენად არის დამოკიდებული სტუდენტი-ახალგაზრდობა ინტერნეტზე, ხომ არ შეცვალა ინტერნეტმა წიგნი, რა ადგილი უჭირავს მათ ცხოვრებაში მხატვრულ ნაწარმოებს.

გამოკითხვაში მონაწილეობდა საქართველოს სამი უმაღლესი სასწავლებლის სხვადასხვა სპეციალობის 515 სტუდენტი (ასაკი – 17-25 წელი).

შედეგები ასეთია:

კითხვა – დღეში, საშუალოდ, რამდენ საათს ატარებთ კომპიუტერთან?

რესპონდენტთა პასუხები ასე განაწილდა:

- 29% – 1-2 საათს
- 39% – 3-4 საათს
- 22% – 5-6 საათს
- 9% – 7 საათსა და მეტს
- 1% – არ სარგებლობს კომპიუტერით

კითხვა – რა მიზნებისათვის იყენებთ ინტერნეტს?

რესპონდენტთა პასუხები ასე განაწილდა:

- 68% – ინფორმაციის მოძიება, სოციალური ქსელებით სარგებლობა
- 18% – მუსიკის მოსმენა და ფილმების ნახვა
- 6% – ელექტრონული წიგნების კითხვა
- 8% – სხვა მიზნით (ბლოგები, ვიდეორგოლების ნახვა და ა.შ.)

უნდა შევნიშნოთ, რომ ელექტრონულ წიგნში იგულისხმებოდა როგორც მხატვრული ლიტერატურა, ასევე სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა.

კითხვა – წლის განმავლობაში, საშუალოდ, რამდენ მხატვრულ ნაწარმოებს კითხულობთ?

რესპონდენტთა პასუხები ასე განაწილდა:

- 17% – 1-2 მხატვრულ ნაწარმოებს
- 36% – 3-5 მხატვრულ ნაწარმოებს
- 22% – 6-8 მხატვრულ ნაწარმოებს
- 20% – 9 და მეტ მხატვრულ ნაწარმოებს
- 5% – არ კითხულობს მხატვრულ ნაწარმოებს

კითხვა – რომელს ანიჭებთ უპირატესობას – მხატვრული ნაწარმოების ბეჭდურ თუ ელექტრონულ ვერსიას?

რესპონდენტთა პასუხები ასე განაწილდა:

- 94% – ბეჭდურ ვერსიას
- 4% – ელექტრონულ ვერსიას
- 2% – მნიშვნელობა არ აქვს

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი კითხულობენ როგორც ქართულ და უცხოელ კლასიკოსებს, ასევე თანამედროვე მწერლებს.

გამოკითხვის შედეგად ცხადი გახდა, რომ ინტერნეტზე დამოკიდებულების მიუხედავად, ელექტრონული წიგნის ეპოქა ჯერ არ დამდგარა და მხატვრული ნაწარმოებისადმი ინტერესი არ შენელებულა, თუმცა, ამის საშიშროება არსებობს.

მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით შეძლებენ მკითხველი, მწერალი, საზოგადოება, სახელმწიფო ეპოქისეული გამოწვევებისათვის პასუხის გაცემას.

ლიტერატურა:

1. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი პირველი, თბ., 1962.

2. იოსელიანი ა., ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XIXს. 60-იან წლებამდე), თბ., 1990.
3. ჯანგულაშვილი თ., ქართული წიგნი, თბ., 1971.

Irma Zakaraia
Scientific-Technical Progress and Fiction
Summary

Mankind from beginning to nowadays has passed difficult way. There are a lot of centuries from creation of different languages to modern information society. Progress in science and techniques has influenced on the different fields of human lives; it has helped to develop fiction. In its turn fiction has influenced on human beings and the development of the whole society.

Georgia always had political and cultural affairs with civilized countries and Georgian always were interested in epochal novelties.

The development of science and technique was considered as important factor of the country's economic and political strengthening in Georgia. Proceeding from it the Georgians tried to establish achievements of civilization and world culture.

Georgian people have created a very rich literary heritage during sixteen centuries at the least. Georgian literature has its own place in the heritage of the world literature as it always could feel and reflect Georgians' spiritual aims and world-outlook.

The modern information society (the concrete period of the technical civilization) has its own typical properties and virtues, among them: formation (creation) of new values, dehumanization of human affairs, pragmatism etc. and it's a very important problem for developed countries.

Nowadays it's very important to take care of spiritual life of society.

Georgian literature always had this function and it was a very strong factor to influence on social processes.

Does development of technical civilization and intensive affairs change anything, for example, does the Internet replace a book? Does fiction have any role in a student's life nowadays?

The results of questionnaire have been held among students. It is obvious that the time of electronic books has not come yet. Despite depending on the Internet students are still interested in fiction, though there exist certain dangers and the answer to these epoch challenges is possible by common effort of readers, writers, public, government.

Ирма Закарая
Научно-технический прогресс и художественная литература
Резюме

В Грузии важнейшим фактором для экономического и политического укрепления считали развитие науки и техники. Грузинский народ всегда проявлял интерес к новшествам эпохи и старался внедрить достояния цивилизации. Достижения науки и техники способствовали развитию художественной литературы. С использованием этих достижений художественная литература еще больше влияла как на развитие человека в целом, так и всего общества. Грузинский народ, наряду с другими формами культуры, создал богатую и содержательную художественную литературу, которая всегда чувствовала пульс эпохи. Она, в сравнении с другими видами искусства, занимала ведущее место в жизни грузинского народа и оказывала важное влияние на все сферы общественной жизни и на формирование духовного и интеллектуального мира человека. В представленной статье мы хотели выяснить какова зависимость студенческой молодежи от интернета в современном информационном обществе, какое место занимает в их жизни художественное произведение, заменил ли интернет книгу?

Опрос был проведен среди студентов (возраст – 17-25 лет) разных специальностей трех высших учебных заведений Грузии. В результате опроса выяснилось, что, несмотря на зависимость от интернета, эпоха электронных книг пока еще не настала, и интерес к художественной литературе не ослаб, хотя такая опасность существует.

Только совместными усилиями читатель и писатель, общество и государство смогут ответить на вызовы эпохи.



ლელა მირცხულავა (საქართველო)

ტიქსტისა და სათაურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტი უმბერტო ეკოს რომანში „ვარდის სახელი“

„ვარდის სახელი“ – ლაბირინთებში დაბნეული მკითხველი ისტორიული ქარტეხილებიდან დეტექტიურ ძიებაში ერთვება, თან არც გრძნობიერი სამყარო რჩება თვალთახვედვის მიღმა, და რა არის ეს – „ტექსტი ტექსტში“, თუ „რადაც სხვა“?.. ხშირად ჩნდებიან ნაწარმოებები, რომლებიც უფრო მეტ ქვეტექსტს „იტყვენ“, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, მსგავსი გამოცანა-აღმოჩენაა რომანი „ვარდის სახელით“. უმბერტო ეკო – ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი თანამედროვე მსოფლიოში – ესთეტიკი, ისტორიკოსი, კრიტიკოსი, ესეისტი, სემიოტიკი, ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი, საპატიო დოქტორი მრავალი უნივერსიტეტისა როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში, ავტორი ათეულობით წიგნისა, 1980 წელს თითქოს „იცვლის“ „მოქმედების არეალს“ და აკადემიური, ერუდირებული, ინტელექტუალი პიროვნება სენსაციური ნაწარმოებით წარსდგება მკითხველების წინაშე, რომანი სახელწოდებით: „ვარდის სახელი“, რომელიც სათაურიდანვე აჩენს კითხვებს.

რომანი 1980 წელს გამოქვეყნდა და მაშინვე გახდა ერთ-ერთი პირველი ინტელექტუალური ნაწარმოები, რომელის პოპულარობა მთელ მსოფლიოში ერთნაირად მაღალი იყო და მაშინათვე უწოდეს „ბესტსელერი“. აღმოჩნდა, რომ XIV საუკუნის ბენედიქტელთა მონასტერი საინტერესო ყოფილა XX საუკუნის მკითხველთათვის, და ეს არა იმიტომ, რომ ავტორმა დეტექტივი და სასიყვარულო ინტრიგები წარმოგვიდგინა, არამედ მან ნაწარმოებში შექმნა ეფექტი აღწერილ მოვლენებში მკითხველის თანამონაწილეობისა. როგორც სამართლიანად შენიშნავს მეცნიერი დ. ზატონსკი, ამგვარი დამოკიდებულება უფრო განაპირობა იმ „მტკიცებულებებმა“, რომლებმაც მოგვცეს საშუალება შევიგრძნოთ და აღვიკვაოთ შორეული ეპოქა საკუთარ დროდ, უცხო კი ახლობლად (Затонский, 1996.с.185).

ძირითადი პოსტულატები, რაზეც „აგებულია“ ნაწარმოები, პოსტმოდერნიზმის წიაღში უნდა „ვექებოთ“: სამართლიანად შენიშნავს ეკო პოსტმოდერნიზმის ეპოქის წარმოშობის მნიშვნელობას: პოსტმოდერნიზმი – ეს არის პასუხი მოდერნიზმს: რადგანაც წარსულის წაშლა არ შეიძლება, საჭიროა მისი გადააზრება, ირონიულად, გულუბრყვილობის გარეშე (Эко, 1989.с.425-467). პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში იცვლება იმდენად არა გამომგონებლობითი ხერხი და თემატიკა, რამდენადაც მხატვრული პრინციპების სიღრმე. ეკო ეხება როგორც მწერლის ურთიერთობას საკუთარი ნაწარმოებისადმი, ასევე მწერლისა და მკითხველის ურთიერთობასაც. მოდერნიზმის პირობებში მკითხველი იყო ობიექტი, რომელზეც მიმართული იყო მწერლის მხატვრული იდეები, ახალ პერიოდში მკითხველი ხდება თანაავტორი და არა გავლენის ობიექტი, ის არის თანაბარუფლებიანი სუბიექტი, რომლის არსებობის გარეშე არც მწერალი იქნებოდა და არც მისი შემოქმედება. მეცნიერი მ. სვერდლოვი სამართლიანად შენიშნავს უმბერტო ეკოს რომანის შექმნის მნიშვნელობას: ერთხელ უმბერტო ეკომ, გამოჩენილმა იტალიელმა ისტორიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ, გადაწყვიტა გამოეყენებინა თავისი „სპეციალური“ ცოდნა რომან-ბესტსელერის დასაწერად, რომელიც პოპულარული გახდებოდა მკითხველებში და მან ეს მოახერხა.

როგორც სემიოტიკის მცოდნემ, ეკომ გამოიყენა სამეცნიერო მეთოდის დეტექტივის შესაქმნელად; როგორც მედიევისტმა (ისტორიული მეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ისტორიას), გამოიყენა თავისი ცოდნა, რათა შეექმნა XIV საუკუნის მოვლენების „ზუსტი“ აღწერა; როგორც თეორეტიკოსმა, რომელიც იკვლევდა მასობრივ ლიტერატურას, შეძლო სწორად განესაზღვრა მკითხველის რეაქცია თავის რომანზე. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: „ვარდის სახელით“, რომელიც თავიდანვე წარმატებით სარგებლობდა, მოგვიანებით აღიარებულ იქნა როგორც XX საუკუნის ლიტერატურის კლასიკა (Свердлов,1996).

ინტერტექსტუალობა, ეკოს აზრით, დამახასიათებელია ნებისმიერი ტექსტისთვის და მის ექოს მუშაობის პროცესში იგრძნობს ავტორი, რადგანაც „საგანი გამოხატავს თავის ბუნებრივ თვისებას, მაგრამ ამასთანავე შეახსენებს იმ კუტურას, რომელშიც ის ჩამოყალიბდა“ (Эко,1989.с.425-432). ამდენად, მწერალი მიმართავს ციტირებას, ცნობილი სიუჟეტების გამოყენებას, სხვა საკითხია გადააფასებს მათ, თუ მიმართავს ირონიას. თავის რომანში ეკო მუდმივად ავლებს პარალელს შუასაუკუნეებსა და თანამედროვეობას შორის და ამტკიცებს, რომ ჩვენი საუკუნის პრობლემების ფესვები სწორედ იმ დროიდან მოდის.რომანს თან მიჰყვება „შენიშვნები“, რომელშიც ეკო ხსნის პოსტმოდერნიზმის მნიშვნელობას და ესთეტიურ არსს. ავტორი შენიშნავს, რომ ის ხედავს ნებისმიერი საგნის სიღრმეში შუასაუკუნეებს, რადგანაც ყველაფერი ურთიერთკავშირშია. შუასაუკუნეების ქრონიკაში უმბერტო ეკომ „ინტერტექსტუალობის ექო“ ნახა, რადგან „ყველა წიგნში საუბარი სხვა წიგნებზე... ნებისმიერი ისტორია იმეორებს ერთხელ უკვე განცდილს“ (Эко,1989.с.425-437). რომანი, მწერლის მტკიცებით, არის მთელი სამყარო, შექმნილი ავტორის მიერ და ეს კოსმოლოგიური სტრუქტურა არსებობს საკუთარი კანონებით და ითხოვს ავტორისგან მის დაცვას: პერაონაჟები უნდა დაემორჩილონ სამყაროს კანონებს, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ, ანუ „მწერალი საკუთარი შენიშვნების ტყვეა“.

ეკოს თვალსაზრისით, რომანზე მუშაობა გარკვეულწილად კოსმოლოგიურ „ლონისძიებას“ გავს, მოყოლისას უმთავრესია შექმნა გარკვეული სამყარო, რაც შეიძლება კარგად მოაწყო და გათვალო დეტალებად... ჩემ მიერ შექმნილ სამყაროში უდიდესი როლი ითამაშა ისტორიამ, – აღნიშნავს მწერალი, – ამიტომაც მე უსასრულოდ გადავიკითხე შუასაუკუნეების ქრონიკა, კითხვის პროცესში ვხვდებოდი, რომ ვერ ავცდებოდი ნაწარმოებში იმ საგნების ჩართვას, რომელიც აზრადაც არ მქონდა ადრე, მაგალითად, ბრძოლა სიღარიბესთან და ინკვიზიცია. ვთქვათ, რატომ გაჩნდა ჩემს წიგნში საძმო, სააბატო და მასთან ერთად მეთოთხმეტე საუკუნე? თუკი შუასაუკუნეების ამბის შეთხზვას ვიფიქრებდით, შეგვეძლო XIII ან XII საუკუნე აგველო, ეს მე უფრო კარგად ვიცოდი. მაგრამ საჭირო იყო გამომძიებელი, საუკეთესო ვარიანტში ინგლისელი (ინტერტექსტუალური ციტაცია). ეს გამომძიებელი გამორჩეული უნდა ყოფილიყო დაკვირვების სიყვარულით და მას განსაკუთრებული ცოდნით ყურადღება უნდა მიექცია ნიშნებისთვის. ასეთი თვისება შესაძლებელი იყო ჰქონოდა მხოლოდ ფრანცისკანცელს, ისიც როჯერ ბეკონის შემდეგ (Эко,1989.с.439), – ასე ხსნის უმბერტო ეკო საკუთარი რომანის დროისა და მთავარი გმირის „არსებობას“. ეკოს აზრით, „ჩვენ მიერ შექმნილი სამყარო თავად მიგვანიშნებს სიუჟეტის განვითარებას“ (Эко,1989.с.440). მართლაც, შეარჩია რა შუასაუკუნეები საკუთარი

რომანის სიუჟეტისთვის, ეკო მხოლოდ მიმართულებას აძლევს მოქმედებას, რომელიც შემდგომ ვითარდება „თავისთავად“ იმ დროის ლოგიკისა და კანონების შესაბამისად, და ეს განსაკუთრებით საინტერესოა.

მიუხედავად ყველაფრისა, მწერალი მაინც ერთგული რჩება თანამედროვე დასავლური კულტურის ტრადიციული ფასეულობებისა, რომელიც XIV საუკუნეში წარმოიშვა და XX საუკუნემდე „იტანდა“ მოთმინებისა და კრიტიკული აზროვნების მკაცრი გამოცდას. არჩევანი ასეთია: ან რთული გზა გამოცანებისა და ორჭოფობისა, ან უტოპია, რომელიც სხვადასხვა მოძრაობებში და კავშირებში აისახა (XIV საუკუნეები თუ XX საუკუნის კომუნიზმი), სიმართლის გზა სიცრუის ნაკადთან (იმდროინდელი ინკვიზიცია თუ თანამედროვე პოლიტიკური საბჭოები), ფანატიზმი რელიგიური შეჯახებისა XIV საუკუნეში, თუ მსოფლიო ომები XX საუკუნეში. ამ შემთხვევაში, ირონია საუკეთესო „გამოსავალია“. თუმცა ირონია ეკოსთვის თვითმიზანი არ არის, მისთვის ეს არის საშუალება გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას კითხვები დროსა და ცხოვრებაზე, ის „აერთიანებს“ ორ ეპოქას: XIV საუკუნეში იწყებოდა ბევრი ისეთი რამ, რაც XX საუკუნეში დასრულდა. შემთხვევითი არ არის, რომ ნაწარმოებში გამომცემელი ეცნობა ადსონის ჩანაწერებს XX საუკუნის პრადაში, როცა საბჭოთა ტანკებმა გათელეს „პრადის გაზაფხული“. „ეს არის ამბავი წიგნებზე,“ - თავიდანვე გვაფრთხილებს „გამომცემელი“, ასევე ნიშნებზე, სიტყვებზე. 80 წლის ბერი ადსონი, თავისი ყმაწვილობის გახსენებისას, იწყებს მოყოლას ციტატებით ევანგელედან: „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმრთისა თანა, და სიტყვა იყო ღმერთი“. ბოლო სიტყვები კი ლათინურია: „Stat rosa pristina nomine, nomina nuda tenemus“ (დამჭკნარი ვარდის სახელია რჩება, გვრჩება შიშველი სახელები). ესე იგი, სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ყველაფერი სიტყვით იწყება და მთავრდება. რომანში სწორედ ამ ყოვლისმომცველ სიტყვის ჩახშობას ცდილობენ, აცენზურებენ, აქრობენ.

ამდენად, მივლივართ ჩვენი განსახილველი საკითხის კულმინაციამდე, თუ ნიშანთა სისტემაზე და სიმბოლოებზე ასე აშკარად მიუთითებს ავტორი, სათაურიც არ უნდა იყოს გამონაკლისი, მაგრამ ავტორმა თავად შექმნა „გამოცანა“. ცხადია, ლიტერატურული ნაწარმოები მთელი სისტემაა, რომელიც შედგება სხვადასხვა კომპონენტისაგან, მთლიანი ტექსტი კი შეიცავს თავის ფარგლებს, სადაც არის დასაწყისი და დასასრული, რომელიც აძლიერებს ტექსტის შინაგან ერთიანობას და დასრულებულ ფორმას ანიჭებს ნაწარმოებს. ამ სამყაროში არსებულ ნებისმიერ მოვლენას აქვს სახელი, შემოქმედის მიერ სახელის დარქმევით თითქოს სრულდება ერთგვარი რიტუალი და საგანს, მოვლენას, ფაქტს, ნებისმიერ ტექსტს, ენიჭება გარკვეული ფუნქცია, იქმნება ურთიერთკავშირი, ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ქმნის ერთიანობას. ამიტომაც ამა თუ იმ ტექსტის სათაური ისეთივე ინფორმატიულია, როგორც მიზანი, შინაარსი, სტრუქტურა. ნიშანი აბსტრაქტულად არ არსებობს. მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ორი მხარე და ეს ორი მხარე შეთანხმებული უნდა იყოს. ავტორი ტექსტის ბატონ-პატრონია, მან კარგად იცის, რისთვის, რატომ, რა მოტივებით შეიქმნა ტექსტი. გაცნობიერებული აქვს მისი არსი, ფუნქცია, დანიშნულება, აზრი. ლოსვეის მიხედვით, სახელი, ეს არის: საზღვარი, ფორმა, განსხვავებულობა, თავისებურება, სახე, აზრი... თუმცა უმბერტო ეკოს მიაჩნია, რომ სათაურმა შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მკითხველი, ვინაიდან პირველი შთაბეჭდილება ძალიან მნიშვნელოვანია. მისი აზრით, სჯობს, მწერალი უმაღლეს გარდაიცვალოს, როგორც კი ბოლო გვერდს დაწერს, რათა ნაწერი უსათაუროდ მივიდეს მკითხველამდე. ვიგოტსკის აზრით, ნებისმიერი მოთხრობა, სურათი, ლექსი რთული მთლიანობაა, რომელიც შედგება

სხვადასხვა ელემენტებისაგან; ისინი ორგანიზებულნი არიან განსხვავებულ დონეებზე, დაქვემდებარებისა და ურთიერთკავშირის განსხვავებულ იერარქიაში; და ამ რთულ მთლიანობაშიც ყოველთვის ჩნდება რომელიღაც დომინირებული მომენტი, რომელიც განსაზღვრავს მთელი მოთხრობის აგებულებას, მისი თითოეული ნაწილის არსსა და დანიშნულებას (Выготский, 1997. c. 193). სათაურის ფუნქციაა, მკითხველი მიიყვანოს ტექსტამდე. მხატვრული ტექსტი და სათაური, ლოტმანის აზრით, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ორი დამოუკიდებელი „ტექსტი“, რომლებიც „ტექსტი-მეტატექსტის“ იერარქიაში სხვადასხვა დონეებზე არიან განთავსებულნი, ხოლო მეორე მხრივ, ისინი შეიძლება განვიხილოთ ერთი ტექსტის ორ ქვეტექსტად. სათაური შეიძლება მიემართებოდეს მისი საშუალებით აღნიშნულ ტექსტს მეტაფორის ან მეტონიმიის პრინციპით. ის შეიძლება რეალიზებული იყოს პირველადი ენის სიტყვების მეშვეობით, რომლებიც გადაითარგმნება მეტატექსტის რანგში, ან მეტაენის სიტყვების მეშვეობით და ა.შ. შედეგად, სათაურსა და მისით აღნიშნულ ტექსტს შორის წარმოიქმნება რთული აზრობრივი გამა, რომელიც წარმოშობს ახალ შეტყობინებას (Лотман, 1992. c. 129-132).

კონკრეტულად, როცა საუბარია სათაურის დამოკიდებულებაზე ტექსტთან, ასევე მის ფუნქციებზე, არსებობს მისი ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმა. ექსპლიციტური ურთიერთკავშირი გულისხმობს დისტანტურ გამეორებას, რომელსაც აყალიბებს არა მხოლოდ თვით ტექსტი, არამედ ნაწარმოების ქვეტექსტიც, ხოლო იმპლიციტური ფორმის დროს სათაურის შინაარსი დაშიფრულია მეტაენის მეშვეობით, ხოლო ტექსტი წარმოდგება მეტაფორიზებული სათაურის განხორციელებად. იმპლიციტური კავშირი წარმოიქმნება მაშინ, როცა სათაური და ტექსტი წარმოქმნიან ახალ ერთიან შეტყობინებას. თუ რასთან გვაქვს საქმე უმბერტო ეკოს რომანის შემთხვევაში, ამას ნაწარმოებს ავტორის მიერ თანდართულ შენიშვნებში ვიკვებთ: „ვარდის სახელით“ ყველაზე კარგად მოერგო ნაწარმოებს, იმიტომ რომ „ვარდი რაც არ უნდა სიმბოლური ფიგურა იყოს, ის იმდენად დატვირთულია მნიშვნელობებით, სიმბოლოებით, რომ საბოლოოდ ერთი მნიშვნელობაც არ რჩება... სახელწოდებამ, როგორც ჩაფიქრებული იყო, „არასწორ“ გზაზე უნდა დააყენოს მკითხველი... სახელწოდებამ უნდა დააბნოს იგი“ (ЭКО, 1989. c. 429).

ამდენად, მწერალმა გაითვალისწინა თავისი ნაწარმოების მიმართულება და „განსაზღვრა“ იგი, პოსტმოდერნისტული ლიტერატურის დამახასიათებლობაც ხომ იმაში გამოიხატება, რომ მკითხველს შეუძლია იპოვოს არა ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა, დასახული მწერლის მიერ, არამედ უსასრულო, მრავლობითი დანიშნულება, ასოციაცია, მიმართულება სხვა შემოქმედებებისაკენ. სათაურში გამოტანილი საკითხი, კერძოდ, სათაურისა და ტექსტის ერთი შეხედვით „განსხვავებულობა“, გვაიძულებს სიღრმისეულად განვიხილოთ იგი. ცხადია, ერთი შეხედვით, უმთავრესი ინტრიგა წიგნის გარშემოა ჩახლართული, თუმცა იტალიელ-მედიაევისტ ეკოს მთავარ პერსონაჟებად ტექსტი და ქრისტიანული კულტურა ჰყავს გამოყვანილი, ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს სათაურის სიმბოლოდ აღქმა და მისი მნიშვნელობის ქრისტიანულ წიაღში ძიება.

მაგალითად, ვარდის სიმბოლური მნიშვნელობა, რომელიც ნაწარმოების სათაურიდანვე იპყრობს ყურადღებას, მკითხველს „აიძულებს“ გაიხსენოს ვარდის ბიბლიური დანიშნულება, ასევე ვარდი იყო ერთ-ერთი უსაყვარლესი სიმბოლო XIX საუკუნეში რომანტიკოსებისა, ასევე რილკეს „ვარდის თაიგული“, ნებისმიერ

მკითხველს უჩნდება საკუთარი ასოციაცია ვარდთან დაკავშირებით, არამხოლოდ დასახელებული ტექსტებისა, არამედ იმ გამოცდილებისგან გამომდინარე, რომელიც ამ მხრივ მკითხველს გააჩნია. პროფესორი ტიტე მოსია წერს: „იოანე ზოსიმე წმ. ქალწულს „უხრწნელ ვარდს“ უწოდებს, რითაც ხაზგასმულია მისი ქალწულებრივი სიწმინდე. „ვარდი“ მარიამის სულიერი უმანკოებისა და მშვენიერების გამომხატველია და არა გარეგნული სილამაზისა“ (მოსია.1996); განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვარდის სახე ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ასე ძალუმაღ ასახულია უდიდესი ქართველი შემოქმედების ნაწარმოებებში, მარტო გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება რად ღირს, რომლის ვარდი სილაში, ღვთისმშობლის სახედ გვევლინება. სამართლიანად მიუთითებს მეცნიერი ლ. სორდია: „გალაკტიონის ლექსის სილაში მოქცეული ვარდი შეიძლება მხოლოდდამხოლოდ მარიამი იყოს, ხოლო მისი მოაზრება სილაში უნდა ნიშნავდეს იმას, რომ როგორც სილაა უნაყოფო ნიადაგი, რომელიც წყალს ატარებს და ვერც ვარდს ახარებს, ასეთივე რწმენისთვის უნაყოფოა, არარელიგიურია, მარიამის უგულვებელყოფელია პოეტის ეპოქა (სორდია, 2009,157). ამდენად, უმბერტო ეკოს პოსტმოდერნისტული ნაწარმოების სათაურიც კი მკითხველს თანაავტორის „პოზიციას“ თავაზობს, აღქმა ინდივიდუალურია, კვანძის გახსნა სიმბოლური, თავისებური, არჩევანი მრავალმხრივი, ტექსტის შექმნა ხდება არა მხოლოდ მაშინ როცა მას მწერალი ჩაიფიქრებს და დაწერს, არამედ მაშინ როცა ის ხდება კითხვადი. ამ შემთხვევაში მკითხველი თავიდანვე „მზად“ ხდება მწერლის მიერ შემოთავაზებულ ასოციაციებს, მნიშვნელობებს, ქვეტექსტებს და მეორე მხრივ, თავადაც ქმნის, „ავსებს“ ტექსტს.

უმბერტო ეკო შენიშვნებში რომანზე აღნიშნავდა, რომ ყოველი ახალი მხატვრული ნაწარმოები შედგება დანარჩენი, აქამდე შექმნილი ნაწარმოებებისგან. პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, როცა ცივილიზაციამ უზარმაზარი ისტორიული გამოცდილება შეიძინა, ფაქტობრივად შეუძლებელია რამე ახლის შექმნა. პოსტმოდერნისტული რომანი კი გარდაისახება ავტორისა და მკითხველის საერთო თამაშად, რომლის დროსაც მნიშვნელობები, სახეები, ასოციაციები მკითხველისა და მწერლის აზროვნებას შორის ღავირებენ. უმბერტო ეკოს აზრით, ხელოვნება არის წყარო ესთეტიკური კმაყოფილებისა, ამ თვალსაზრისით, თუკი მკითხველთა ნაწილს „ართობს“ ფილოსოფიური ტრაქტატი, მეორე ნაწილს შეიძლება მხოლოდ ბულვარული რომანი ანიჭებდეს სიამოვნება, ამ შემთხვევაში ვიღებთ ორი სახის მკითხველს: მასობრივი ლიტერატურის მოყვარულნი, რომლებიც ე.წ. „სამომხმარებლო“ ტექსტებს ანიჭებენ უპირატესობას, და მეორე ნაწილი, რომლებიც ცდილობენ ჩაწვდნენ მწერლის იდეას, აზრს. უმბერტო ეკო თვლის, რომ წიგნი აყალიბებს მკითხველს, ამიტომ თითოეული ტექსტი უნდა იყოს გამოცანა, რომელიც მკითხველს ახლის შეცნობის საშუალებას მისცემს.

პირველივე სახე, რომელიც ჩნდება შესავალში, ხდება გადამწყვეტი, აღსონი საუბრობს სარკეზე, მხედველობაში აქვს მსოფლიოს სარკე, რომელიც ირეკლავს ღვთაებრივ სიმაღლეს, მკითხველმა კი უნდა გამოიცნოს შუასაუკუნეების ტრაქტატებსა და ციტატების პოლემიკაში რეალობა და პოსტმოდერნისტული მეტაფორაც დამტკიცდება: ტექსტის სარკე, რომელიც ირეკლავს სხვა მრავალ ტექსტს. რომანში ყველგან კრთება ტექსტისა და ციტატის ურთიერთკავშირი, ამით მწერალი მიაწვდის მკითხველს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების არსებობის შესახებ. წიგნის სიუჟეტი განუწყვეტელი ბრძოლაა ტრადიციულსა და ნოვატორულს შორის, სქოლასტიკური დისკურსი მჭრელ და მტკივნეულ დარტყმებს იღებს დედუქციური

მეთოდისგან. ერთი შეხედვით ბანალურად ჩახლართული დეტექტივი სცდება მხოლოდ ბენედიქტელთა მონასტერში მომხდარ ამბებს და ის მთლიანად ეპოქის ამსახველი დოკუმენტი ხდება. „ვარდის სახელი“ მეტია ვიდრე უბრალოდ ისტორიული რომანი, მეტია ვიდრე უბრალო დეტექტივი, მეტი, ვიდრე აღუზიებით გატენილი სნობური წიგნი.

უმბერტო ეკოს ნამუშევრების აღქმა თავისებურ „ლოგიკას“ მოითხოვს, მკითხველიც უნდა დაიტვიტოს იმ გარემოთი, უნდა იცხოვროს იმ დროს, ადგილას, ეპოქაში, რომელსაც ავტორი აღწერს, მაშინ უფრო მიუახლოვდებით „იდეის“ არსს, ასევე სქოლასტიკური აზროვნებით შუასაუკუნეებში მცხოვრები ადამიანის გრძობებს შევიცნობთ, რომის პაპსა და გერმანიის იმპერატორს შორის გამართულ ინტრიგებში „მივიღებთ მონაწილეობას“; მხოლოდ ამ გზით შევძლებთ უილიამ ბასკერვილელის სამყაროში, ცნობიერებაში შედწევას. სამყაროში, რომელიც შეუხედავ, უბრალო ქოთანს ჰგავს, მაგრამ რომელსაც უკვე შეპარვია ეჭვის ბზარები და ის სადაცაა მსხვერველს დაიწყებს, შიშით უნდა ელოდო მეორედ მოსვლას.

ამრიგად, მრავალაზროვანი მნიშვნელობებით, სიმბოლოებით, ასოციაციებით დატვირთული რომანი – „ვარდის სახელი“ – ერთგვარ კოლაჟად შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენთვის ნაცნობი ტექსტებისა ნაწილ-ნაწილ, მაგრამ ამასთანავე რჩება ერთიანი ხაზი, რომელიც მწერლის ჩანაფიქრის ერთიან ხაზს კრავს. ნაწარმოები სრულდება, მაგრამ რჩება უამრავი ღია შეუზღუდავი მნიშვნელობები, რომლის ამოხსნა ბოლომდე შეუძლებელია, როგორც დროში „ხეტიალი“. რომანი იწყება ციტატით ბიბლიიდან: „თავიდან იყო სიტყვა“ და მთავრდება ლათინური ციტატით, მელანქოლიური „წერილით“, რომ ვარდი დაჭკნა, მაგრამ სიტყვა – „ვარდი“, სახელწოდება – „ვარდი“ დარჩა. ფაქტიურად, მთავარი „მოქმედი გმირი“ რომანისა არის „სიტყვა“. სხვადასხვანაირად აწყობენ მას უილიამი და ხორხე. ადამიანები ქმნიან „სიტყვას“, მაგრამ თავად „სიტყვა“ მართავს მათ. „ვარდის სახელით“ არის რომანი სიტყვაზე და ადამიანზე, შესაბამისად, რომანი სემიოტიკურ ხასიათს ატარებს. ხოლო სათაურში გამოტანილი „ვარდის“ სიმბოლური და მეტაფორული მნიშვნელობა „ახალ აღთქმასა“ და ფსალმუნებში უნდა ვეძებოთ, ვფიქრობ, ავტორმა მსგავსი სიმბოლური დატვირთვა მისცა სათაურს, რისი დასტური თავად ტექსტია, ხელნაწერი დაყოფილია შვიდ თავად, კვირის დღეებად, ყოველი დღე – ეპიზოდებად, ღვთისმსახურებას დაქვემდებარებულ ეპიზოდებად, შესაბამისად რომანში მოქმედება მიმდინარეობს შვიდი დღის განმავლობაში. ავტორი საუბრობს ნაწარმოებში რამდენიმე ლაბირინთის არსებობის შესახებ, რომლისგანაც გამოსვლა შესაძლებელია მცდელობების შედეგად, „ჩემი ტექსტი არის ისტორია ლაბირინთებისა“ (Эко, 1989.с.455), – ასკვნის ავტორი და რიზომების სამყაროში „მცხოვრები“ უილიამი ამის ნათელი მაგალითია.

ლიტერატურა:

1. Эко У. Имя розы. М. 1989.
2. Затонкий Д. Постмодернизм в историческом интерьере //Вопросы литературы. 1996. №3.
3. Михаил Сverdлов. Постмодернизм: Эко „Имя Розы“. <http://lit.1september.ru/articlef.php?ID=200402908>
4. Выготский Л.С. Психология искусства. М., 1997.
5. Лотман Ю.М. Избранные статьи. Т. 1. Таллинн, 1992.
6. ტ. მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება. ზუგდიდი, 1996.
7. ლ. სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები. თბ. 2009.

Lela Mirtskhulava
*On some aspects of interrelation of the text and heading in
Umberto Eco's novel "Rose Name"*
Summary

The novel begins with a quote from the Bible: "It was the word" and ends with the Latin maxim, melancholic "letter" confirming that the rose wilted, but the word "rose", the name "Rose" remained. "The main character" in the novel is called The Word. People create "word", but the „word“ is one that governs them. Thus, the text and the title of the novel by Umberto Eco "Name of the Rose" are interrelated, because in general there is a hint on the text of the New Testament and Psalms.

Лела Мирцхулава
*О некоторых аспектах взаимосвязи текста и заголовка в романе
Умберто Эко «Имя Розы»*
Резюме

Роман начинается с цитатой из Библии: „Вначале было слово" и заканчивается латинским изречением, меланхоличным «письмом», что роза завяла, но слово "роза", имя "Роза" осталось, „главный герой“ в романе „Слово“. Люди создают «слово», но само „слово“ руководит ими. Таким образом, текст и заголовок в романе Умберто Эко «Имя Розы» взаимосвязаны, так как в целом тексте есть намек на новый завет и Псалтырь.



ლამარა გერგედავა
(საქართველო)

**დონკინოტური სიკეთე და ოცნება –
ბურამ დონკინოტურის პერსონაჟების იდეალი**
(„მხიარული ბორცვი“)

გ. დონკინოტურის „მხიარულ ბორცვში“ სპარსელი უცნაურია, ეს ეპითეტი ნაწარმოებში მეორდება. მას შეუძლია თავისი „უმიზეზო სიკეთით“ გააღიზიანოს ავაზაკი, მტვრიან ქალაქში სინდისივით დაიარება.

კაცობრიობას, ადამიანთა მოღვმას (მის გარკვეულ ნაწილს) მუდმივად უწევს ბრძოლა ბოროტების, უსამართლობის წინააღმდეგ, ყოველთვის ვერ ამართლებს ჰარმონიული თანაარსებობის რუსთველისეული პრინციპი: „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“, ეს უდიადესი, უმნიშვნელოვანესი სურვილია ისევე, როგორც: „ბოროტსა სძლია კეთილმან...“ ამიტომ, მწერალი, პოეტი, რომელი მიმდინარეობის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, ვერ გაექცევა ჭეშმარიტებას, სიმართლეს, ხშირად, ფეხქვეშ გათელილია, სინდისი უმწეოა და კიდევ ერთ დიად მიგნებას ვაწყდებით შემოქმედი ადამიანებისას, ისინი - სიმართლეს, სინდისი, ჭეშმარიტება - დამოუკიდებლად უნდა მოქმედებდნენ. განა რა მოუტანა დონ კიხოტს სიმართლის ძიებამ და უნიადაგო ოცნებამ...

სინდისი აღსასრულს უახლოვდება და აგერ-აგერ სულს დაფავს უკვე ვაჟა-ფშაველას პოემა „სინდისში“: „... ვერაფერს გაეხდი, თავადაც წავხდი, და რომ სრულიად არ დავიკარგო, გთხოვ, დამეხმარო, შენ რამე მარგო, აღარ მაქვს, ღმერთო, კაცთ შორის ბინა“... „მიმიღე შენთან...“

სერვანტესის დონ კიხოტი, როგორც რელიკვიას, ისე დაატარებს სინდისს, სიმართლისთვის იბრძვის... ჯერ კიდევ ეტყობა, სერვანტესის დროინდელ ესპანეთში, მწერალს კიდევ ჰქონდა იმედი, ოცნებობდა, რომ ნატვრას ფრთები შეესხმებოდა, ამიტომ, პერსონაჟის ორეულს, მისი არსების შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს: სიმართლეს, სიკეთეს, ჭეშმარიტებას, სინდისს, რასაც ვერ ვიტყვით მეოცე საუკუნის ლიტერატურაში ნაჩვენები მოქმედი გმირების სახეებს.

მთავარი მოქმედი გმირი მოთხრობისა, „მხიარული ბორცვი“, მაჰმედ ააღია: „თურმე რამხელა მისია დაჰკისრებია ამ პიროვნების მოვლინებას, რომ სამარადჟამოდ უნდა აღიბეჭდოს ერის ცნობიერებაში და დღენიდაგ აფხიზლებდეს და მოუწოდებდეს ადამიანებს ზნეობისა და სულიერების უწყვეტობის შესანარჩუნებლად“ (2, 71).

გ. დონკინოტურის პერსონაჟები თავიანთი ყველასგან განსხვავებულობის, გამორჩეულობის გამო არიან უცნაურები, ისინი არავის არ ჰგვანან, მაჰმედ ააღი უცნაურია, რადგან მსგავსი პიროვნება ისპაჰანისა და მორდოვის ქუჩებს, ადამიანებს არ ახსოვთ, უცნაურია ვასიკო კეჟერაძე თავისი იდეებითა და ოცნებებით („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“), ის გაოცებას იწვევს. ასევე უცნაურია დონ კიხოტი ჩაცმულობით, მისწრაფებებით, ოცნებებით... მათ, ყველას, გ. დონკინოტურის „მხიარულ ბორცვში“ გაცხადებული „უმიზეზო სიკეთე“ აერთიანებთ, ვასიკო კეჟერაძეს, დონ კიხოტსა და მაჰმედ ააღის მხარს ჰაკი აბბა უმშვენებს (ღეო ქიანელი „ჰაკი აბბა“). ადამიანთათვის გაუგებარია ჰაკის უცნაურობა, ძიძიშვილისთვის თავგანწირვა ეს გაუგებარია გემზე მყოფი კუზმა კილგასთვისაც და მონას უწოდებს, მისთვის ჰაკი ჩვეულებრივი გლეხია, რომელიც თავის ბატონს სწირავს თავს.

„... უცნაურობაა, აბა რა, როდესაც ძალმომრეობას ზედ ესლები და - უთანასწორო შერკინებისას - მისი რკინის საღტეებიდან სულიერების გამოგლეჯას ღამობ.“

თხრობაში უშუალოდ არსადაა აღნიშნული, მაგრამ მკითხველი ხელშე-სახებად გრძნობს, რომ ეს უცნაური სპარსელი, მაჰმედ აალი, მოხეტიალე ქადაგია, თვისტომთა არსებაში ახალი იდეისა თუ რჯულის დამკვიდრებისათვის შემართუ-ლი და საკუთარი ნებით მიქმნელი იმ თავგანწირული აქტისა, რომელიც ქადა-გებაზე უკეთ შეაგონებს ადამიანებს, თუ რას გულისხმობს, რას ელტვის, რა მიზანი დაუსახავს ახალ დოქტრინას“ (2, 73).

ბრბო ასეთი ადამიანების მიმართ გულგრილია ხოლმე. ან დასციინიან, ან მის აღსასრულს ცივი გონებით უჭერეცენ.

ფრანგი სოციოლოგი, გუსტავ ლე ბონი, ადამიანთა დიდი მასების ფსიქოლოგიას სწავლობდა. „მისი წიგნი „ბრბო“ პირველად 1895 წელს გამოქვე-ყნდა საფრანგეთში.

ლე ბონის აზრით, ბრბოს კოლექტიური ემოციის ზეგავლენით ადამიანს ისეთი რამის ჩადენა შეუძლია, რაც მისი პიროვნებისათვის ყოველდღიურ ცხოვრე-ბაში სრულიად უცხოა. მეცნიერის დაკვირვებით, ბრბოში მოხვედრილი ადამიანი, რომელსაც საერთო ეგზალტაცია (აღგზნება) გადაეცემა, კარგავს კრიტიკული განსჯის უნარს და ბრმად ემორჩილება მასის მოქმედებას...“ (3, 249).

აკაკი ბაქრაძის აზრით: „საზოგადოებაც მოქმედი და მებრძოლი უნდა იყოს, თორემ, თუ საზოგადოება უმოქმედოა, მთვლემარე, მცონარე და გულხელდაკრე-ფილი, ხალხი გადაიქცევა ბრბოდ. ხალხი და ბრბო სწორედ იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ხალხი მოქმედი, ბრბო - უმოქმედო; ხალხი მებრძოლია, ბრბო - მორჩილი; ხალხი - შემოქმედი, ბრბო მომხმარებელი, ხალხი თავისუფ-ლების ტრფიალია, ბრბო - მონობისა, ხალხი მოაზროვნეა, ბრბო გონებაჩლუნგი; ხალხს რწმენა აქვს, ბრბო - ურწმუნოა; ხალხი იმედით არის სავსე, ბრბო - სასოწარკვეთილი, ხალხი მომავლის შექმნით ცოცხლობს, ბრბო - წუთისოფლის მოჭმით; ხალხი კეთილს ემსახურება, ბრბო - განჯგონებულია (საბას განმარტე-ბით, განჯგონებული იმას ჰქვია, ვისაც ბოროტი კეთილი ჰგონია); ხალხი პიროვნებებისგან შედგება, ბრბო უსახურია, მის წევრებს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევი...“ (4, 243).

ბრბო დასციინის სერვანტესის დონ კიხოტს, გულგრილია მის მიმართ, ბრბო სეირის მაყურებლადაა გადაქცეული გ. დოჩანაშვილის „მხიარულ ბორცვში“, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში „სარჩობელაზედ“, ბრბო ჩაქოლავს დამნაშავეს მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვაში“, იმეტებს მარიტას, გ. ლეონიძის „მარიტაში“, მოკვეთს ალუდას, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურში“... ბრბო ვერ აცნობიერებს ლეონიდ ანდრეევის მოთხრობა „ბენ-ტოვიტში“, რომ „მსოფლიო უსამართლობა აღსრულდა და გოლგოთაზე ყაჩაღებთან ერთად იესო ქრისტე აცვეს ჯვარს...“ (5, 16).

რ. ჩხეიძის თქმით: გ. დოჩანაშვილის მხიარული ბორცვი არის: „როგორც მაჰმედ აალის გოლგოთა“ (2, 67).

„... ის პოლიტიკურ პამფლეტად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოთხრობად“ (2, 69). რადგან მაჰმედ აალის პროტოტიპი ჰყავს ქართულ სინამდვილიდან, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია.

დონ კიხოტური ნიღბით გვევლინება მაჰმედ აალი, სერვანტესის პერსო-ნაჟივით, ისიც კეთილია, მებრძოლია, მასაც შინაგანი თავისუფლება უბიძგებს მოქმედებებისკენ, მისი სამოქმედო არეალი მთელი ქვეყანაა და სანამდეც ფიქრი მიუწვდება, არც დონ კიხოტმა და არც მაჰმედ აალიმ არ იცის, წინასწარ, რა

შეიძლება მოჰყვეს მის თავგანწირვას, მაგრამ რომც იცოდეს უკანდახევა არც ერთს არ სჩვევია.

ლიტერატურა:

1. გ. დონანაშვილი, მოთხრობები, თბ., 1987.
2. რ. ჩხეიძე, აღსარება გურამ დონანაშვილისა, თბ., 2011.
3. მშობლიური ლიტერატურა, VII, ვ. როდონია, ლ. ვაშაკიძე, ნ. ნაკუდაშვილი, თბ., 2002.
4. აკაკი ბაქრაძე სკოლას, თბ., 2004.
5. ქართული, 12, თ. ვასაძე, ნ. მუზაშვილი, ნ. ჩუბინიძე, თბ., 2008.

Lamara Gergedava

Kindness and dream of Don Quixote – ideals od Guram Dochanashvili's characters

("Ferry Hill")

Summary

Mahmud Ali, the main character of the story "Ferry Hill" by famous Georgian writer - Guram Dochanashvili, is an archetype of Don Quixote, the main character from the novel "Don Quixote" by Servantes, the distinguished representative of Spanish literature.

The ideals of the both aforesaid characters are kindness and dreams.

Ламара Гергедава

Добро и мечты по Дон Кихоту – идеал персонажей Гурама Дочанашвили

(«Забавный холм»)

Резюме

Главный действующий герой произведения известного представителя грузинской литературы Г. Дочанашвили «Забавный холм», Махмуд Али является архетипом Дон Кихота, главного героя романа выдающегося представителя испанской литературы Сервантеса «Дон Кихот».

Идеалами обоих героев этих произведений является доброта и мечтательность.



Рена Рзаева
(Азербайджан)

К ИСТОРИИ ИЗУЧЕНИЯ «МУНИС-НАМЕ»

Только в последние времена стало известно произведение Хосрова Абу Бакр ибн аль-Устадина, оно исследовалось литературоведами и критиками недавних времён. Из надписи, сделанной на рукописном экземпляре произведения (1) становится очевидным, что в апреле 1920 года, книга под названием «Тысяча и одна ночь» была приобретена. Ровно полвека "Мунас-наме" под этим названием хранилась в Британском музее. Наконец, эта рукопись привлекла внимание английского востоковеда Г.М. Мередит-Гуенсина, и было установлено, что рукопись это не "Тысяча и одна ночь", а произведение Хосрова Абу Бакр ибн аль-Устадина, написанное в эпоху правления династии Атабеков, его уникальный и единственный экземпляр. По краткому описанию рукописи, сделанному исследователями, и по сведениям, приобретённым во вступительной части произведения, оно было напечатано и опубликовано в 1971 году в Эдинбурге в сборнике «Иран и ислам» (2, 435-441).

Г.М. Мередит-Гуенсин не прошёл мимо монографии учёного, занимающегося исследованием и изучением истории династии Атабеков З.М. Буниятова, и посвятил часть своей монографии, исследующей культурную жизнь эпохи Атабеков под названием «Азербайджанское государство Атабеков» Хосрова Абу Бакр ибн аль-Устадину. Автор аль-Устадин кроме «Мунис-наме» ссылался на названия ещё шести исследователей работ в стихах и прозе, обратил внимание на то, кому они были посвящены, обратив внимание читателей на 29-ое сказание «Мунис-наме» (о "Абу-ль-А'ла Кирмани, его сыне, турах и приключениях в Нахичевани") обратить внимание читателей на интриги, коллизии и недовольства, связанные с проблемами, поднятыми в этом произведении (3, 228-229).

Позже З.М. Буниятов и Г. У. Алиев в пояснениях к книге Ф.У.Крымского "Низами и его современники", ещё раз упомянул Абу Бакр ибн Хосров аль-Устади и обратил внимание читателей на то, что он критиковал произведение персидского поэта XI века Азраги Херавина «Альфия и Сальфия» (4, 288).

Несомненно, что изучение «Муниснаме» и выведение её на литературную арену является заслугой и связано с именем покойного профессора Р.М. Алиева. Он благодаря стараниям и попыткам академика З.М. Буниятова привёз «Мунис-наме» в Азербайджан, перевёл её, обобщил наиболее важные положения произведения и опубликовал их в сборнике статей под названием «Вопросы восточной филологии» в статье «Мунис-наме» Абубакр ибн Хосрова (5, 75 -93). В этой статье Р. М. Алиев, систематизировав факты биографии и творчества Аль-Устада, донёс до читателей общие сведения о «Мунис-наме» и особое внимание в статье уделили параллелям между творчеством Низами Ганджави. Позже, эта статья была добавлена в предисловие к «Мунис-наме», переведённой Р.М. Алиевым (6, 5-10). В то же время, Р. М. Алиев перевёл «Повесть о Абул-Ала Кирмани, его сыне, их поездках и приключениях в Нахичевани» из «Мунис-наме» с некоторыми изменениями и сокращениями на азербайджанский язык и опубликовал его в небольшом вступительном слове в журнале «Азербайджан» (7, 149-158).

Позже Р.М. Алиев с большим упорством и интересом передал рукопись «Мунис-наме», её фотокопию автору этих строк и посоветовал заняться глубоким исследованием этого произведения. В заключении сделанного анализа мы ещё в 90-ых годах минувшего столетия опубликовали несколько статей в газетах «Азербайджанский учитель» и «Шахрияр». А в 2008-году в Нахичевани вышли в свет определённые части «Мунис-наме» в

переводе Сабухи Ибрагимова. Переводчик, используя фотокопию, хранившуюся под шифром FS-187 в Институте им. М. Физули НАНА, перевёл на азербайджанский язык вступление, I и II главы, а также и 26 и 29 повести произведения, связанные непосредственно с Нахичеваном, а также написал обстоятельное предисловие (8).

В указанных исследованиях информация о личности и творчестве (укажем, что эта информация основывается на вступительную часть, примечания и факты, имеющие место в «Мунис-наме») может обобщиться следующим образом.

Koolaee, Elaheh, انقلاب اسلامی ایران و اتحاد جماهیر شوروی, *Islamic Revolution of Iran and Russia*, Tehran, The Centre of Islamic revolution Documentation, 1379 - 1990.

Koolaee, Elaheh, کتاب سبز روسیه, *The Green book of Russia*, Tehran: Iranian Foreign Ministry, 1380 - 2001.

Milani, Mohsen, *The Making of Iran's Islamic Revolution: From Monarchy to Islamic Republic*, Translated in Persian by Attarzade, Tehran, Gam-e- Nou, fifth edition, 1381 – 2002.

Pravada Newspaper, Moscow press, (30 June 1982).

Ramezani, Rohallah, چارچوبی تحلیلی برای بررسی سیاست خارجی ایران, *Analytic framework for considering Iran foreign policy*, Translator, Alireza Tayyeb, Tehran, Ney, 6th edition.

Saghafy, Ameri, N. Ahadi A., *ایران و سیاست نگاه به شرق*, *Iran and the policy of looking to the East*, Tehran, Strategic Research Centre, 1387 - 2008.
Sepehr Zabih, *The history of Communist movement in Iran*, Tehran, Ataie, 1364-1985, 42-65.
Tahami, M., Bahmani, G.M., Rasouli, F., *سیاست آمریکا در قبال ایران در دوران جنگ تحمیلی*, *The American Policy toward Iran in the course of imposed war*, Tehran, Press centre of Iranian Foreign Minister for Historical Documentation, 1380-2001.
Zeiba Kalam, S., Etefaghfar, F., *هاشمی رفسنجانی بدون روتوش*, *Hashemi Rafsanjani without touched-up*, Tehran, Rozane, 2nd edition, 1387-2008.

Internet References:

Baghi E., "Iranian foreign policy from 1979 to present", <<http://www.emadbaghi.com>>, 15 april 2004.
Banisadr, A., interview with BBC radio, <<http://www.bbcpersian.com>>, 02 February 2003.
Bisotoni, Aram, "نگرش راهبردی روسیه به جهان اسلام", Strategic view of Russia to Islamic world, <<http://www.iris.ir>> Wednesday on 17th Aban 1385.
Ettelaat "newspaper", <<http://www.ettelaat.ir>>, Tehran, 11 Dey 1385 – 02 January 2006.
Enghelab-e Eslami dar Hejrat, newspaper, <<http://www.enghelabe-eslami.com>>, N. 655, 02 october 2006.
Keyhan "newspaper" <<http://www.keyhan.ir>>, Tehran, 11 Dey 1385 – 02 January 2006.

კალხორ ჰოსეინი
ირანის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობები ისლამური რევოლუციის
დროიდან ირან-ერაყის ომამდე
რეზიუმე

1979 წლის ისლამური რევოლუციიდან დაწყებული ირანის საგარეო პოლიტიკა შეიცვალა ნაციონალურ ინტერესებზე, ეკონომიკურ და სტრატეგიულ ფაქტორებზე დაფუძნებულ პოლიტიკაზე რევოლუციური ისლამური იდეოლოგიის ზეგავლენით. ირანის რევოლუციის პირველ წლებში ირანელმა პოლიტიკოსებმა ხელახლა შეიმუშავეს სახელმწიფოს სტრატეგია და ახალი საერთაშორისო პოლიტიკური სცენარი.

Хосейн Калхор
Отношения Ирана и СССР в период Исламской революции до окончания
Ирано-Иракской войны
Резюме

Начиная со времён Исламской революции 1979, внешняя политика Ирана изменилась вследствие влияния революционной исламской идеологии на политику, основанную на национальных интересах, экономических и стратегических факторах. В первые годы после Иранской революции иранские политики заново продумали стратегию государства и новый международный политический сценарий.

Вагиф Садыхов
(Азербайджан)

СТРАТЕГИЯ ОСМАНСКОЙ ИМПЕРИИ НА ТЕРРИТОРИИ СЕВЕРНОГО АЗЕРБАЙДЖАНА В ПЕРИОД ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ

В конце XIX-ого начале XX-ого века политическая арена мира была полна и богата различными коллизиями и противоречиями. Повышение политического влияния Германии на Османскую Империю вызвало резкую реакцию Великобритании, Франции и России.

В 1913-ом году младотурки занимали важные посты в правительстве Оттоманской Империи. Лидеры младотурков, такие как Энвер паша становится военным министром и начальником генштаба, Талят паша – министром внутренних дел и министром финансов, а Джамал паша – морским министром и военным губернатором Стамбула. Особая симпатия этих личностей к Германии явилась важной причиной тесных связей между этими двумя странами. В ноябре 1913-го года между немецким генералом Лиман фон Сандерсом и военным министром Оттоманской Империи был подписан договор об условиях и должностных функциях немецких офицеров, служащих в Турции. Германия была заинтересована в подписании этого договора.

14-го декабря 1913-го года делегация немецких офицеров прибыла в Стамбул. Делегацию возглавлял сам генерал Лиман фон Сандерс. Турецкая армия находилась под контролем немецкой делегации, и лично под контролем Лиман фон Сандерса. Он же являлся главным инспектором турецкой армии. Уже в начале войны он был назначен главнокомандующим Первой Армии.¹

Через день после того, как Германия объявила войну России, между Оттоманской Империей и Германией был подписан секретный договор, согласно которому Турция обязана была вступить в войну на стороне Германии, если Россия начнет военные действия против Австро-Венгрии. В договоре также было указано, что если территория Оттоманской Империи будет подвергнута нападению, то Германия будет защищать Турцию.² 29-го октября 1914-го года немецкие крейсера «Гебен» и «Бреслау» начали бомбить российские порты. 2-го ноября Россия объявила войну Турции. 5-го ноября Великобритания и Франция тоже объявили войну Турции. За это время Российская армия заняла важные позиции на Кавказском фронте. Германия надеялась, что Оттоманская армия сумеет противостоять натиску Российской армии на Кавказе.

На Кавказском фронте перед турецкой армией стояла задача захватить весь Южный Кавказ, в том числе и Южный Азербайджан, оцепить со всех сторон Каспийское море, а потом взбунтовать мусульманское население Средней Азии. Энвер паша хотел освободить тюркские народы от царского гнета, провозгласить независимость этих народов и создать единое тюркское государство «Туран». С этой целью он планировал отправить армию в Дербенд и при поддержке мусульманского населения нанести удар на русскую армию с тыла. Энвер паша придавал огромное внимание этому наступлению и надеялся, что благодаря этому, мусульманское население Азии сумеет восстать. Турки планировали вернуть территории Азербайджана и Крыма под управление Оттоманской Империи.

¹ Лиман фон Сандерс, «Пять лет в Турции. Воспоминания немецкого генерала», издательство «Едитепе», Стамбул, 2006, стр.31.

² Ильбер Ортайлы, «Германское влияние в Оттоманской Империи», издательство «Алкым», Стамбул, 2006, стр.106.

Воспользовавшись войной между Россией и Германией, турецкое правительство надеялось установить власть на Кавказе. Стратегические планы турков были следующими: 1) овладеть Кавказом; 2) захватить Египет; 3) изгнать русских и англичан с территории Ирана и проложить путь к Индии. С этой целью 3-я турецкая армия была отправлена на Кавказ.

Мировая война открыла перед Оттоманской Империей огромные возможности, в том числе вернуть назад былую славу. Победа Германии означало поражение России, а значит и присвоение Кавказа и ряда других территорий. Стратегические планы Оттоманской империи на счёт мусульманских и тюркоязычных народов Азии и Кавказа, создавались на национальной почве турков. Уже в первые дни войны турецкое правительство сделало официальное заявление: «Причина нашего участия в войне, это наши национальные интересы. Интересы нашего народа заставляют нас уничтожить врага. Только после этого будет возможно создать единство нашей нации и восстановить истинные границы нашей империи».¹ Планы Оттоманской империи до 1918-го года на счёт мусульманских и тюркоязычных народов, в том числе и Азербайджана, основывались на этих идеях. Турция прекрасно помнила прежние войны с Россией, то как царская Россия открыто поддерживала армянское население проживающее на территории Оттоманской империи. Турция также понимала желание России овладеть Стамбулом и Босфорским проливом. Эти обстоятельства определяли важность и цель политики Турции по отношению к России, в том числе по отношению к Азербайджану, в годы Первой Мировой войны.

Вступив в войну Оттоманская империя надеялась взбунтовать мусульман России и Великобритании, и тем самым ослабить эти государства. 23-го Ноября 1914-го года султан Мехмед Решад V объявил священный джихад и призвал всех мусульман бороться с Англией, Францией и Россией; освободить все мусульманские земли, в том числе Кавказ, от христианского гнёта. В призыве также было подчёркнуто, что необходимо освободить Египет, Индию и Судан от англичан; Алжир, Марокко и Тунис от французов. Турецкий султан, как лидер мусульман всего мира, объявив священный джихад, пытался заставить мусульман вступить в борьбу с христианами. Самое великое мусульманское государство пыталось привлечь к себе мусульман всего мира. Развивался панисламизм. А в Азербайджане также развивался пантюркизм. Турки планировали овладеть южной частью Азербайджана, затем захватить Ереванскую губернию и весь Кавказ, тем самым освободить эти земли от русских. Превосходство Турции было в том, что на Кавказе проживали мусульманские и тюркоязычные народы, которые вели активную борьбу за независимость. Энвер паша и другие лидеры младотурков поставили перед собой цель объединить тюркские народы Дагестана, Азербайджана, Средней Азии, Сибири, Крыма и долины Волги. По его мнению, Кавказ являлся своеобразным мостом между Турцией и территорией России, где проживали татары.² Следовательно, «пантюркистские устремления не могут быть полностью осуществлены, пока не сокрушён московский исполин... Если русский деспотизм... будет уничтожен храбрыми армиями Германии, Австро-Венгрии, Турции, тогда от тридцати до сорока миллионов турок получают независимость. Вместе с десятью миллионами оттоманских турок они образуют нацию..., которая так продвинется вперёд к великой цивилизации, что, вероятно, сможет сравниться с германской цивилизацией... В некотором отношении она достигнет превосходства над вырождающейся французской и английской цивилизацией».³

¹ Орал Сандер, «Политическая история», издательство «Имге», Анкара, 2005, стр.356.

² Стефанос Ерасимос, «Нации и границы. Балканы, Кавказ и Средний восток», издательство «Илетишим», Стамбул, 2002, стр.277.

³ Альп Текин, “The Turkish and Pan-Turkish Ideals”, См. Toynbee, Turkey P.F., стр.35-36.

Цель политики Турции в отношении Кавказа можно разделить на две части: 1) Согласно мирному договору подписанному между Россией и Турцией 3-го Марта 1878-го года, а также согласно договорённости принятому на конгрессе в Берлине, Турция пыталась восстановить границы на Кавказе в довоенных позициях. 2) Так как, Россия и Турция, в период Первой Мировой войны, являлись противниками, то одной из целей Турции было расчленение России и создание новых независимых государств, причём не только мусульманских и тюркских, но и других народов. Если бы Россия проиграла и распалась, то Турция могла бы присоединить к себе провозглашённые республики Южного Кавказа, или же усилить влияние над ними. А это, создало бы новую политическую обстановку на многомиллионном Кавказе.

Оттоманское государство уделяло особый интерес к азербайджанским туркам. Но по сравнению с другими народами Кавказа, азербайджанцы находились в тяжёлом положении. Потому что, несмотря на лояльное отношение к России, азербайджанский народ отказывался участвовать в каких-либо массовых акциях против своих братьев-турок. Но не только азербайджанцы испытывали симпатию к Турции. Другие народы, которые находились под гнётом царского колониализма, в том числе и христиане Кавказа, так же положительно относились к туркам. Они верили в справедливость Оттоманской власти. К примеру, грузины желали создать автономное грузинское государство под турецким протекторатом. Известно, что грузинские представители втайне встречались с турецкими властями.

В период войны видные политические деятели Порты стали ещё больше уделять внимания Азербайджану. У турецких политиков было несколько причин о возникновении идеи независимого Азербайджана: во-первых, Азербайджан являлся тюркским краем. Во-вторых, большее население Азербайджана верило в Ислам. В третьих, гео-стратегическое расположение Азербайджана было благоприятным. Это играло очень важную военно-политическую роль. В четвёртых, Азербайджан обладал богатыми природными ресурсами. И эти ресурсы использовались Российской империей не во благо азербайджанского народа, а с целью уничтожения врага, в том числе против Оттоманской империи. Например, Бакинский нефтяной район полностью снабжал нефтью русскую армию на Кавказском фронте. В период войны Азербайджан играл роль экономической базы. В пятых, если Азербайджан установит хорошие связи с Портой или попадёт под её влияние, то это ещё больше укрепит Оттоманское государство.

Идея создания независимого азербайджанского государства принадлежала не только Турции. Но и видные общественные и политические деятели Азербайджана тоже выдвигали эту идею. Эта мысль возникла в последствии внутренних процессов, а так же в последствии желания народа освободиться от колониального гнёта и борьбы с этим. Азербайджанский народ возлагал большие надежды на первую мировую войну. Уже в первые дни войны, члены бывшей партии «Дифайи», обговорили между собой вопрос о создании первого независимого Кавказского государства. В феврале 1915-го года брат Фатали-хана Хойского* Аслан-хан Хойский в тайне пересёк границу и встретился с Энвер пашой в его штабе в Эрзуруме. Цель Эрзурумского визита была заключена в том, чтобы получить согласие турецких лидеров о создании Азербайджанской республики, в состав которой вошли бы Баку, Елизаветполь, Ереванская губерния и Дагестан. В этом проекте, представленным Энверу, был задуман принцип создания Азербайджана скорее как независимого государства, чем объединения его с Оттоманской империей. В обмен на это Аслан-хан Хойский пообещал, что Азербайджан примет активное участие в восстании мусульманских народов

* Фаталихан Хойский, в 1918-ом году был первым премьер-министром Азербайджанской Демократической Республики.

Дагестана. Он, так же, сообщил что тысячи людей готовы воевать на стороне Турции. Но последствия военных действий не дали возможности реализовать этот план.

20-го декабря 1914-го года Энвер паша приказал перейти в наступление против русской армии в районе Сарыкамыш. Но многотысячная турецкая армия потерпела поражение. 3-я турецкая армия была полностью разгромлена. По некоторым данным около ста тысяч турецких солдат погибли в этой битве. Энвер планировал атаковать именно в этом направлении, разгромить русскую армию и завоевать Южный Кавказ. Но этот план потерпел крах, в результате чего Энвер паша принял план Аслан-хан Хойского.

После октябрьской революции в России, обстановка на фронте изменилась не в пользу России. Турецкая армия одержала несколько побед на Кавказском фронте. После этого Оттоманское правительство больше стало уделять внимания Кавказу. С этой целью была создана Кавказская Исламская Армия, главной задачей которой было освободить Южный Кавказ от большевиков.

Литერატურა:

1. Альп Текин, The Turkish and Pan-Turkish Ideals, Turkey P.F., Стамбул, 2005.
2. Алпай Кабаджалы, Воспоминания Таят пашы, издательство «Туркие иш банкасы йайынылары», Стамбул, 2006.
3. Готлиб В.В., Тайная дипломатия во время Первой Мировой войны, Перевод с английского В.А.Альтшулера и В.П.Готовицкой, Лондон, 1957.
4. Лиман фон Сандерс, Пять лет в Турции. Воспоминания немецкого генерала, издательство «Едитепе», Стамбул, 2006.
5. Мамед Фаталиев, Турция, Греция и великие державы накануне и в годы Первой Мировой войны, Баку, 2005.
6. Муса Касымов, Политика великих держав по отношению Азербайджана в годы Первой Мировой войны (1914-1918 года), I часть, издательство «Ганун», Баку, 2000.
7. Орал Сандер, Политическая история, издательство «Имге», Анкара, 2005.
8. Стефанос Ерасимос, Нации и границы. Балканы, Кавказ и Средний Восток, издательство «Илетишим», Стамбул, 2002.
9. Ильбер Ортайлы, Германское влияние в Оттоманской Империи, издательство «Алкым», Стамбул, 2006.

ვაგიფ სადიხოვი

ოსმალეთის იმპერიის სტრატეგია ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე პირველი მსოფლიო ომის პერიოდში რეზიუმე

სტატიაში საუბარია ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკაზე კავკასიაში პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში. თურქეთის მთავრობა გეგმავდა სამხრეთ კავკასიის მიტაცებას, მათ შორის, სამხრეთ აზერბაიჯანის, შემდეგ კი – შუა აზიის მუსულმანი მოსახლეობის ამბოხებას. ენვერ ფაშას სურდა თურქი ხალხების გათავისუფლება ცარიზმის ჩაგვრისაგან, ამ ხალხების დამოუკიდებლობის გამოცხადება და ერთიანი თურქული სახელმწიფოს „თურანის“ შექმნა. მსოფლიო ომმა ოსმა-

ლეთის იმპერიის წინაშე ახალი შესაძლებლობები წარმოშვა, მათ შორის – ძველი დიდების დაბრუნება.

სტატიაში ასევე საუბარია დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სახელმწიფოს შექმნაზე პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. მიზნის მისაღწევად აზერბაიჯანელი ხალხი დიდ იმედებს ოსმალეთის იმპერიის მხარდაჭერაზე ამყარებდა.

Vagif Sadikhov

***The strategy of Ottoman Empire on the territory of North Azerbaijan
in the period of First World War***

Summary

The article deals with the policy of Ottoman Empire in South Caucasus at the beginning of the First World War. Turkish government was planning to occupy all South Caucasus, including South Azerbaijan, to surround Caspian Sea and then incite Muslim population to rebellion. Enver Pasha wished to liberate Turkic people from oppression, to declare independence of this people and set up united Turkic state “Turan”. The World War opened up great possibilities for Ottoman Empire, including regaining the past glory. The victory of Germany meant the defeat of Russia, and thus appropriation of Caucasus and some other territories.

The article also studies the topic of independent Azerbaijani state establishment during the First World War. Azerbaijan people pinned great hopes to Ottoman Empire for reaching this goal.



რუსუდან ქავთარაძე
(საქართველო)

მედია და ბავშვთა უფლებები

მედიასაშუალებებში ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემები სხვადასხვა თემაზე და სხვადასხვა მიმართულებით აისახება, რაც არცთუ იშვიათად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას.

ბავშვთა უფლებები ფართო ცნებაა და ყველა მიმართულებას ცალკეული კანონმდებლობა არეგულირებს. მედიასთან მიმართებაში კი ბავშვთა უფლებები მხოლოდ ნაწილობრივ არის რეგლამენტირებული. კერძოდ, საქართველოში მედია სფეროში ბავშვთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები ძირითადად არსებობს მხოლოდ სატელევიზიო და რადიო მედიასაშუალებებთან მიმართებაში. ნაწილობრივ ასეთი რეგულაციები ვრცელდება ბეჭდურ ბედიანზეც.

საქართველოში საერთოდ არ რეგულირდება ე.წ. ახალი (ონლაინ) მედია. ამ სფეროში, პრაქტიკულად, ყველაფერი ნებადართულია. მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს ონლაინ მედიაში ბავშვთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის ნორმა, ოღონდ ეს ეხება მხოლოდ პორნოგრაფიას და ძალადობას. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (მუხლი 255, ნაწილი 2) თანახმად, აკრძალულია: „წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების შექმნა, შენახვა, შეთავაზება, გავრცელება, გადაცემა, რეკლამირება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა“. ამ მუხლის განმარტებისთვის არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველ პორნოგრაფიულ ნაწარმოებად ითვლება ნებისმიერი მეთოდით დამზადებული ვიზუალური ან აუდიომასალა, რომელშიც სხვადასხვა საშუალებებით წარმოდგენილია კონკრეტული არასრულწლოვნის მონაწილეობა ნამდვილ ან სიმულირებულ სექსუალურ სცენებში, გამოყენებულია მისი ხმა ან, მომხმარებლის სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ნაჩვენებია არასრულწლოვნის გენიტალური ორგანოები.

მართალია, ამ ნორმაში უშუალოდ მითითებული არ არის ახალი მედია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ტერმინი „გავრცელება“ სხვა მედიასაშუალებებთან ერთად, ახალ მედიასაც გულისხმობს.

სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს კიდევ ერთი ნორმა, რომელიც ბავშვებს ძალადობის შემცველი მედიამასალისგან იცავს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 256-ე მუხლით „აკრძალულია დამზადება, გავრცელება, ჩვენება ან შენახვა გავრცელებისა და ჩვენების მიზნით კინოფილმისა, ვიდეოფილმისა ან სხვაგვარი ნაწარმოებისა, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს“. ამ შემთხვევაშიც, რადგანაც პირდაპირ არ არის განსაზღვრული „გავრცელების“ მეთოდი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ნორმა ახალ მედიასაც უწევს შეზღუდვებს.

სამაგიეროდ, ე.წ. „ტრადიციული ელექტრონული მედია“ შეზღუდულია ბავშვთა საკითხების გაშუქებისა და ბავშვების, როგორც ტელემაყურებლის ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინების მხრივ.

ბავშვის უფლებათა კონვენცია (მუხლი 17) ადგენს ინფორმაციისა და მასალების მიღების, მედიასთან ურთიერთობისა და მედიასაშუალებებში ბავშვთა საკითხების გაშუქების ზოგად, საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, კონვენციის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები (მათ შორის საქართველოც) აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისათვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობას, განსაკუთრებით. ისეთი ინფორმაციისა და მასალებისა, რომლებიც მიმართულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისაკენ, აგრეთვე ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, თავის მხრივ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ შექმნან შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი ნორმები და პირობები. საქართველომ ეს ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა ე.წ. „ტრადიციულ მედიასაშუალებებთან“ მიმართებაში. ბავშვის უფლებათა კონვენცია არ აკონკრეტებს მედიასაშუალებების სახეებს. კონვენცია იყენებს ტერმინს „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“, რომელიც, ბუნებრივია, მოიცავს ახალ მედიასაც. შესაბამისად, სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომაც საჭირო რეგულაციები და პირობები ახალი მედიისთვისაც უნდა შექმნას.

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოში მოქმედი ტელევიზიების და რადიოებისთვის აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს. კანონის 51-ე მუხლის შესაბამისად, „მაუწყებელი (საქართველოში მოქმედი ტელევიზია და რადიო) ვალდებულია, სადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყოს სატელევიზიო დროის (ახალი ამბების პროგრამების, სპორტული მოვლენებისა და თამაშების, რეკლამის, ტელეტექსტისა და ტელეშოპინგისათვის გამოყოფილი დროის გამოკლებით) ნაწილის ევროპული წარმოების პროდუქციისათვის გამოყოფა. ევროპული წარმოების პროდუქციისათვის დათმობილი დროის ეს ნაწილი გამოიყენება პროგრესულად, შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე, მაყურებლისა და მსმენელის წინაშე მაუწყებლის საინფორმაციო, საგანმანათლებლო, გასართობი და კულტურული ვალდებულებების გათვალისწინებით“.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმიდან ჩანს, ქართულმა ტელე და რადიო მედიასაშუალებებმა ეთერი უნდა დაგეგმონ საგანმანათლებლო, გასართობი და კულტურული ვალდებულებების გათვალისწინებით. ეს ზოგადი ნორმა დაზუსტებულია ამავე კანონით (მაუწყებლობის შესახებ) და მაუწყებელთა ქცევის კოდექსით.

კანონით „მაუწყებლობის შესახებ“ (მუხლი 56, ნაწილი 5) „იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს“. ძალიან საინტერესო ნორმაა, თუმცა ბუნდოვანია ის ნაწილი, როდესაც საუბარია დროზე, როდესაც ბავშვების მიერ მაუწყებლის პროგრამის ნახვის ალბათობაზეა საუბარი. მართალია, ამ ნორმას შემდგომში მეტ-ნაკლებად აზუსტებს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, თუმცა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ ბავშვები უფრო გვიან უყურებენ ტელევიზორს, ვიდრე რეგულაციები ითვალისწინებს. არსებული წესები ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა დაცვას მედიასაშუალების მავნე ზეგავლენისგან.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ იძლევა „საბავშვო დროის“ საინტერესო განმარტებას, რაც მოიცავს იმ დროს, როდესაც შესაძლოა ბავშვები იყვნენ ტელემაყურებლები ან რადიოს მსმენელები (მუხლი 5, ნაწილი „უ“): „საბავშვო დრო არის დროის ისეთი მონაკვეთი, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა, რომ არასრულწლოვანები, ოჯახის წევრ ზრდასრული წევრებისაგან დამოუკიდებლად, უსმენენ ან უყურებენ ტელე-რადიო სამაუწყებლო პროგრამებს“. ეს დებულება შემდეგში უფრო დაზუსტებულია კონკრეტული რეგულაციებით, რომელთა დიდ ნაწილსაც, სამწუხაროდ, ნაკლებად იცავენ ქართული მედიასაშუალებები.

„სამაუწყებლო ბადის შედგენისას მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ 20.00 საათიდან 24.00 საათამდე, სამაუწყებლო ბადეში პროგრამათა დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ მოხდეს ამ კოდექსით განსაზღვრულ არასრულწლოვანთა ასაკობრივ ჯგუფებზე მავნე ზეგავლენის მოხდენა.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი ახდენს არასრულწლოვანთა შემდეგი ასაკობრივი ჯგუფების იდენტიფიკაციას: ა) 7 წლამდე; ბ) 12 წლამდე; გ) 15 წლამდე; დ) 18 წლამდე.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსით განსაზღვრული არასრულწლოვანთა ასაკობრივი ჯგუფების მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით, მაუწყებელი ვალდებულია მოახდინოს მის სამაუწყებლო ბადეში განსათავსებელი პროგრამების კლასიფიკაცია არასრულწლოვანთა ამ კოდექსით განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფებისათვის შეუფერებელი, შესაბამისი კატეგორიების პროგრამების განსაზღვრისა და მათი სათანადო დროითი შეზღუდვებით დაგეგმვის გზით.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს ნორმა, რომელიც არაპირდაპირი ფორმით ბავშვის მშობლებისთვისაც ადგენს „სწავლებისა და აღზრდის ვალდებულებებს“. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხლი 172) აწესებს პასუხისმგებლობას მშობლების ან მათი შემცველი პირების მიერ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობისათვის, ხოლო ამ ნორმის დამრღვევი მშობლისთვის ადგენს სანქციას.

ეს ნორმა თავისი შინაარსით, ერთი მხრივ, საინტერესო, ხოლო, მეორე მხრივ, ბუნდოვანია, რადგანაც არ არსებობს განმარტება იმისა, თუ რა იგულისხმება ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობაში. მაგალითად, როდესაც მშობელი არ უკრძალავს 12 წლის ბავშვს ეროტიკული ჟანრის ფილმის ყურებას - ეს არის თუ არა სამართალდარღვევა და თუ არის, ვინ დააჯარიმებს მას?

ალბათ, კანონმდებელი ამ შემთხვევაში ვარაუდობს, რომ იაქტიურებს მეორე მშობელი ან ოჯახის სხვა წევრი, რომელიც „გულგრილ“ მშობელს, რომელმაც ბოროტად არ შეუშალა ხელს ბავშვს პორნოგრაფიის ჟანრის ფილმის ნახვაში - შესაბამის ორგანოებში უჩივლებს. სხვათა შორის, კანონმდებლობა იმ პირებისთვისაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, რომლებიც ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობის ფაქტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არ შეატყობინებენ. ამგვარი სამართალდარღვევისთვის ჯარიმა შეადგენს 150 ლარს.

ამრიგად, მედიაში ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების ასახვა რეგულირდება საკანონმდებლო ნორმებით, რომლის დაცვა და გათვალისწინებაც აუცილებელია ყველა დონეზე.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995.
2. ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა - უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, 2011 (ქართული თარგმანი. გამოცემა - გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა).
3. ბავშვის უფლებათა კონვენცია. მიღების თარიღი: 1989 წელი.
4. მედია და ბავშვთა უფლებები (პრაქტიკული ცნობარი ჟურნალისტებისათვის), 2005.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (2012 წლის ოქტომბრის მდგომარეობით).

Rusudan Kavtaradze
Media and the rights of children
Summary

Presented article deals with the number of legislative norms and rules, regulating the problems of covering through mass media, issues, concerning children, restricting and prohibiting environments. The article also describes the legislative norms, approved by the Georgian legislation and international standards, which regulate the relationship among children and media.

Русудан Кавтарадзе
Медиа и права детей
Резюме

В статье рассмотрены правовые нормы, регулирующие проблему и правила освещения средствами массовой информации тем, касающихся детей, ограничительные и запрещающие меры, предъявленные всем видам массмедиа. Вместе с тем, в статье описаны правовые нормы телевидения, согласно законодательству Грузии, а также международные правовые нормы, регулирующие взаимоотношения между медиа и детьми.



Леван Джакели, Манучар Лория
(Грузия)

НЕКОТОРЫЕ ИСТОРИКО-ПРАВОВЫЕ ВОПРОСЫ БЕЗОПАСНОСТИ КАВКАЗА И ГРУЗИНСКИЙ ФАКТОР

Сегодня Кавказ, как никогда, расчленён. Кавказские государства и народы озабочены и заняты собственной судьбой, и их общие интересы отодвинуты на второй план. Исходя из этого, не приходится уповать на скорейшее налаживание вопросов стабильного развития и безопасности. Нет сомнения, что успех всего кавказского региона зависит от объединённых усилий как стран, так и народов. В Советском Союзе кавказский вопрос рассматривался в общем разрезе, следовательно, достижение согласия и взаимопонимания не осложнялось субъективными факторами. В условиях многосубъектного состава региона всё более разным и отдалённым становятся позиции кавказских государств и народов. Кавказ всегда был и остаётся центром геополитических интересов не только для стран региона, но и для ведущих стран мира. Таким образом, закономерно, что мир и стабильность от вооружённых конфликтов и междоусобиц на Кавказе отделяла прозрачная грань. Не удивительно, что прекратились и уже не идут переговоры по вопросу объединения Кавказа. Опираясь на реалии современных событий и объективную потребность, нецелесообразным и бесперспективным кажется возвращение к идеям создания «единого Кавказского дома». Осуществление данной идеи было бы своевременным во время распада СССР, когда единство и сплочённость кавказских народов могли сыграть решающую, судьбоносную роль как для самих народов, так и для современной России.

С распадом Советского Союза начался повсеместный длительный период системного кризиса, который всё ещё далёк от завершения и тяжело отражается как на общественной жизни, так и на внешней политике бывших союзных государств.

Особым фактором, влияющим на процессы безопасности в Кавказском регионе, является Грузия, которая за последние 5 лет добилась значительных успехов на международной арене. Она активно включилась в международные процессы, наладила важные и полезные контакты, заручилась политической поддержкой ведущих западных государств, однако вопросы безопасности остаются открытыми и такими же актуальными, как и прежде.

На основе полученного опыта кажется закономерным вынесение вопроса безопасности Грузии с регионального уровня на более высокий международный, может быть, даже и на глобальный уровень. Недостаток системы безопасности Кавказа заключается в том, что между странами региона не существует ни двухсторонних, ни коллективных соглашений о сотрудничестве в военной сфере и безопасности.

Очевидно, что старание и усердие народов Кавказа, которые в течение многих столетий были направлены на создание общекавказского дома, не привели к желательным результатам, в частности, к стабильности, безопасности и динамичному развитию. Регион ни морально, ни идеологически, ни институционально не оказался готовым совместно преодолевать сопротивления. Следовательно, оправданным и обоснованным видится поиск выхода из ситуации в уже в апробированных в подобных случаях системах. В этом отношении внимание заслуживает региональная система безопасности Европы, которая полностью соответствует глобальной системе безопасности, определённой уставом ООН.

Созданию Европейской системы безопасности предшествовала многовековая и кропотливая усердие государств региона. Однако окончательно его реализация стала возможным в 1975 г. в рамках Хельсинской конференции по вопросам безопасности и

сотрудничеству в Европе. Парижская Хартия 1990 г. и приложения к ней заложили основу институционализации системы европейской безопасности, благодаря чему и были созданы конкретные структуры. Лисабонская декларация 1996 г. о «Модели всеобщей и всеобъемлющей безопасности Европы 21-го века» развила концептуальные основы европейской безопасности. В частности, чётко была обозначена необходимость создания общего пространства безопасности, для которого определяющим является всеобъемлющий и целостный характер безопасности, уважение различных ценностей, норм и обязательств.

В системе Европейской безопасности значительное место занимает «Кодекс военно-политического поведения стран-участников», принятый на форуме ОБСЕ в Будапеште в 1994 г. Именно в нём было сформулировано концептуальное положение, что безопасность - понятие целостное, нераздельное. Безопасность каждого, отдельно взятого государства, неразрывно связана с безопасностью остальных государств-участников. В данном документе были предусмотрены важнейшие общие и внутригосударственные меры по таким важным направлениям, как разоружение, борьба с терроризмом, право на осуществление индивидуальных и коллективных мер самообороны, укрепление доверия, создание благоприятных экономических и экологических условий. Более того, в «Кодексе» чётко сформулировано, что под безопасностью подразумевается конструктивные глобальные, региональные и субрегиональные связи.

Особое место в системе безопасности Европы занимает «Хартия европейской безопасности», которая была принята на саммите глав-государств ОБСЕ 19 ноября 1999 г. в Стамбуле. Согласно Хартии ОБСЕ является основной организацией, разрешающей споры в регионе, и инструментом обеспечения предотвращения конфликтов, преодоления кризисов, постконфликтного восстановления. Положительной стороной Хартии является то, что она запрещает такое расширение военного сотрудничества, когда создаётся угроза участникам ОБСЕ.

При обеспечении безопасности Европы особая роль возлагается на международные соглашения, которые определяют объём и правила использования некоторых видов оружия. Также частью системы европейской безопасности можно считать систему безопасности Содружества независимых государств, которая изложена в третьей главе устава СНГ. До недавних пор Грузия была участником данной организации, однако в деле содействия государственному развитию, согласования общих интересов она ничего полезного не внесла, более того, она во многом сковывала и ограничивала Грузию в выборе своих международных приоритетов, что и послужила мотивом для выхода Грузии из состава СНГ.

Частью системы Европейской безопасности является организация Северо-Атлантического договора (НАТО), учреждённая в 1949 г. Данная организация обеспечивает политическое и военное сотрудничество между европейскими государствами, США и Канадой. Согласно уставу НАТО, организация обеспечивает безопасность только государств-членов. Несмотря на то, что НАТО не является чисто региональной организацией Европы, она играет ведущую роль в деле обеспечения европейской безопасности. НАТО доказало свою жизнеспособность и не вызывает сомнений её потенциальная возможность обеспечивать неприкосновенность своих членов.

Стабильность и успешность европейской системы безопасности, хоть она и не совершенна и требует доработки, тем не менее играет определяющую роль в деле выбора Грузии международных приоритетов. События последних лет объясняют стремление Грузии в апробированные международные системы безопасности и в, частности, в НАТО. Геополитические интересы и субъективные факторы государств кавказского региона на данном этапе не позволяют создавать благоприятные условия для добрососедского сосуществования. Существующее сотрудничество ограничивается узким кругом взаимовыгодных экономических отношений, вместе с тем вопросы военно-политического

характера отодвинуты на задний план. Следовательно, нет альтернативного механизма для обеспечения безопасности Грузии, кроме как европейского. При этом стоит учесть и тот недостаток, который характеризует эту систему, в частности то, что она носит превентивный характер и абсолютно непригодна уже в отношении состоявшегося факта.

Выходя из вышесказанного, можно сделать следующие выводы.

- 1) В современных условиях, обеспечение безопасности Кавказа в целом осложняется отсутствием единой концепции и подходов к данному вопросу. Нет ярко выраженных стремлений к единым целям. Страны региона, каждая в отдельности, имеет собственное представление по вопросу обеспечения безопасности. В частности, Грузия ориентирована на интеграцию в европейскую систему, Армения на сотрудничество с Россией, Азербайджан ещё не определился, к какой системе безопасности примкнуть, а Россия и вовсе опирается на собственные силы. Следовательно, при всем этом разнообразии, невозможным кажется создание и тем более осуществление системы безопасности;
- 2) Безопасность Кавказа зависит от умеренной внешней политики, двухсторонней и многосторонней дипломатии, от стимулирования и углубления сотрудничества, для начала, хотя бы в сфере экономического, социально-культурного и научного развития;
- 3) Стремление в европейские и мировые интеграционные объединения оправданы в плане обеспечения безопасности в будущем и менее всего ориентированы на решение проблем в настоящем. Таким образом, у действующих систем безопасности не хватает жизнеспособности противостоять уже свершившимся фактам. Следовательно, разработка новой, приспособленной к региональной специфике системы безопасности Кавказа, является объективной необходимостью;
- 4) Система, призванная обеспечить безопасность Кавказа, должна быть создана с учётом и в соответствии с апробированными системами Европы и НАТО, при главном условии - взаимосвязи безопасности одного государства с безопасностью остальных участников договора в целом.

მანუჩარ ლორია, ლევან ჯაყელი
კავკასიის ისტორიულ-სამართლებრივი უსაფრთხოების
საკითხები და ქართული ფაქტორი
რეზიუმე

კავკასია ყოველთვის იყო კონფლიქტების და ვნებათაღელვის ადგილი. მისი ადგილმდებარეობა ყოველთვის იწვევდა წამყვანი, განვითარებული და მეზობელი ქვეყნების ინტერესს. მიუხედავად დიდი სამხედრო და პოლიტიკური გამოცდილებისა, კავკასიამ ვერ შეძლო შეექმნა თავდაცვის ეფექტური სისტემა. კავკასიის ქვეყნები და ერები აგრძელებენ უსაფრთხოების შენარჩუნებას ინდივიდუალურად, განცალკევებით, რაც ამცირებს სტაბილურობის და მშვიდობის გარანტიას რეგიონში.

აღნიშნული სტატია ხაზს უსვამს კავკასიის სუსტ მხარეებს რეგიონის თავდაცვის სისტემის და მექანიზმების ფორმირებაში. აქცენტი კეთდება იმ ზომებზე, რომელთა მიღება უზრუნველყოფს უსაფრთხოების შენარჩუნებას საქართველოში, ასევე, ევროპაში არსებულ უსაფრთხოების სისტემებზე, მათ უპირა-

ტესობებსა და ნაკლოვანებებზე. სტატია სრულდება რეკომენდაციებით უსაფრთხოების ზომებზე საქართველოსთვის. კავკასიის უსაფრთხოება შეიძლება შენარჩუნდეს მხოლოდ თანამშრომლობით და კავკასიის საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

Manuchar Loria, Levan Jakeli
Some issues of Caucasus historical and legal safety and Georgian factor
Summary

Caucasus has always been the place of unrest and conflicts. Its location always attracted the interest of the leading, developed and neighbouring countries. Despite big military and political experience, Caucasus did not manage to establish the effective defense system. The Caucasian countries and nations continue maintaining the safety in Caucasus individually, in separation, which minimizes the guarantee of stability and peace in the region.

The article highlights the weakness of the Caucasus in forming the region defense system and mechanism. The focus is made on the measures to be taken for ensuring the safety of Georgia, existing European systems of defense, their advantages and shortcomings. The article concludes with the recommendations on the safety measures appropriate for Georgia. The safety of the Caucasian countries can be secured only in cooperation with joint forces and consideration of common interests of the Caucasus in parallel with other regional and global mechanisms.



რუსულან ქავთარაძე (საქართველო)

მედია სივრცე ოჯახში

სხვადასხვა მიზეზთა გამო, ბოლო დროს მშობლები სულ უფრო ნაკლებ დროს უთმობენ ბავშვთან ურთიერთობას, მისი შინაგანი სამყაროს გამდიდრებას, მის ნამდვილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ზნეობრივი აღზრდის საკითხები, სამწუხაროდ, მეორეხარისხოვნად იქცა, ხოლო პრიორიტეტული გახდა პრაქტიკული, საყოფაცხოვრებო (ბავშვის კვება, ჯანმრთელობა, შემოსვა და ა.შ.) პრობლემების მოგვარება. სწორედ ამ და სხვა მრავალი გარემოებების გამო "მოუცლელი" მშობელი, ბავშვის გართობის მიზნით, ხშირად მიმართავს მასობრივი მედია საშუალებების დახმარებას, რომლებიც ასეთ შემთხვევაში "ძიძის" როლს ასრულებენ, ხოლო რა შედეგი მოყვება ამგვარ „აღზრდას“ ეჭვს არ ბადებს. ხშირ შემთხვევაში მასობრივი მედიასაშუალებების სტიქიურ, გაუცნობიერებელ გამოყენების შედეგს წარმოადგენს ზნეობრივად დეგრადირებული/დაცემული, სულიერად არა ჯანსაღი და მცდარი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანი.

განვიხილოთ "მედია სივრცე ოჯახში" რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე. 50-იანი წლების საშუალო ბრიტანული ოჯახი ფლობდა თავის საკუთრებაში ერთ ტელევიზორს, რომელიც ჩვეულებრივ იდგმებოდა მისაღებ ოთახში, სადაც მთელი ოჯახი ერთად უყურებდა საყვარელ გადაცემას. ახალი არხების გავრცელებამ, გამოიწვია წინასწარ შეთანხმება ოჯახის ყველა წევრთან ერთად თუ რას და როდის უყურონ, ხოლო მსგავსი მოლაპარაკებების ხორციელებოდა გენდერული და ასაკობრივი განხვავებების გათვალისწინებით. 90-იანი წლების ოჯახებში კი, განსაკუთრებით იქ, სადაც ჰყავთ შვილები, გამოვლინდა რამდენიმე ტელევიზორის, ვიდეომანტიოფონის, კომპიუტერის, მუსიკალური ცენტრის, სათამაშო ფლეიერისა და ტელეფონის არსებობა. ამავე კვლევების თანახმად, რომელიც ჩატარდა სონია ლივინგსტონის (1999 წ. ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების, სოციალური ფსიქოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი) ხელმძღვანელობით, 10-დან 4 მოზარდი ცხოვრობს სახლში, სადაც აქვთ ოთხი და მეტი ტელევიზორი.

ბავშვების ცხოვრებაში "გამოსახულებითი" სახეობის მედიის (screen-based media) გამოჩენასთან ერთად განვითარდა და გავრცელდა "გამოსახულებითი ხასიათის მქონე გართობის სახეობა" (screen entertainment). ამას ადასტურებს გამოსახულებითი მედიასაშუალებებისადმი მზარდი მოთხოვნილება და უპირატესობის მინიჭება გამოსახულებითი მედიარესურსებისადმი, ბეჭდურ მედია საშუალებებთან შედარებით. ასე, მაგალითად, იმ ბავშვებში, რომლებიც დიდ დროს ატარებენ ტელევიზორების წინ, უფრო ხშირად შეიმჩნევა მიდრეკილება კომპიუტერული თამაშებითა და ვიდეომანტიოფონების საშუალებით გართობისა, ვიდრე იმ ბავშვებში, რომლებიც უპირატესობას ბეჭდურ მედიასაშუალებებებს ანიჭებენ.

ამგვარად, კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ბრიტანელი ბავშვების უმრავლესობას აქვს საკუთარი ვიდეოგასაერთობი მედია რესურსები, რომლებთან ურთიერთობაზეც გაცილებით უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე მათი თანატოლები სხვა ევროპულ ქვეყნებში.

დიდ ბრიტანეთში 7-16 წლის ასაკის ბავშვების 50%-ს საძინებელ ოთახში უდევთ ტელევიზორი, მაშინ როდესაც იგივე ასაკის ბავშვების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ტელევიზორით საკუთარ ოთახებში დანიაში შეადგენს -

32%, შვედეთში -25%, ესპანეთში - 21%, გერმანიაში - 17%, საფრანგეთში - 16%. მსგავსი ვითარებაა ვიდეომანგიტოფონებისა და სათამაშო ფლეიერებთან მიმართებაშიც.

განსხვავებულია მდგომარეობა ბექდური მედია რესურსების შემთხვევაში. აქ, ბრიტანელი ბავშვების 68% თავის ოთახში განთავსებული აქვთ წიგნების თაროები, მაშინ როდესაც დანიაში მათი რიცხვი აღწევს 83%-ს, გერმანიაში - 85%-ს, ესპანეთში - 89%-ს, საფრანგეთში - 93%-ს, შვედეთში - 94%-ს.

სონია ლივინგსტონის მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა აგრეთვე, რომ საშუალოდ ინგლისელი (ასაკი განისაზღვრა 6-17 წლამდე) ეკრანის წინ ერთ დღეში ატარებს ორ საათ ნახევარს, რაც ნახევარი საათით აღემატება შვედეთისა და ესპანეთის მაჩვენებლებს, ხოლო ერთი საათით - გერმანიისა და საფრანგეთის მაჩვენებლებს.

ამგვარად, მოცემულმა კვლევებმა ცხადყო, რომ საშუალო ასაკის ბრიტანელი ბავშვები არ იმყოფებიან პერსონალური კომპიუტერების მომხმარებელთა შორის მოწინავე რიგებში, მაშინ როდესაც ლიდერობენ საშუალო ასაკის ტელემაყურებელთა სახით. სხვა ევროპელი ბავშვებისაგან განსხვავებით, ბრიტანელი ბავშვებისა და მოზარდების მიერ კომპიუტერული საშუალებების (პერსონალური და მულტიმედიური კომპიუტერები, ინტერნეტი) მოხმარება საკმაოდ მწირია.

განსხვავებული ვითარებაა ამ კუთხით საქართველოში, სადაც კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება კომპიუტერის, ინტერნეტის, ზოგადად სოციალური ქსელების მიმართ.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოში მცხოვრებთა უმრავლესობის ყოველი დღე იწყება ტელევიზორის ჩართვით, საყვარელ არხზე გადართვით ან (იშვიათ შემთხვევაში) გაზეთის კითხვით. შემდეგ სამსახურში გრძელდება ინფორმაციის მიღება. შესვენებებზე, როგორც „წესი“, ხდება მიღებული ინფორმაციის გაცვლა და გაზიარებას თანამშრომლებისათვის: ნანახი ფილმის, მოსმენილი ინფორმაციის, ახალ ამბებში გასული სიუჟეტის გაზიარება და ა.შ. შესახებ. სახლში დაბრუნების შემდეგ დარჩენილი საღამო ისევ ტელევიზორს ან კომპიუტერს ეთმობა. ეს ეხება მათ, ვინც მუშაობს. ხოლო ვინც უმუშევარია, მათი უმრავლესობა ტელევიზორის და კომპიუტერის უფრო აქტიური მომხმარებელია (რა თქმა უნდა, ვისაც ხელი მიუწვდება).

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ XXI საუკუნეში ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად ხდება ინფორმაციის სწრაფი გავრცელება და აუდიტორიისათვის მიწოდება. მაგრამ, სამწუხაროდ ზემოთ აღნიშნული ფაქტი სრულიად არ გულისხმობს საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების მაღალ დონეს. ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ დასავლურ ქვეყნებში მედიაგანათლება იქცა სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ დისციპლინად.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავის ქადაგებებში (2003, 2011) არაერთჯერ აღნიშნავს მედიაგანათლებისადმი ყურადღების მიპყრობის აუცილებლობას, რათა მედია გამოყენებული იქნას ზნეობრივი აღზრდისათვის და დაცული იყოს ბავშვი უარყოფითი ზეგავლენისაგან.

”მედიაწიგნიერების უნარების განვითარება ისეთივე აუცილებელი რამაა 6-10 წლის ასაკის ბავშვებში, როგორც წერის, კითხვის და დათვლის უნარების განვითარება. ამ დროს სწორედ რომ მშობელი იქცევა მედიის სამყაროში პირველ მეგზურად, მას შეუძლია დაეხმაროს პატარას გააკეთოს სწორი არჩევანი, სრულყოფილად აღიქვას მედიაინფორმაცია, გამოიყენოს მასობრივი კომუნიკა-

ციების საშუალებების განმავითარებელი და საგანმანათლებლო პოტენციალი” (Челышева, 2008: 4).

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული მრავალი კვლევისა და განხილვის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის განსაზღვრული მედიასაშუალებების საზოგადოების ქცევაზე ზემოქმედების ზუსტი კოეფიციენტი, მაგრამ უდავოა, რომ მედია ახდენს ზეგავლენას ბავშვებზე, ახალგაზრდებზე, თუმცა მისი ზემოქმედების ძალა ჯერაც არ არის ბოლომდე შესწავლილი. როგორ უნდა ვიმოქმედოთ მსგავსს პირობებში, რათა დავიცვათ ახალგაზრდები მედიის მავნე ზეგავლენისგან? პასუხი ცალსახაა: აუცილებელია მედიაგანათლებისა და მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობა.

მედიასფეროში მოღვაწე ცნობილმა მკვლევარებმა (ტ. ორნაუი და ლ. ფლინი), ცნობილი წიგნის „მედიადიეტა ბავშვებისათვის” გამოთქვეს სწორი აზრი: „თუკი თქვენ მედიასფეროში გათვითცნობიერებული მშობელი ბრძანდებით, მაშინ თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენს შვილს გათვითცნობიერებაში. ამის ყველაზე საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს შემდეგი: დაუჯექით ბავშვს გვერდით ტელევიზორის ყურების დროს და დაეხმარეთ მას გაიგოს ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს. ასე მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ აუხსნათ თქვენს პატარებს, რომ რეკლამის საშუალებით ადამიანებს აიძულებენ შეიძინონ ნივთები, რომლებიც სინამდვილეში მათ საერთოდ არ ჭირდებათ, ან ის, რომ საშინელი მკვლევლობები, რომლებსაც ახალ ამბებში უჩვენებენ არ ხდება ყოველდღიურად, ან უბრალოდ აუხსენით ის, რომ მოჩვენებები არ არსებობენ.

ამრიგად, მედიასივრცე ოჯახში მრავაფეროვანია, დიდია მისი გავლენა ბავშვის ცხოვრებაზე. იგი ან უსმენს ან უყურებს იმას, რაც მშობლებს სურთ, ან უმეტესად სრულიად თავისუფალია არჩევანში და მშობლების მხრიდან ყოველგვარი კონტროლის, რჩევის გარეშე უსმენს და უყურებს იმას, რაც სურს ან შემთხვევით შეხვდება.

ლიტერატურა:

1. Оранж Т., Флинн Л. Медиадиета для детей. М. СПб., 2007.
2. Челышева И. В., Медиаобразование для родителей: освоение семейной медиаграмотности. М. 2008.
3. internet-resursi: <http://psyberlink.flogiston.ru/internet/bits/livingstone01.htm>
4. internet-resursi: <http://psyberlink.flogiston.ru/internet/bits/livingstone01.htm>

Rusudan Kavtaradze
Media space in families
Summary

The article deals with the problem of media space in families, depicted on the example of Georgia and a number of other European countries. It also presents the analysis of different types of media resources used by families, according to which, nowadays, children should be characterized as the users of not only traditional electronic media resources (e.g. TV), but new media technologies as well.

Русудан Кавтарадзе
Медиа-пространство в семье
Резюме

В статье рассмотрена тема "медиа пространства в семье", которая охватывает анализ медиа средств, используемых в семейных условиях на примере Грузии и ряда других, зарубежных стран. На основе анализа становится очевидным, что современную детскую аудиторию необходимо рассматривать в контексте потребителей как традиционных электронных медиасредств (например телевизор), так и новых медиатехнологий.



Рена Гуламова
(Азербайджан)

**МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ ПРИНЦИПЫ ФОРМИРОВАНИЯ
ОРГАНИЗАЦИОННОЙ СТРУКТУРЫ УПРАВЛЕНИЯ
ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТЬЮ**

Divide the teachers into pairs, and ask them to look at the words and phrases. Imagine that you have just presented each of these words or phrases.

Wide/narrow belong to inside/outside far from depend on

Write down one or two questions you could ask in class, to check that pupils understand each item.

Ask them to write down the questions to ask in class. They can write ‘Yes/No,’ or ‘WH-’ questions.

Exploratory talk is difficult enough for pupils to achieve and it cannot be assumed that it will come naturally to pupils. Simple grouping pupils to work together will not necessarily help them to develop talking skills. Unless pupils know what we mean by “discussion”, and have the skills to engage one another in speaking and listening, they may gain little of educational value from the

talk or the activity. However, a group of pupils who are aware of the importance of talk have a real advantage.

Pupils who are expected to work together in a small group need to be taught how to talk to one another. They need direct instruction in the talk skills which will enable them to get the best out of their own thinking and that of all the other members of their group. They have to understand and share the aims of their talk. They come to recognize that if all the group can agree on a set of rules, 'ground rules for talk', then talk can proceed in a way which will make the whole group, and its individuals, more likely to achieve success and develop new ways of thinking. Ground rules for discussion are to do with active listening, thoughtful speaking and respectful collaboration. These are some of the ground rules for exploratory talk:

- Everyone in group is encouraged to contribute;
- Contributions are treated with respect;
- Reasons are asked for;
- Everyone is prepared to accept challenges;
- Alternatives are discussed before a decision is taken;
- All relevant information is shared;
- The group seeks to reach agreement.

A popular topic with the pupils is 'Ourselves'. A good starting point for this is for the teacher to bring in a photograph of herself as a baby and tell stories of her own family. Topics like this are rich in learning potential and often expand to include parents and other areas of curriculum. Their great strength is that they build on the pupils' own background, knowledge and experience. You will find that it will help to focus on the spoken language; although a great deal of talk occurs naturally in an early years classroom, it is useful and fun to have specific lessons on talking about talk. You might ask the pupils to consider the kinds of language they used when they were very young.

- How did you ask for a drink when you were a baby?
- What did you use for 'thank you' and 'please'?
- What do you say now?
- How do you ask for a drink at school?
- How do you greet your friends/teacher/head teacher?
- Can we write it down? What do you notice?

The issue here is that the pupils are talking about the language itself: they are learning about language through talking about language and acquiring a metalanguage. As teachers, we are surrounded by constant talk in a busy reception class, so it is easy to forget its importance; there is a danger of not giving talks its due attention. Speaking and listening are not incidental but require definite planning.

By the end of the sixth form pupils will be expected to achieve a level of competency in speaking and listening. They will have to understand the appropriateness of different kinds of talk in different contexts. By placing a greater emphasis on group discussion and interaction pupils should now be given far greater opportunities to talk, discuss and share ideas. By giving pupils the language of argument and persuasion, we can give them the tools to be more effective and articulate at expressing their views in a democratic way.

Literature:

- Alexander,R.(2004) Towards Dialogic Teaching: Rethinking Classroom Talk:Dialogue UK.
Druner J.(1986) Actual Minds, Possible Worlds, Cambridge,MA:Harvard University Press
E.Gregory (1996) Making Sense of a New World: Learning to Read in a Second Language, London: Paul Chapman Publishing.
Larson,J and Peterson S.M. (2003) ‘Talk and Discourse in Formal Learning Settings’,in Hall,N,Larson, Handbook of Early Childhood Literacy,London:Sage.
Mercer,N (2003) The Educational Value of ‘dialogic talk’ in whole class dialogue”, in New Perspectives on Spoken English in the Classroom: Discussion Papers, London:QCA.

საბინა ჰუსეინოვა
ინგლისური ენის სწავლება დიალოგების მეშვეობით
რეზიუმე

დიალოგით ურთიერთობების ეფექტური სწავლების პროცესში მოსწავლეებთან ჩნდება სწავლების განსხვავებული საშუალებების გამოყენების აუცილებლობა. მნიშვნელოვანია გაკვეთილის ორგანიზაციასა და შინაარსზე ყურადღების ფოკუსირება, იმ შეკითხვების ჩათვლით, რომლებიც მიმართულია გაკვეთილის აღქმის სისწორის დადგენაზე. საუბრის და აუდიო მასალების გაკვეთილებზე გამოყენებისას და მოსწავლეებში დიალოგის უნარების ფორმირებისას ყურადღება უნდა დაეთმოს დიალოგის დროს არსებულ სირთულეებს.

Сабина Гусейнова
Обучение английскому посредством диалогов
Резюме

В процессе эффективного обучения диалогическому общению в классе с учениками возникает необходимость внедрения различных путей в планировании обучения. Также необходимо фокусировать внимание на организацию, содержание урока, включая вопросы, направленные на выяснение правильности понимания содержания урока. Включая говорение и аудирование в планирование урока, формируя диалогические навыки и умения у учеников, следует обратить внимание на трудности в процессе диалогического общения. Формирование диалогических умений и навыков происходит в процессе вопросо-ответного диалогического единства средствами базовых правил, дискуссий о важности и сути обсуждаемого диалога.



ლია სვანიძე
(საქართველო)

**დიდი მასწავლებელი და ნათელი პიროვნება, გამორჩენილი
ქართველი ფსიქოლოგი და საზოგადო მოღვაწე
შოთა ნადირაშვილი**

ჩვენი უღამაზესი და მრავალფეროვანი სამყაროს დიდი ნაწილი საგვს ადამიანებით, რომლებიც ასევე უზომოდ მრავალფეროვანი და ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან, მოდიან, ვითარდებიან და მიდიან. „...ადამიანში განვითარების ყველაზე მაღალ შრეს პიროვნება წარმოადგენს. იგი სამყაროს გვირგვინია. სინამდვილის შემეცნების პროცესში ყველაზე უფრო რთული მოვლენა, რაც ადამიანმა უნდა შეისწავლოს პიროვნებაა“ (2, 195). ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ყველა ადამიანი ვერ ახერხებს, ყველას არ „უწერია“ პიროვნებად ჩამოყალიბება. თვით პიროვნებათა შორისაც ნათლად ჩანს დიდი განსხვავებები. ზოგის მიმართ თავისთავად მოდის სიტყვები „დაილოცოს თქვენი გაჩენის დღე“. მე სიამოვნებით გავიმეორებ ფილოსოფოს კანტის შესახებ კუნო ფიშერის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს ჩემს საუკეთესო მასწავლებელზე და ნათელ პიროვნებაზე შოთა ნადირაშვილზე – „ის არასოდეს გახდებოდა ასეთი ფილოსოფოსი, ასეთი პიროვნება რომ არ ყოფილიყო“ (4, 109).

შოთა ნადირაშვილის მოღვაწეობა მომდინარეობდა მისი პიროვნული წყობის წიაღიდან და მისი პიროვნული განწყობებითაა შეპირობებული. 250 ნაშრომის, 12 მონოგრაფიის ავტორი, აკადემიკოსი, მრავალი საერთაშორისო ფსიქოლოგიური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ფსიქოლოგთა საერთაშორისო კონგრესებზე განწყობის თეორიის სიმპოზიუმების თავმჯდომარე, ყველასათვის სასიამოვნო პიროვნებად იყო მიჩნეული.

მრავალჯერ თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე მან უამრავი სიახლე შემოიტანა ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმდინარეობაში. მათ შორის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა სოციალური განწყობის ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონების სისტემა; პიროვნების, ერისა და სახელმწიფოს ურთიერთობების ფსიქოლოგიური კანონზომიერებები; განწყობის ანტროპული თეორიის ძირითადი პრინციპები, რომელიც შემდგომ საფუძველად დაედო წიგნის „განწყობის ანტროპული თეორიის“ გამოშვებას. ეს ნაშრომი შოთა ნადირაშვილის ნათელი გონების გამოვლენის საუკეთესო ნიმუშია. მასში განხილულია ადამიანური არსებობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი, ცოცხალი ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნებისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური აქტიობანი, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება ერთიანი ადამიანური ცხოვრება.

– ცოცხალი ინდივიდი სინამდვილის მომხმარებელია, რომელიც თავის სასიცოცხლო ამოცანებს ემსახურება;

– სუბიექტი სინამდვილის შემეცნებელია. იგი ეხმარება ინდივიდს სასიცოცხლო ამოცანების გადაწყვეტაში. სუბიექტი, ამავე დროს, ემსახურება პიროვნებას სინამდვილესთან თავისი შინაგანი სამყაროს ურთიერთობის გარკვევას;

– პიროვნება თავისუფალი და შემოქმედი სულიერი არსებაა. იგი ახალი სინამდვილის შემქმნელია, იგი ამდიდრებს სინამდვილეს მატერიალური და სულიერი ღირებულებებით.

პიროვნება თავისუფლდება სინამდვილის მექანიკური დეტერმინიზაციისაგან, კულტურულ სინამდვილეს ქმნის და მასში ცხოვრობს. ადამიანის ყოველი დონის ფსიქიკური აქტივობა გარკვეული სახის განწყობის საფუძველზე ხორციელდება. განწყობები, რომელთა საფუძველზე აქტივობის დროს ადამიანი წარმატებას აღწევს, ფიქსირდებიან და ერთ მთლიან სისტემას ქმნიან ადამიანის შემდგომი აქტიურობის განსახორციელებლად. მათ საფუძველზე ადამიანი ახორციელებს პიროვნულ აქტივობას და ცალკეულ შემთხვევებში ყოველთვის აღარ საჭიროებს ნებელობის გამოყენებას.

როგორც შოთა ნადირაშვილმა ბრძანა, განწყობის ანტროპული თეორიის მიხედვით პიროვნება გარკვეული ფაქტორების თავმოყრით თვითონ ქმნის მის მიერ არჩეული ქცევის განწყობას.

ასევე, საკუთარი ინიციატივით პიროვნება თვითონ ქმნის თავის ფსიქიკურ ავტოპორტრეტს, რითაც არსებითი წვლილი შეაქვს თავისი პიროვნების ფორმირებაში.

განწყობის ანტროპულ თეორიაში ნახვენებია, ერთი მხრივ, განვითარების როლი ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში და მეორე მხრივ, ადამიანის თავისებურებათა როლი ადამიანური ქცევის საფუძველად მდებარე განწყობებში.

განწყობის ანტროპული თეორიის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ახსნას მრავალი ასპექტის მქონე ადამიანის ფსიქიკური აქტივობა, რომელშიც წარმოდგენილია როგორც ინდივიდის დეტერმინირებული, ისე თავისუფალი პიროვნების ფსიქიკური აქტივობა.

აღნიშნული თეორია იმასაც უწევს ანგარიშს და გვიჩვენებს, რომ სუბიექტის შემეცნებით აქტივობას ერთ-ერთი შუალედური ადგილი უკავია ინდივიდის დეტერმინირებულ და პიროვნების თავისუფალ აქტივობას შორის. სუბიექტი თავისი შემეცნებითი აქტივობით სინამდვილის სურათს ქმნის, რომლის შინაარსიც სინამდვილის აგებულებით არის განპირობებული. შემეცნება, რომელსაც სუბიექტი ქმნის, სინამდვილის ასახვას ემსახურება. მისი შინაარსი სინამდვილის კანონზონიერებებით არის დეტერმინირებული.

პიროვნება კი შემოქმედების პროცესში ახალ სინამდვილეს აგებს, მის მიერ შექმნილი სინამდვილე პიროვნების ნებით არის განპირობებული, თავად პიროვნება არის მისი შემქმნელი.

შემოქმედების საფუძველზე შექმნილ სინამდვილეში ცხოვრებით საზოგადოება ერთობლივად ყალიბდება, რაც არ ექვემდებარება მექანიციკური სინამდვილის მოთხოვნებს. ამ გზით შემოქმედი პიროვნებები ქმნიან ადამიანურ გარემოს, ადამიანურ სინამდვილეს, რითაც ხდება ადამიანთა სულიერების ზრდა, კულტურის განვითარება და ღირებულებების დაგროვება (2, 199-200).

კითხულობ შოთა ნადირაშვილის ბრწყინვალე ნაშრომებს და თითქოს შენი თვალით ხედავ ვინ ხარ შენ, ადამიანი-ინდივიდი, სუბიექტი თუ პიროვნება, განვითარების რომელ დონეზე დგახარ, სად შეჩერდი და რატომ.

როდესაც კითხულობ შოთა ნადირაშვილის ბრწყინვალე ნაშრომებს, უსმენ მის სატელევიზიო გამოსვლებს, ეცნობი მის სტატიებს, წერილებს, ყველგან ნათლად ჩანს დიდი მასწავლებლის, ნათელი პიროვნების, ერის სასიქადულო შვილის, დიდი მეცნიერისა და მკვლევარის, მაღალი ღირსებების მქონე ადამიანის პიროვნება. დაუვიწყარია სიმშვიდის მომგვრელი მისი ხმის ტემბრი, საუბრის მანერა – მუდამ გაწონასწორებული და დამაჯერებელი.

რომელ საგანშიც არ უნდა ვკითხულობდე ლექციებს, ბატონი შოთას ნაშრომებიდან მიწოდებული ინფორმაცია ყოველთვის დიდად მნიშვნელოვანია. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო საზოგადოებასთან ურთიერთობის და მართვის

ფსიქოლოგიის საჭიროება და კავშირი პროპაგანდის ფსიქოლოგიასთან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან პროპაგანდის ფსიქოლოგიის საგანს წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთხემოქმედების კანონზომიერებათა კვლევა, პროპაგანდის წყაროებისა და აუდიტორიის მიერ შექმნილ სისტემაში, ასევე ამ პროცესების მიმდინარეობასა და შედეგებზე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გავლენის შესწავლა. პროპაგანდის ფსიქოლოგია განიხილავს ინფორმაციის გავრცელების პროცესს სოციალურად ღირებულ (სოციალურად მნიშვნელოვან) ობიექტებზე განწყობის ფორმირების, განმტკიცების ან შეცვლის დონეზე; საზოგადოებრივი აზრის წარმოქმნისა და ფუნქციონირების პროცესების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, იმ ხერხებს (წესებს), რომლებიც წარმართავენ ადამიანებს იმოქმედონ განწყობის ობიექტებზე. პროპაგანდის ფსიქოლოგიის მიზანია გასავრცელებელი ინფორმაციის ფორმისა და შინაარსის სოციალურ-ფსიქოლოგიური მახაიათებლების გამოვლენა. საუბარია იმ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება აუდიტორიის ცნობიერების მდგომარეობას და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების არხებს, გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების ოპტიმალურად გადაწყვეტის მიზნით.

პროპაგანდის ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს რეალური და პოტენციური აუდიტორიების შესწავლა, მათი ღირებულებითი ორიენტაციების თვალსაზრისით, იმის დადგენა, თუ რამდენად გააჩნიათ ამ აუდიტორიებს ინფორმაციის მიღების საშუალება და სურვილი. პროპაგანდის ფსიქოლოგია ასევე ანალიზებს ინფორმაციის აღქმასთან, გააზრებასთან და მის შემდგომ გადამუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს, დაბოლოს ინდივიდის მიერ იმ ინფორმაციის მიღება-მიუღებლობის საკითხებს.

პროპაგანდის ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს პროპაგანდის ეფექტიანობის კრიტერიუმების გამოვლენა.

აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის ნაშრომმა „პროპაგანდის ფსიქოლოგია“, სადაც ფუნდამენტურად არის წარმოჩენილი პროპაგანდისტული საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები, ნათელი მოჰყვინა ისეთ პრობლემებს, რომლებიც საზოგადოების განვითარების ნებისმიერ საფეხურზე ინარჩუნებენ აქტუალობას და რომლებიც ღრმა ანალიზს საჭიროებენ (3).

ამჟამად კი „პროპაგანდის ფსიქოლოგიის“ გამოყენება გადაუდებლად ესაჭიროება საზოგადოებასთან ურთიერთობის მოგვარებას და სრულყოფის საქმეს, რაც შოთა ნადირაშვილის საზრუნავსაც წარმოადგენდა.

კაცთმოყვარე, ბრწყინვალე მასწავლებელი იყო შოთა ნადირაშვილი, ძლიერი ინტუიციით, ღრმად განსწავლული, აზროვნების უაღრესად ორიგინალური სტილით – ლაკონიური, სრულიად გასაგები, დაბალი ტემბრი ჰქონდა, უაღრესად მეტყველი ლამაზი თვალები, მის სულიერ სიძლიერეს ასხივებდა.

მასთან ურთიერთობა უდიდესი მოწიწების გარეშე შეუძლებელი იყო, თუმცა თვითონ გულიანად და უბრალოდ გხვდებოდათ, მუდამ მზად იყო დაგხმარებოდათ ნებისმიერი საშუალებით, გისმენდათ ცხოველი ინტერესით და საშუალებას გაძლევდათ თავისუფლად გეთქვათ სათქმელი.

ჩემი ცხოვრების ურთულეს პერიოდში მომიხდა ბატონი შოთას შეწუხება. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე შევუდექი პედაგოგიურ საქმიანობას – ვკითხულობდი ლექციებს და ვმუშაობდი ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ვგრძნობდი, რომ ჩემი ცოდნა არ იყო საკმარისი ასეთი საპასუხის-გებლო საქმიანობისათვის. ბევრი ფიქრის შემდეგ, აღელვებული მივედი ბატონ შოთასთან და ვუთხარი, რომ დისერტაციაზე მინდოდა მუშაობა და ვთხოვე ყოფილიყო ჩემი ხელმძღვანელი. იგი გულდასმით გაეცნო ჩემ მიერ მიტანილ

მასალებს, შემდეგ დაფიქრებულმა შემომხედა და, დამეთანხმა. დღესვე დავიწყოთ მუშაობაო (მე შემდეგ მივხვდი, რომ მას საქმის გადაღება არ უყვარდა და არც პაუზები უყვარდა შრომის პროცესში...), მე თქვენ მოგცემთ დავალებას... ეს დავალება უნდა შეასრულოთ 10 დღეში და მოიტანოთ.

არასოდეს არ დამავიწყდება ის დღე. ამ დღიდან შეიცვალა ჩემი ცხოვრება. უფალმა დამაკავშირა ადამიანს, რომელმაც იმ წუთიდანვე სანთლის ლამპარი აანთო ჩემ წინ, სიბნელების და სირთულეების კედელი გაიხსნა და სიხარულით და დიდი იმედით აივსო მთელი ჩემი არსება.

როდესაც მე ვამბობ, რომ ბატონი შოთა იყო დიდი მასწავლებელი და ნათელი პიროვნება, თავაწინ მიდგას ბუმბერაზი სწავლულის დიმიტრი უხნაძის სიტყვები, რომელიც მან ბრძანა მასწავლებლის პიროვნებაზე (1, 8-10;17-20) და რომელიც უცვლელად მინდა გადმოვიტანო ჩემს უბადლო მასწავლებელზე, შოთა ნადირაშვილზე. ეს ჩემი სულის გამოძახილია. დ. უხნაძე პედაგოგიურ პროცესს ხელოვნებას ადარებს და ორივეს ერთგვარი არსის მოვლენად თვლის. მასწავლებელს, ისე როგორც ხელოვანს, უნდა ესმოდეს ადამიანის სულიერი მდგომარეობა. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს შთაგრძნობა ადამიანის განცდებში და სხვისი სულიერი მღელვარების თავის თავში გადმოტანა, როგორც ხელოვნის ნიჭი, ისე მასწავლებლის ნიჭიც ემპირიული მრავლიანობის ზედაპირს არღვევს და პირდაპირ ადამიანის ნამდვილ არსს წვდება. ზოგი ადამიანი უხვადაა ამ ნიჭით დაჯილდოვებული... მათი სიძლიერის წყაროს – ადამიანის სულიერი სამყაროს განცდა, სხვა პიროვნების შინაგანი ბუნების ხილვა შეადგენს. და ეს არის მასწავლებლისათვის ძირითადი: სხვის სულიერ განცდებში შთაგრძნობა და ამ ნიადაგზე სხვაზე შესაძლებელი ზეგავლენის მოპოვება. სხვისი სულიერი სამყაროს უშუალოდ განცდა მეორე ადამიანის გაგებას ნიშნავს, ამ ადამიანის გრძნობათა მოძრაობის უშუალო ხედვას, მის გადმოტანას თავის თავში და თავის პირად გრძნობად ქცევას. თითქოს, ჩემი საკუთარი თვალით და გულთმ შევიგრძნო ასეთად ჩემი დიდი მასწავლებელი – შოთა ნადირაშვილი.

უდიდესი ტაქტის გრძნობა გააჩნდა ბატონ შოთას, რაც მასთან ურთიერთობის ყოველ მომენტში იგრძნობოდა და ეს მის პირად აღლოდ აღიქმებოდა – გაფაქიზებული ტაქტი და ნიჭი – ითქვას და გაკეთდეს სწორედ ის, რაც ამ მოცემულ მომენტში არის აუცილებელი.

დიდ დროს არ ანდომებდა ჩემთან მუშაობას ბატონი შოთა (მიკვირს, ამ ოქროს დროსაც როგორ პოულობდა თავისი ასპირანტებისათვის...), მოკლედ მომცემდა საკმაოდ რთულ დავალებას და დამიბარებდა გარკვეული დროის შემდეგ (სიზუსტე უყვარდა), რომ ანგარიში ჩამებარებინა – რა და როგორ გავაკეთე. მაშინვე მაძლევდა ახალ დავალებას. მე ესლაც არ ვიცი, ვიმსახურებდი თუ არა მის შექებას, თუ ეს მისი მეთოდი იყო – რწმენა ჩაენერგა სხვისთვის და მომავლის იმედით გაეშვა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან ურთიერთობაში ამ მეთოდმა ძალიან გაამართლა... მე მოვდიოდი ჩემს მასწავლებელთან, თითქოს მოვფრინავდი. ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა გრძნობა მეუფლებოდა, მაგრამ, დიდი ძალდატანების გარეშე, ვპოულობდი ჩემში ენერჯიას, რომ საკმაოდ რთულ დავალებებს დროულად და კარგად ვაგმკლავებოდი.

ღმერთო ჩემო, რა ძალა შთამინერგა ამ ღვთაებრივმა ადამიანმა, რომ ზუსტად დათქმულ დროს დავამთავრე დისერტაცია. ბატონმა შოთამ ისევ თავიანთ გულდასმით წაიკითხა და მითხრა მაგიური სიტყვები – „შენ კარგი ადამიანი ხარ და კარგი ნაშრომიც გამოგივიდა, კიდევ სავალდებულო პროცედურები და დაინიშნოს დაცვა“.

ჩემი და ბატონი შოთას ურთიერთობების მოწესრიგებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქალბატონ მანანას (ბატონი შოთას მეუღლეს), რომელმაც უსაზღვრო სიბოლო და თანაგრძნობა გამოიჩინა ჩემ მიმართ.

დიდი უფალის წყალობით და ბრწყინვალე მასწავლებლის, ნათელი პიროვნების – შოთა ნადირაშვილის უანგარო, სიკეთით სავსე დახმარებით დავიცავი დისერტაცია. იმ დღიდან დაწყებული სრულიად შეიცვალა ჩემი ცხოვრება... მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში არცერთი წამი არ ყოფილა ისეთი, რომ ჩემს გვერდით არ მეგულებოდეს ბატონი შოთა, მანანა და მათი ლამაზი ოჯახი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ერთი მეტად მნიშვნელოვანი სიტუაცია – ბატონი შოთას საზრუნავი მე და ათობით სხვა ადამიანი კი არ იყო, არამედ მრავალზე მრავალი ისეთი, ვისაც ამ გენიალური მასწავლებლის დახმარება და სიბოლო სჭირდებოდა თავისი ცხოვრების გზის გასაკვალავად. მივდიოდი მე და მისი კაბინეტიდან გამოდიოდა ის, გამოვდიოდი მე და მასთან შედიოდა ის. და ასე იყო ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე. ბატონი შოთა არავის აკლებდა ყურადღებას, მზესავით იყო, რომელიც თავის სხივებს ყველას თანაბრად უნაწილებს. ყველა ჩქარობდა ბატონ შოთასთან ურთიერთობით რაც შეიძლება მეტი სიბოლო და ფუფუნება მიეღო. რა იყო ეს, ეგოიზმი? არა. ჩვენ ვერ ვაცნობიერებდით, რომ მასაც ჭირდებოდა დასვენება, ის კი არასოდეს გვაგრძნობინებდა ამას.

ძალიან სწრაფად განვლო ბატონი შოთას კუთვნილმა დღეებმა. ამ ცოტა ხანში ძალიან ბევრი და დიდად ღირებული განძი შესძინა ფსიქოლოგიის მეცნიერებას, ბევრი სიკეთე გააკეთა.

ბატონმა შოთამ წარუშლელი კვალი და დიდი ტკივილი დაუტოვა ყველას, ვინც მას იცნობდა.

ჩემო დიდო მასწავლებელო, თქვენი ფასდაუდებელი ნამოღვაწარით თქვენი სახელი თქვენვე უკვდავყავით და იგი დავიწყებას არასოდეს მიეცემა, თაობიდან თაობაში გადაეცემა.

თქვენ, კლდეში ჩადეთ ღრმა საძირკველი,
დაუნგრეველი სიყვარულის ასაშენებლად.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, ექპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი, თბ., 1912.
2. შ. ნადირაშვილი, განწყობის ანტროპული თეორია, თბ., 2001.
3. შ. ნადირაშვილი, პროპაგანდის ფსიქოლოგია (რუსულ ენაზე), თბ., 1979.
4. კუნო ფიშერი, ახალი ფილოსოფიის ისტორია ტ. IV, თბ., 1910.

Lia Svanidze
*A great teacher and an inspiring personality, an outstanding Georgian psychologist and
a public figure - Shota Nadirashvili*
Summary

The article is devoted to a famous Georgian psychologist and a public figure - Academician Shota Nadirashvili. It tells about a great, brilliant teacher and an inspiring personality. He is the author of 250 scientific papers and 12 monographs. Based on a great number of theoretical and experimental researches, he has made an enormous contribution to psychological science.

The author speaks about two books by Shota Nadirashvili “Anthropic theory of Attitude” and “Psychology of propaganda”.

In this paper all the emphasis is made on a great scientist Shota Nadirashvili, as a unique teacher and the worthiest person. When you read his brilliant work, listen to his television interviews, get acquainted with his articles, letters, you can clearly see the personality of a great teacher, the famous son of the Georgian people, the great scientist and explorer. It is impossible to forget his calm speech, timbre of his voice, manner of speaking – always steady and credible.

The author notes that Shota Nadirashvili immortalized his name due to his invaluable papers, and laid the foundation for an inexhaustible love.

Лия Сванидзе
*Великий учитель и светлая личность, выдающийся грузинский психолог и
общественный деятель Шота Надирашвили*
Резюме

Статья посвящается выдающемуся грузинскому психологу и общественному деятелю академику Шоте Надирашвили. В нём говорится о Шоте Надирашвили, как о большом, блестящем учителе и светлой личности. Его перу принадлежит 250 научных трудов и 12 монографий.

На основании множества теоретических и экспериментальных исследований он внёс огромный вклад в психологическую науку. Автор касается двух книг Шота Надирашвили «Антропическая Теория Установки» и «Психология Пропаганды».

В статье весь акцент перенесён на великого учёного Шоту Надирашвили, как на не имеющего равного, учителя и достойнейшего человека. Когда читаешь его блестящие работы, слушаешь его телевизионные беседы, знакомишься с его статьями, письмами, везде ясно видим личность большого учителя, прославленного сына грузинского народа, великого учёного и исследователя, достойнейшего человека. Невозможно забыть его спокойную речь, тембр голоса, манеру разговаривать – всегда уравновешенную и внушающую доверие.

Автор отмечает, что Шота Надирашвили своими бесценными трудами обессмертил своё имя и заложил фундамент для неиссякаемой любви.



კობა კორსანტია
(საქართველო)

**ხულონჰესის მიდამოების ბუნებრივ-ტერიტორიული
კომპლექსების ვერტიკალური სტრუქტურა და მისი
ანტიროკოგენური ცვლილებები**

ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ვერტიკალური სტრუქტურის შესწავლისას სრულდება გეომასების ანალიზი და ხდება მათთან დაკავშირებული ფუნქციონირების პროცესების შესწავლა. ამა თუ იმ გეოჰორიზონტის არსებობა-არარსებობა მიუთითებს ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ფუნქციონებაზე. თითოეულ გეოჰორიზონტს ფუნქციონირების პროცესებში თავისი სპეციფიკური დანიშნულება აქვს. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით შეიძლება გეოჰორიზონტების დაჯგუფება. ხულონჰესის მიდამოების ლანდშაფტებში გეოჰორიზონტების 8 ძირითადი ჯგუფი გამოვყავით:

APt, f – აეროფიტოჰორიზონტი აერომასებითა და ერთწლიანი ხეების სატრანსპორტო-ჩონჩხისებრი ორგანოებით, ტოტებითა და ფოთლებით. უკავია ბტკ ვერტიკალური სტრუქტურის ყველაზე ზედა ნაწილი და გაავრცელებულია ყველა ტიპში. მისი საშუალო სიმძლავრეა 10-22მ. აქ აერომასების სიჭარბეა ფიტომასებთან შედარებით.

APt, f, h – აეროფიტოჰორიზონტი აერომასებითა და ერთწლიანი ხეების სატრანსპორტო-დერძული ორგანოებით, ფოთლებით, ტოტებით და ხეების წიწვეით. მისი სიმძლავრეა 12-26მ და აერომასების სიჭარბეა.

Pt, f A – ფოტოაეროჰორიზონტი. აქ ფიტომასები სჭარბობს აერომასებს. უკავია ბტკ ვერტიკალური პროფილის ზედა ნაწილი. გეოჰორიზონტის სიმძლავრეა 5-20მ. ფოთლების პროექციული დაფარულობა 60-70%.

Pt, hA – ფოტოაეროჰორიზონტი. აქაც ფოტომასები სჭარბობს აერომასებს. ფოთლების პროექციული დაფარულობა 40-50%. გეოჰორიზონტის სიმძლავრე ცვალებადობს 6-20მ-ის ფარგლებში.

ზემოგანხილულ ჰორიზონტებში მეტად აქტიურია ისეთი ფიზიოლოგიური პროცესები, როგორებიცაა ფოტოსინთეზი და ტრანსპირაცია. სწორედ ეს გეოჰორიზონტები ფოთლების დიდი პროექციული დაფარულობის შედეგად აკავებს მზის რადიაციის ძირითად ნაწილს.

P t A – ფოტოაეროჰორიზონტი სატრანსპორტო-დერძული ორგანოებითა და აერომასებით. ეს გეოჰორიზონტი გვხვდება იმ ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებში, სადაც კარგადაა გამოხატული ხეების ტანი. გეოჰორიზონტის სიმძლავრეა 4-6 მ, ზოგან კი – 15 მ.

Pt, V,e AA – გეოჰორიზონტი მარადმწვანე ბუჩქების ტოტებისა და ფოთლების მონაწილეობით. დამახასიათებელია საკვლევი რაიონის მრავალი ბტკ-სათვის.

Pt M e A – გეოპორიზონტი მკვდარი საფარით. მისი სიმძლავრე იცვლება რელიეფის დახრილობის შესაბამისად. ჩვეულებრივ, 30-40⁰ დახრილობის ფერდობებზე გეოპორიზონტის სიმძლავრეა 0,01-0,02მ, 15-25⁰ დახრილობის ფერდობებზე – 0,2მ. ამ გეოპორიზონტის ცალკე გამოყოფა დაკავშირებულია იმ ფაქტორებთან, რომ მორტმასები გარკვეულ და საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბიოგეოციკლის პროცესებში. ზოგჯერ გამოყოფენ ფუნქციონირების პროცესების ხასიათით განსხვავებულ 2 ან მეტ გეოპორიზონტს, როგორცაა **Pt Md A, pt, fm Md A** და სხვა.

P t im A – გეოპორიზონტი ბალახოვანი მცენარეების მონაწილეობით. მისი სიმძლავრეა 0,0-0,5მ, ზოგჯერ კი – 0,5-1,0მ აღწევს. ზოგიერთ ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსში ორი გეოპორიზონტი გამოიყოფა ბალახოვანი საფარით: ზედა გეოპორიზონტი-ბალახების 30-40% და ქვედა 50%-ზე მეტი პროექციული დაფარულობით.

ბტკ-ის მიწისქვეშა ნაწილში უმთავრესად ორი გეოპორიზონტი გამოიყოფა. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მათ შორის ლითომასების რაოდენობაა (ზედა გეოპორიზონტი ლითომასების 25-30% პროექციული დაფარულობით, ქვედა – 70% და მეტიც).

თითოეულ გეოპორიზონტს საკვლევ ლანდშაპტებში არსებობის სხვადასხვა ხანგრძლივობა აქვს. ამ პრინციპით შეიძლება გამოიყოს ხანგრძლივი და ხანმოკლე გეოპორიზონტები. ხანგრძლივია გეოპორიზონტი, რომელიც არსებობს ბტკ არსებობის მთელ მანძილზე. ხანმოკლე გეოპორიზონტი კი იცვლება წლის მანძილზე. ასეთია, გეოპორიზონტი ბალახოვანი საფარით.

გეოპორიზონტები დიდ როლს ასრულებენ ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ვერტიკალური სტრუქტურის ტიპის ჩამოყალიბებაში. სწორედ ამ პრინციპით გეოპორიზონტების 5 ჯგუფი გამოვყავით:

1. გეოპორიზონტები, რომლებიც ადგენს ბტკ ვერტიკალურ სტრუქტურას, ე.ი გეოპორიზონტები მოზარდი ხეებით.
2. გეოპორიზონტები, რომლებიც ცვლის ბტკ ვერტიკალურ სტრუქტურას, ესენია: გეოპორიზონტები მოზარდი ხეებით, რომლებიც ცვლის, მაგრამ არ ადადგენს ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებს.
3. გეოპორიზონტი, რომლის ფონზეც იცვლება ბტკ ვერტიკალური სტრუქტურა. მაგალითად, ბალახოვანი წიფლნარი შეიცვალა ბალახოვანი რცხილნარით.
4. გეოპორიზონტები, რომლებიც განსაზღვრავს ბტკ ვერტიკალური სტრუქტურის ტიპს. მას მიეკუთვნება პორიზონტები ბალახოვანი და მკვდარი საფარით ან მარადმწვანე ქვეტყით.
5. გეოპორიზონტები, რომლებიც შემორჩა ბტკ ვერტიკალური სტრუქტურის ნაწილობრივ ნგრევის შემდეგ. კერძოდ, ზვავების, ღვარცოფების, სამეურნეო ზემოქმედების შემდეგ.

ბტკ ვერტიკალური სტრუქტურის სიმძლავრის დამოკიდებულება რელიეფის ექსპოზიციასთან ან დახრილობასთან არ დაიკვირვება, თუმცა, ზოგიერთ გეომასასთან კავშირი არსებობს. დაიკვირვება დამოკიდებულია ვერტიკალური სტრუქტურის სიმძლავრისა და გეომასების ან გეოპორიზონტების რაოდენობას შორის, კერძოდ, სიმძლავრის ზრდის შესაბამისად იზრდება აერომასებისა და ფიტომასების რაოდენობა. დამოკიდებულება ბტკ ვერტიკალური სტრუქტურის სიმძლავრესა და სირთულეს შორის პირდაპირპროპორციულია, თუმცა, ესეც მუდამ ასე არ არის. ჩვეულებრივ, სიმძლავრის ზრდას სირთულის ზრდა შეესაბამება, კერძოდ, 10-12მ სიმძლავრის ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებში

უმთავრესად 6-7 გეოპორიზონტი გამოიყოფა, ხოლო 20მ სიმძლავრის ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებში 9-10 გეოპორიზონტი.

საკვლევი რაიონის ლანდშაფტებისათვის ბტკ ვერტიკალური სტრუქტურის ტიპების საკმაოდ მრავალფეროვნებაა დამახასიათებელი. ქვემოთ შევხებით ბტკ ვერტიკალური სტრუქტურის ძირითად ტიპებს.

მაკროსტრუქტურის ჰუმიდური მეზოფიტური და წიწვიან-მეზოფიტური ბტკ მარადმწვანე ქვეტყით (**F₅, FT₅**). გვხვდება საკვლევი ლანდშაფტების გავრცელების 600-1500 მ სიმაღლეებზე. უკავია ყველა ექსპოზიციის ციცაბო და საშუალო დახრილობის ფერდობები. ძირითადია წიფლნარისა და ნაძვნარ-სოჭნარის ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები. აქ იშვიათია ბალახოვანსაფარიანი გეოპორიზონტი და მძლავრია მკვდარსაფარიანი გეოპორიზონტი. ფიტომასების საშუალო რაოდენობა ძალიან დიდია. ნიადაგები უმთავრესად ტყის ყომრალია. პედომასები საშუალო და მძიმე თიხნარებია. კარგადაა განვითარებული ჰუმუსიანი ჰორიზონტი. ლითომასების რაოდენობა დიდია და შეადგენს 1500 ტკა (მეტრიან შრეში).

მაკრომეზო და მაკროსტრუქტურის ჰუმულურ-მეზოფიტური მკვდარსაფარიანი ბტკ (**F_{5n}; FT_{5n}; F_{4n}**). გვხვდება ლანდშაფტების ზედა და ქვედა ნაწილში. ჩვეულებრივ, გავრცელებულია საშუალო დახრილობის დასავლეთის, ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე. შედარებით იშვიათია დამრეც და ძლიერ ციცაბო ფერდობებზე. ბტკ სიმძლავრეა 20-30მ. სახეობრივი შედგენილობა შედარებით ერთგვაროვანია, სჭარბობს წიფელი, თუმცა, 1000-1200მ სიმაღლეებზე ხშირად მუქწიწვიანებიც. ფიტომასების რაოდენობა 450 ტკა, მკვდარი საფარი არის 5-8სმ, პროექციული დაფარულობა 60-70%-ზე მეტია.

მაკრომეზო და მაკროსტრუქტურის ჰუმიდური მეზოფიტური ბტკ ფოთოლმცვენი ბუჩქნარებით (**F_{4v}; F_{5v}**). გვხვდება თითქმის ყველა ექსპოზიციის ფერდობზე, მაგრამ უფრო მეტად დამახასიათებელია კარგად განათებული ფერდობებისათვის. მაღალია რცხილისა და მუხის შემცველობა. კარგადაა ფორმირებული ბუჩქნარების გეოპორიზონტი. ძნელად ვითარდება ბალახოვანი საფარი. ბუჩქნარების პროექციული დაფარულობა 40-50%, ხოლო სიმძლავრე - 1,5-2მ. ნიადაგები შედარებით მცირე სიმძლავრისაა და ძლიერ ქვიანია. ლითომასების რაოდენობა დიდია ნიადაგის, როგორც ჰუმუსთან, ისე მეტრიან შრეში.

მაკრომეზო და მაკროსტრუქტურის წიწვიან-მეზოფიტური ჰუმიდური ბტკ ბალახოვანი საფარი (**FT_{4i}; FT_{5i}**;) საკმაოდ ფართო გავრცელებისაა. გვხვდება სხვადასხვა დახრილობის ყველა ექსპოზიციის ფერდობზე. მცენარეთა სახეობრივი შედგენილობა საკმაოდ მრავალფეროვანია. წიფლის გარდა აქ გვხვდება რცხილა, ნეკერჩხალი, სოჭი, ნაძვი და სხვა. ბტკ ვერტიკალური სტრუქტურის სიმძლავრეა 20-25მ. დამახასიათებელია ბალახოვანსაფარიანი გეოპორიზონტის არსებობა, სადაც ბალახოვანი საფარის პროექციული დაფარულობა შეადგენს 50-60%. მძლავრი მკვდარი საფარი ხელს იშლის ბალახების განვითარებას. მისი სიმაღლე 1-1,5სმ არ აღემატება. ჯამური ფიტომასების (მშრალი) რაოდენობა შეადგენს 100-300ტკა-ს.

გარდა ამისა, საკვლევი რაიონის მიდამოებში ფართო გავრცელებით ხასიათდება მეზომაკრო და მაკროსტრუქტურის ჰუმიდურ-სემიარიდული მეზოფიტური ბტკ ბალახოვანი საფარი (**QFT_{5i}; FQ_{4i}**), ხოლო იგივე ტიპის ბტკ ფოთოლმცვენი ბუჩქნარებით (**QF_{4v}**) ნაკლებადაა გავრცელებული.

ხანგრძლივმა ინტენსიურმა ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ხუდონჰესის მიდამოების ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ვერტიკალურ სტრუქტურაზე, რაც მკვეთრად ცვლის მის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

რეობას. ამიტომ ხუდონჰესის მიდამოებში ბუნებრივი გარემოს თანამედროვე მდგომარეობის რამდენიმე გრადაცია გამოვყავით:

1. პრაქტიკულად უცვლელი ბტკ-ები, სადაც შეიძლება ხდებოდეს ცალკეული გეომასების რაოდენობრივი ცვლილება, მაგრამ ეს ცვლილება არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ვერტიკალურ სტრუქტურაზე. ასეთ ბტკ-ებს საკვლევ რაიონში მცირე ფართობი უკავიათ (ძირითადად კლდეებია).
2. უმნიშვნელოდ ან მცირედ შეცვლილი ბტკ-ები. ამ კომპლექსებში ანთროპოგენური ტრანსფორმაცია გამოსახულია არა მარტო გეომასების რაოდენობის ცვლილებაში, არამედ ვერტიკალური სტრუქტურის მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებაშიც. კერძოდ, შეიძლება მოხდეს ვერტიკალური სტრუქტურის გამარტივება. ასეთი ბტკ-ები უმთავრესად მოქცეულია საშუალო მთის, ტყის ლანდშაფტების ფარგლებში, იმ ლანდშაფტებში, რომლებიც რთული ოროგრაფიული პირობებით ხასიათდებიან. ეს კი, თავის მხრივ, ართულებს ამ ლანდშაფტების ათვისებას. აქვეა გაერთიანებული მდელის ბტკ-ები, რომლებიც ციცაბო ან საშუალო დახრილობის ფერდობზეა გავრცელებული, ან დასახლებული პუნქტებიდან მოშორებულია. ჩვეულებრივ ასეთ პირობებში მდელოები უმნიშვნელოდ არის შეცვლილი.
3. საშუალოდ შეცვლილი ბტკ-ები. შეცვლილია გეოჰორიზონტების 50%-ზე ნაკლები, მათ უკავიათ უმთავრესად საშუალო მთის (მეორეული) მდელისა და ქვედა მთის ტყის ლანდშაფტები. პირველი შეცვლილია უმთავრესად განეხვით, ხოლო მეორე გაძოვებით. ორივე ზემოთ აღნიშნული ანთროპოგენური ფაქტორი საკმაოდ გავლენას ახდენს ბტკ სტრუქტურაზე, ამიტომ ხშირად იცვლება გეოჰორიზონტებისა და გეომასების რაოდენობა. შეიმჩნევა ცვლილებები მიწისქვედა ნაწილში, რაც მხოლოდ გეომასების (უმთავრესად ჰიდრომასების) რაოდენობრივ ცვლილებებში გამოიხატება. უნდა იღინიშნოს, რომ გარკვეული ღონისძიებების გატარების შემდეგ ჯერ კიდევ არის შესაძლებელი მათი თავდაპირველი ბუნებრივი სახის შენარჩუნება.
4. ძლიერ შეცვლილი ბტკ-ები, სადაც შეცვლილია გეოჰორიზონტების 50%-ზე მეტი. ეს კომპლექსები განლაგებულია დასახლებული პუნქტების სიახლოვეს და წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სახით. ამ კომპლექსებში თითქმის მთლიანად არის შეცვლილი ბიოკომპონენტები, რაც არამარტო გეოჰორიზონტების რაოდენობის, არამედ მთლიანად ბტკ სტრუქტურის ტიპის ცვლილებაში გამოიხატება.
5. გეოციდირებული ბტკ-ები, სადაც შეცვლილია ბტკ არამარტო „ცოცხალი“ ნაწილი, არამედ მთლიანად მისი მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილები. მათ მიეკუთვნებათ დასახლებული პუნქტები, გზები, ხელოვნურად გაშიშვლებული ფერდობები, მეწყერები და ა.შ.

ასეთი მდგომარეობა კი ძალზე მწვავედ აყენებს ბუნებათსარგებლობის მეცნიერული საფუძვლების შემუშავების საკითხებს ხუდონჰესის მიდამოებისათვის და ამ ეკოლოგიური მდგომარეობის განმუხტვისათვის სასწრაფო ღონისძიებების შემუშავებას.

ლიტერატურა:

1. ბერუჩაშვილი ნ., ელიზბარაშვილი ნ., ნიკოლაიშვილი დ., ლანდშაფტ-მცოდნეობა (ლექციების კურსი), თბ., 1991.
2. მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1961.

3. ნიკოლაიშვილი დ., კავკასიის საშუალო მთის ტყის ლანდშაფტები (ლანდშაფტურ-გეოფიზიკური ანალიზი), დისერტაცია, თბ., 1994.
4. ჩიგირი ა., ხუდონის წყალსაცავის მიდამოების თანამედროვე ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ მდგომარეობა, საქართველოს რეგიონალური გეოგრაფია, თბ., 1991.
5. Беручашвили Н., Методика ландшафтно-геофизических исследований, состояния природно-территориальных комплексов, Т.Г.У. 1985.

Koba Korsantia

Vertical structure of natural-territorial complex in the environment of KhudonHPP and its anthropogenous changes

Summary

With the aim of enabling the author to study the vertical structure of natural-territorial complex in the environment of KhudonHPP and its anthropogenous changes we analyzed geological masses and studied processes related to its functioning. According to functional designation of landscapes in the environment of KhudonHPP, we have distinguished 8 main groups of geological horizon, and in underground part of the natural-territorial complex we have distinguished mainly two geological horizons. Geological horizons have an important role in formation of vertical structure of the natural-territorial complexes. Under the above-mentioned principle we have distinguished 5 groups of geological horizons.

Types of vertical structures of the natural-territorial complexes in the area under research are quite diverse. However, mostly widespread are mesophytic natural-territorial complexes of macro-mezo and macro structure with different types of vegetation.

Vertical structure of natural-territorial complex in the environment of KhudonHPP is determined on the basis of the above-mentioned characteristics. Impact of contemporary anthropogenous changes of natural environment on the territory of KhudonHPP on geological horizons is evaluated.

Коба Корсантия

Вертикальная структура природно-территориального комплекса Худонгэса и его антропологические изменения

Резюме

С целью изучения вертикальной структуры природно-территориального комплекса Худонгэса был проведен анализ геомасс и изучение, связанных с ним функциональных процессов. В ландшафтах вблизи Худонгэса выделили 8 основных групп геогоризонтов, а в подлинной части, в основном, 2 геогоризонта. Геогоризонты играют большую роль в создании природно-территориального комплекса вертикальных структур. Именно по этому принципу были выделены 5 групп геогоризонтов. В работе также оценены антропологические изменения окрестностей Худонгэса и их влияние на геогоризонтальные изменения.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მრავალი წიგნის, სახელმძღვანელოს, სტატიის, პოეტური კრებულის ავტორს, ჩვენი ჟურნალის მუდმივ ავტორსა და რედკოლეგიის წევრს დაარსებიდან, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს ლეონიდ გრიგოლის ძე ჯახაიას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ჟურნალის რედკოლეგია გულითადად ულოცავს იუბილარს და გთავაზობთ მის ფუტუროლოგიურ ნარკვევს „ასი წლის შემდეგ“.

Профессору Сухумского университета, академику Академии философских наук Грузии, автору многочисленных книг, учебников, статей, поэтических сборников, постоянному автору и члену редколлегии нашего журнала со дня основания, доктору философских наук Леониду Григорьевичу Джахая исполнилось 80 лет. Редколлегия журнала сердечно поздравляет заслуженного юбиляра и печатает его футурологический очерк «Сто лет спустя».

ЛЕОНИД ДЖАХАЯ

СТО ЛЕТ СПУСЯ (Футурологическое эссе)

Дмитрий Киртадзе проснулся оттого, что «ЭДЗВ» («Это Должны Знать Все»), как всегда неожиданно, властно, хотя и завораживающе мелодично, вторгся своими позывными в его пражский гостиничный номер, сообщая, что ровно через месяц, в июне 21... года, с мыса Канаверал, во Флориде, стартует международная космическая экспедиция на Марс, которая продлится полтора года, включая время путешествия туда и обратно. «ЭДЗВ» трижды повторил это сообщение, потому что старт космического корабля «Сигма», о котором человечество наслышано уже много лет, относится именно к таким всемирным, равно интересным для всех событиям в жизни землян.

Встав с постели, Дмитрий Киртадзе первым делом вспомнил, что вчера ему принесли, наконец, «Прибор для озвучивания внутренней речи»: новенький, многократно переделанный, говорят, почти без недостатков. Когда три года назад во время злосчастной хирургической операции скончалась жена Дмитрия Киртадзе – Эсма, он, чтобы забыться, решил быть подальше от дома и согласился участвовать в создании нового прибора в Праге, поселился здесь, в этом отеле, и с воодушевлением взялся за работу в составе двенадцати инженеров-конструкторов, радиоэлектронщиков, психофизиологов, лингвистов и

дизайнеров, пока спустя три года «Прибор» был признан отвечающим поставленным целям и среднему стандарту. Теперь, для испытания его первых образцов, их роздали создателям, чтобы они сами изучили и оценили достоинства и упущения технической новинки.

«Прибор» – очень грамотный, образованный: может записывать всё, что я думаю «про себя», «в уме», как это я делаю сейчас. Для этого «Прибор» закрепляется на шее в виде крохотной, незаметной мини-приставки, она запишет микродвижения гортани и других органов речи в процессе беззвучного говорения, а затем расшифрует фонограмму так, как она рождалась в голове. Можно таким способом записывать в течение дня собственные монологи и рассуждения, встречи, беседы и всё, что вербализуемо, и даже музыкальные произведения, рождающиеся в голове. Вдобавок «Прибор» отбрасывает посторонние шумы, нелитературные выражения, зато доводит до конца – по их логическому смыслу – незаконченные фразы, которые нам самим понятны, но не всегда понятны другим.

Дмитрий Киртадзе, попрощавшись со своими чешскими коллегами, вылетел утренним рейсом в Тбилиси, и, оставив вещи в тбилисской квартире по улице Гогебашвили, отправился к своему другу Павле Джикидзе, референту, просить новую работу.

Павле Джикидзе, мужчина лет сорока, высокого роста, спортивного сложения, всегда аккуратный, подтянутый, с наголо обритой головой, выделяется негрузинской формой своего лица – узкого, продолговатого, обтянутого пергаментной кожей. У него серые пронизательные глаза, слегка утеплённые большими очками в коричневой оправе, и крутой, упрямый подбородок. Из-за негрузинского облика его принимают то за немца, то за англичанина, и он привык к этому, тем более, что превосходно знает и немецкий, и английский языки и подолгу бывал в разных странах.

Павле, увидев Дмитрия Киртадзе, вскинул голову и уставился сквозь стёкла очков на пришельца, который явился без предупреждения... Но вот от уголков его глаз побежали мелкие морщинки, плотно сомкнутые губы потеряли жёсткую неподатливость. Павле шагнул вперёд, протягивая обе руки Дмитрию Киртадзе.

За обедом, который приготовили Павле Джикидзе и его дочь Лали, Дмитрий Киртадзе рассказал о своей работе в Праге и о том, что хочет подыскать себе новую работу в Тбилиси. Павле Джикидзе предложил ему место помощника академика Басилая в проекте «АБ» («Академик Басилая») в Экономцентре.

– Идея академика Басилая в том, чтобы соединить вместе все двадцать «УЭМ» («Универсальный Электронный Мозг») в мире в единую систему, что даст, по его мнению, новое качество компьютерного мышления. Тут все с ним согласны, вопрос лишь в том, как это конкретно осуществить. Предлагаются два варианта: «земной» и «небесный». Академик Басилая предлагает соединить все «УЭМ» на земном шаре подземной и подводной кабельной связью через континенты и океаны, используя для этого уже имеющиеся волноводы и световоды из стекловолокна, и такая система действительно будет устойчиво и надёжно гарантирована от любых помех. Это и есть «земной» вариант. Но у этого варианта есть противники, которые утверждают, что совместное функционирование всех «УЭМ» можно обеспечить с высокой точностью и надёжностью лишь в том случае, если с помощью лазерных установок замкнуть их на спутниках связи. Для этого надо построить при каждом «УЭМ» приёмно-передающие антенны, вывести на околоземную орбиту четыре геостационарных спутника связи, и всё в порядке, технически это вполне выполнимо. В итоге получается «небесный» вариант, тоже неплохой...

Дмитрий Киртадзе согласился поехать в Экономцентр, на Тбилисскую станцию «УЭМ» для работы в «АБ» в качестве помощника академика Басилая.

Вернувшись к себе на квартиру, Дмитрий Киртадзе стал готовить коктейль, как вдруг зазвонил мобильный телефон. Послышался знакомый голос Наны. Её приход был очень кстати, она сейчас нужна Дмитрию Киртадзе, нужна её пьянящая любовь. Высокая, статная,

яркая, она вся – сгусток истинной женственности и мужской предприимчивости, и всё это она неуёмно расточает в работе и в любви. К тому же Нана, как журналист, знает буквально всё на свете. Сильное взаимное влечение сблизило их, однако совместная жизнь у них не получается: по-настоящему умная, талантливая Нана не имеет склонности к семейной жизни, тяготеет домашними заботами, детьми и вполне обходится без них. Дмитрий Киртадзе не смог ни переубедить её, ни доказать, как это важно для них обоих, ведь одна только любовь мужчины и женщины ещё не есть семья, семья – это родители и дети. Но когда Дмитрий Киртадзе и Нана глотнули коктейль, он показался им не на шутку любовным напитком...

На следующий день, а это было воскресенье, Нана повела Дмитрия Киртадзе на стадион, чтобы присутствовать на спортивном празднике, а потом они расстались. Дома Дмитрий Киртадзе стал обдумывать ещё один вариант использования «Прибора». Год назад, заинтересовавшись сновидениями, он расспросил своих знакомых, что и как они видят во сне. Обнаружилась любопытная закономерность: люди художественного склада, у которых особенно сильны зрительные представления, видят во сне яркие образы, сопровождаемые словесным комментарием, наподобие того, как спортивный комментатор ведёт репортаж с футбольного стадиона. У людей мыслительного склада, склонных к размышлениям, во сне происходит произвольное возбуждение речевого центра, и возникающий при этом внутренний монолог или диалог иллюстрируется затем более или менее яркими картинками, наподобие того, как художник иллюстрирует книгу по смыслу текста. Поскольку между художественным и мыслительным типами людей существует ещё и средний, промежуточный, то и во сне получается своеобразное сочетание комментирования и иллюстрирования. Некоторые люди во сне даже говорят вслух...

Но если во сне зрительные и слуховые образы «звучат» в нас, как обычная внутренняя речь наяву, то можно испробовать «Прибор» для записи фонограммы сновидений, или «звуковой дорожки» нашего «сновиденческого кинематографа»! Если нельзя «заснять» сами сновидения, то можно, по крайней мере, записать во сне, с помощью «Прибора», ночные монологи и диалоги, а затем воспроизвести по этой звуковой канве сновидения и изучать их, сколько душе угодно.

Солнце уже зашло за Мтацмнда, но несмотря на вечернее время, всё ещё светло и тепло. Любуясь царственно-священной горой в лучах заходящего Солнца, Дмитрий Киртадзе предаётся свободной фантазии, и вот уже ему начинает казаться, что если удастся записать фонограмму сновидений, то нетрудно будет, наверное, совершить обратную процедуру: по сигналам «звуковой дорожки ночного кинематографа» попробовать вызвать во сне те же самые образы и картины, если, конечно, нечто подобное возможно...

Время сна, однако, ещё не пришло, чтобы проверить эту догадку, и Дмитрий Киртадзе решил пойти на концерт группы, недавно возвратившейся из гастрольной поездки в Ригу. Сидя в концертном зале, Дмитрий Киртадзе смутно, словно в забытьи, воспринимал сменяющие друг друга номера. Но когда ведущий объявил, что Нелли Пилпани исполнит «Патетическую сонату» Бетховена и «Концертино» Нугзара Ахвледиани, музыка придала его мыслям светлую, прозрачную тональность, разбудила новые жизненные порывы... Как всегда, слушая прекрасную музыку, Дмитрий Киртадзе поддался психологическому обману – перенёс чувства, навеянные музыкой, на её исполнителя. И хотя чаще всего это не так, но именно сейчас сильнее всего хотелось поверить в правдивость этого, – так прекрасна и вдохновенна была юная пианистка... Дружная овация была наградой ей за чудные минуты, и, захваченный высоким пафосом искусства, Дмитрий Киртадзе, кажется, хлопал громче всех... Нелли Пилпани откланялась и ушла за кулисы. Ведущий объявляет следующий номер, но Дмитрий Киртадзе тихо встаёт и уходит, чтобы не вспугнуть милый образ девушки, увиденной на эстраде.

